

ჭენრი კუპრაშვილი

ძიხითანი ჰოციბიჯაჲი
მიძინაჯოჯაბი
თანაბეჲოვა ეჰოჯაში
ლექციების კურსი



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჭენი კუპრაშვილი

ძიითანი ჰონისიანი მიმინახობაბი
თანაბახოვა ახოვაში

ლექციების კურსი



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ 24.06.2016, ოქმი №2

თბილისი
2016

აკ 914:327

წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელი ატრიბუტია პოლიტიკური მიმდინარეობები. ცნებაში „პოლიტიკური მიმდინარეობები“ ვგულისხმობთ პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტებს (პოლიტიკურ პარტიებს, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს და სხვ.), რომელთა მოქმედებას საფუძვლად უდევს ესა თუ ის იდეოლოგია. დღეისათვის მსოფლიოში, ისევე როგორც მე-19 და მე-20 საუკუნეებში, ძირითადი იდეოლოგიური დოქტრინებია ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალ-დემოკრატიზმი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის განვითარებული ქვეყნების მოწინავე პარტიების პროგრამაში თანდათან გამოიკვეთა ამ დოქტრინების ელემენტების გარკვეული აღრევა.

წყაროდ გამოყენებულია, როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების ნაშრომები. მათ შორის, ავტორები: ელბერდ ბატიაშვილი, ირაკლი გაბისონია, ომარ გოგიაშვილი, დიმიტრი დუშაშვილი, დიანა ენდელაძე, სერგი კაპანაძე, გიორგი კობერიძე, გიორგი მკურნალიძე, გიორგი მჭედლიშვილი, გურამ ფექიალაძე, დიმიტრი შველიძე, ხათუნა ჩაფიჩაძე, მამუკა ხამხაძე, ნიკა ხოფერია...

სამეცნიერო რედაქტორი ვაჟა შუბითიძე

რეცენზენტები: სოცირებული პროფესორი ეკა ბუხრაშვილი
პროფესორი მურმან პაპაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016

ISBN 978-9941-20-699-3

<http://www.gtu.ge>

ყველა უფლება დაცულია, ამ წიგნის არცერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე

საავტორო უფლების დარღვევა ისჯება კანონით



სარჩევი

1. პოლიტიკური პარტიების სოციალურ-იდეოლოგიური მეტამორფოზები თანამედროვე ევროპაში.....	4
2. პოლიტიკისა და იდეოლოგიის დიალექტიკა.....	16
3. თანამედროვე იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების სათავეებთან.....	28
4. ევროპის პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მიმდინარეობების კლასიფიკაცია, ორგანიზაციული და სოციალურ-პოლიტიკური კრიტერიუმები.....	41
5. ევროპაში იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების განლაგება და თანაფარდობა.....	53
6. ლიბერალიზმი.....	62
7. ნეოლიბერალიზმი.....	74
8. კონსერვატიზმი.....	87
9. ილია ჭავჭავაძე კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების შესახებ.....	101
10. მარქსიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი, ნეომარქსიზმი.....	110
11. სოციალ-დემოკრატია.....	127
12. ფაშიზმი.....	151
13. ანარქიზმი.....	166
14. ევროპის მწვანეთა მოძრაობა.....	181
15. ევროპის პოლიტიკური პარტიები (ევროპარტიები) გამოყენებული ლიტერატურა..... საკუთარ სახელთა საძიებელი.....	198 210 215



ევროპის მოტაცება. მე-4 საუკუნის მოზაიკა. სპარტა.

სიტყვა „ევროპა“ ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. ასე ერქვა ფინიკიის მეფის ასულს, რომელიც ზღვაში ბანაობისას ზევსმა დაინახა და შეუყვარდა. ის ქალიშვილს თეთრი ხარის სახით გამოეცხადა, მოიტაცა და კუნძულ კრეტაზე წაიყვანა. აქ მათ სამი შვილი ეყოლათ: მინოსი (მომავალში კრეტის ლეგენდარული მეფე), რადამანთისი და სარპედონი. სწორედ ამ ასულის სახელი უწოდეს ბერძნებმა კონტინენტს. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსისათვის „ევროპა“ კრეტის მითიური დედოფალი იყო და არა გეოგრაფიული სახელწოდება.

1. პოლიტიკური პარტიების სოციალურ– იდეოლოგიური მეტამორფოზები თანამედროვე ევროპაში

* თანამედროვე გლობალიზებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, ინფორმაციის ეპოქაში, როდესაც იქმნება კაცობრიობის არსებობისათვის პრინციპულად სრულიად ახალ პირობები, დასაბამი ეძლევა ეკონომიკური და სოციალური პროცესების არნახულ ინტენსიფიკაციას როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეებზე და შეიძლება ადამიანის ცხოვრების წესმაც კი კარდინალური ცვლილებები განიცადოს, პოლიტიკური პარტიები კვლავ მაინც განაგრძობენ ტრადიციული როლის შესრულებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.წ. „ყოვლის მომცველი“ პარტიების (*ოტო კირხაიმერი*) მიერ **პოლიტიკური წარმომადგენლობის ფუნქციის** შესრულებას, აგრეთვე გლობალური საზოგადოებრივი მიზნების ფორმირებას. მაგრამ ამასთან, როგორც სერბი მეცნიერი *უროშ შუვაკოვიჩი* (Uroš V. Šuvaković) აღნიშნავს, საზოგადოებრივი კონტროლის საკითხებში საპირწონეს არარსებობისას, აღინიშნება პარტიის როლის აბსოლუტიზაციის ტენდენცია, მთელი საზოგადოების პარტიზაციაც კი.

* პრობლემა იქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე საზოგადოება იმაზე სწრაფად იცვლება, ვიდრე პოლიტიკური მიმდინარეობები ასწრებენ რეაგირებას ამ ცვლილებებზე. ნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებში პარტიები ორგანიზაციულად ჯერ კიდევ მორგებული არიან

საპარლამენტო დემოკრატია. მაგრამ დღეს ნაციონალური პარტიებიდან სულ უფრო მეტი რაოდენობის კომპეტენციები გადადის ზესახელმწიფოებრივი (ზეეროვნული) ორგანიზაციების (მაგალითად, გაეროს, ევროკავშირის) ხელში. ამ თვალსაზრისით, ბევრი კითხვა შეიძლება დაიბადოს, თუ ახალ პოლიტიკურ ვითარებში თანამედროვე პოლიტიკური პარტიები რამდენად შეძლებენ საკუთარი როლის წარმატებით შესრულებას, პირველ რიგში – პოლიტიკური წარმომადგენლობის ფუნქციისა და გლობალური საზოგადოებრივი მიზნების ფორმირების ამოცანების შესრულებას.

* ცნება „ყოვლისმომცველი პარტია“ პირველად გამოიყენა ებრაული წარმოშობის გერმანელმა იურისტმა და პოლიტოლოგმა *ოტო კირხაიმერმა* (Otto Kirchheimer, 1905-1965) იმ სპეციფიკური სიტუაციის გადმოსაცემად, რომელიც შეიქმნა მე-20 საუკუნის 50-იან წლების ზოგიერთ დასავლეთევროპულ სოციალ–დემოკრატიულ პარტიაში, პირველ ყოვლისა, გერმანიაში. ამ ტერმინის გამოყენების კონტექსტის გაგებისთვის დაგვეხმარება რიგი ცნება, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლების პარტიული სტრუქტურების ცნობილმა მკვლევარმა, ფრანგმა სამართალმცოდნემ, სოციოლოგმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ *მორის დიუვერჟემ* (Maurice Duverger, 1917-2014) გამოიკვლია.

* განიხილებოდა პარტიის ორი ტიპი: საკადრო და მასობრივი. საკადრო პარტიები შემადგენლობით პოლიტიკოსების, ფინანსისტების, ჟურნალისტებისა და ელიტის სხვა წარმომადგენლების ვიწრო გაერთიანებას წარმოადგენდა, რომლის უმთავრესი მიზანიც არჩევნებში გამარჯვება იყო.

ხოლო მასობრივი პარტიების გავრცელება იწყება მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20-ის დასაწყისში ეკონომიკურად არაპრივილეგირებულ მოსახლებას მიანიჭეს ხმის მიცემის უფლება. მასობრივი პარტიები იდეოლოგიური ორიენტაციის მიხედვით, უპირატესად იყვნენ, მემარცხენე მიმართულებისა (თუმცა მსგავსი სტრუქტურების ფორმირება არ იყო უცხო ზოგიერთი კონფენსიური და უკიდურესად მემეარჯვენე პარტიებისთვისაც).

* უკვე 1920-იანი წლებისთვის გამოვლინდა საკადრო პარტიებთან შედარებით მასობრივი პარტიების აშკარა ორგანიზაციული უპირატესობა, რომლებმაც თანდათან შეიძინეს უფრო მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური პოზიციები, ელექტორალური ბაზები და ისე ჩანდა, რომ მომავალი მასობრივ პარტიებს ეკუთვნოდათ. ამ დასკვნისკენ იხრებოდა **დიუვერჟე**. ისტორიის ირონია ისაა, რომ სწორედ 1950-იან წლებში იწყება მასობრივი პარტიების ორგანიზაციული მოდელის სწრაფი დეზინტეგრაცია. ე.წ. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებში“ მუშათა და საშუალო კლასის ცხოვრების სტანდარტები დაახლოვდა. ადრე ეფექტურმა ბევრმა იდეოლოგიამ¹ დაკარგა დამაჯერებლობა. შემცირდა იდეოლოგიის ღირებულებაც, იგი აღარ აღიქმებოდა მასობრივ პარტიებში ორგანიზაციული სტაბილურობის შენარჩუნ-

¹ **იდეოლოგემა** – პოლიტიკური ტერმინი, ნებისმიერი იდეოლოგიის ნაწილი, იდეოლოგიური სისტემის ელემენტი. იდეოლოგემას ტერმინისაგან განსხვავებით არ აქვს მკაცრად განსაზღვრული (შეზღუდული) მნიშვნელობა. მისი განსაზღვრება იცვლება პოლიტიკური პრაგმატიკის შესაბამისად. იდეოლოგემა ყოველთვის ემოციურადაა დატვირთული.

ნების უპირობო საშუალებად. ასეთ პირობებში შეიქმნა ახალი ორგანიზაციული მოდელი: პარტია, რომელიც ინარჩუნებდა მასობრიობის ზოგიერთ ორგანიზაციულ თვისებას (პირველ ყოვლისა, წევრთა მასას), გახდა იდეოლოგიურად მოქნილი. *ოტო კირხაიმერმა* სწორედ ასეთ პარტიას უწოდა „ყოვლისმომცველი“.

* რამდენადაც ადრე ბევრ საკადრო პარტიას უკვე ჰქონდა ფორმირებული მსგავსი ორგანიზაციული სტრუქტურები, მაგრამ იდეოლოგიური სიმტკიცე, მაინც ვერ მოიპოვეს, ამდენად, *ოტო კირხაიმერის* თვალსაზრისით, დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა პარტია „ყველაფრის მჭამელები“, აღმოჩნდნენ.

* პარტიული ცხოვრების პროფესიონალიზაციას, ამასობაში, მასობრივი პარტიების დემონტაჟს, არ გამოუწვევია იდეოლოგიის, როგორც ელექტორალური პროცესის ცენტრალური ფაქტორის გაქრობა. ამერიკელ ეკონომისტა და პოლიტოლოგს *ენტონი დაუნსს* (Anthony Downs, 1930) მიაჩნია, რომ იდეოლოგია რჩება მნიშვნელოვან „გამაადვილებელ მოწყობილობად“, რომელიც ამომრჩეველს საშუალებას აძლევს პარტიული პროგრამების ცალკეულ საკითხებში ჩალრმავების გარეშე მოახდინოს არჩევანი. მასობრივი გამოკითხვების მონაცემები არაორაზროვნად უჩვენებენ, რომ პოლიტიკურად გამოუცდელი ამომრჩეველებიც კი ადვილად არჩევენ იდეოლოგიურ განსხვავებას კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის დიდ ბრიტანეთში, ნეოგოლისტებსა და სოციალისტებს შორის საფრანგეთში, კონსერვატორებსა და სოციალისტებს შორის ესპანეთში. მაგალითად, ამერიკის

შეერთებულ შტატებში, სადაც მასობრივი პარტიები არასდროს ყოფილა, ხოლო ძირითადი პარტიები მიეკუთვნება სრულიად განსაკუთრებულ ორგანიზაციულ ტიპს, იდეოლოგიის როლი ჩაანაცვლა, ეგრეთ წოდებულმა, „პარტიულმა იდენტიფიკაციამ“.

* ამრიგად, წარსულს ჩაბარდა სწორედ მასობრივი პარტიის ორგანიზაციული მოდელი, და სრულებითაც არა იდეოლოგია, როგორც ასეთი.

* თანამედროვე მსოფლიოში ინდოკტრინაციით ² დაკავებულია უპირატესად მასმედია, ხოლო პარტიის წევრების ბაზა საკმაოდ მოკრძალებულ როლს თამაშობს, რომელიც შენარჩუნებულია მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული რესურსის პლანში.

* იტალიელი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი *ანჯელო პანებიანკო* (Angelo Panebianco, 1930) თანამედროვე პარტიებს, თავიანთი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, აკუთვნებს ისეთ ტიპს, რომელსაც იგი უწოდებს „ელექტორალურ-პროფესიულ პარტიებს“ ანუ პროფესიონალების ვიწრო გაერთიანება, რომელიც ორიენტირებულია ელექტორალური წარმატების მიღწევაზე. ეს ტიპი თავისი ბევრი თვისებით თითქოსდა უბრუნდება საკადრო პარტიის ტრადიციულ მოდელს, მაგრამ თუ საკადრო პარტიაში მრეწველები, ჟურნალისტები და ადვოკატები ხდებოდნენ პოლიტიკოსები

² მთავრობისათვის ან პოლიტიკური ორგანიზაციისათვის გარკვეულად სასურველი და ხელსაყრელი შინაარსით მასობრივი ცნობიერების გაჯერება სოციალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა ფორმაში (დარწმუნების, წარმოსახვის, მითითებების, სტერეოტიპების სისტემები).

მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დროს, ელექტორალურ-პროფესიული პარტიების აგებულება დამყარებულია პოლიტიკური ორგანიზატორების მუდმივმოქმედი შტატების არსებობაზე, სადაც მკაცრადაა დანაწილებული ფუნქციები და მალალია პერსონალის პროფესიული კვალიფიკაცია. „ყოველის მომცველი“ პარტია მიეკუთვნება პოლიტიკური მეცნიერების ცნებათა რიცხვს, რომელიც ემყარება დემოკრატიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე კერძო დაკვირვების საფუძველს.

* პოლიტიკური პარტიების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მთელი რიგი, როგორც ორგანიზაციული, ისე იდეოლოგიური თავისებურებებით.

* დღეისათვის მსოფლიოში, ისევე როგორც მე-19 და მე-20 საუკუნეებში, ძირითადი იდეოლოგიური დოქტრინებია ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალ-დემოკრატიზმი. ადრე პოლიტიკური პარტიები ნათლად აფიქსირებდნენ ამ მიმდინარეობებიდან ერთ-ერთისადმი საკუთარ კუთვნილებას, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის განვითარებული ქვეყნების მოწინავე პარტიების პროგრამაში თანდათან გამოიკვეთა ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა და სოციალ-დემოკრატიზმის ელემენტების გარკვეული აღრევა. ეს შესაძლებელს ხდის პროგრამული მოთხოვნები შეუხამონ სხვადასხვა სოციალური ფენისა და საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესებს, ამ მიზნით იყენებენ ყველაზე უფრო პრაგმატულ დებულებებს ლიბერალიზმიდან (მაგალითად, წარმოების თავისუფლება), კონსერვატიზმიდან (ტრადიციების ერთგულება), სოციალ-დემოკრატიზმიდან (მოქალაქეთა სოციალური დაცვა). ეს ტენდენცია

იწვევს ცვლილებებს, როგორც საკუთრივ პარტიების სოციალური ორიენტაციაში, ისე ამომრჩეველთა პარტიულ მიკერძოებაში.

* ისტორიულად ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა მეტ-ნაკლებად მჭიდრო კავშირი ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის ხმის მიცემის ხასიათსა და მათ სოციალურ-კლასობრივ მდგომარეობას შორის, როგორც წესი, მოსახლეობის ხელმოკლე ფენა ხმას აძლევდა მემარცხენე ორიენტაციის პარტიებს (სოციალ-დემოკრატიული და სხვ.), ხოლო უფრო მაღალშემოსავლიანი ფენა – მემარჯვენე პარტიებს (ლიბერალული, კონსერვატიული და სხვ).

* ამ თვალსაზრისით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოლო ათეული წლებია, შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ირდევს კავშირი ამომრჩეველების მიერ ამა თუ პარტიისათვის ხმის მიცემასა გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი მათ კუთვნილებას შორის.

* თავის მხრივ, უმრავლეს პარტიებში შეიმჩნევა ტენდენცია, მოახდინონ ორიენტაცია არა უბრალოდ ტრადიციულად „საკუთარ“, მკვეთრად გამოხატულ ამომრჩეველთა ჯგუფებზე, არამედ სხვადასხვაგვარი შემადგენლობის ელექტორატზე, რომელზეც სხვა პოლიტიკური პარტიებიც აცხადებენ პრეტენზიას.

* შედეგად, მსხვილი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, მათ შორის, სოციალ-დემოკრატიულიც, არსებითად, უკვე აღარ არიან უაღრესად კლასობრივები და ჩამოყალიბდნენ, მათივე საკუთარი განსაზღვრებით, ეგრეთ წოდებულ, „სახალხო პარტიებად“ (ანუ „პარტია ყველასათვის“),

რომელიც მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლობაზე აცხადებს პრეტენზიას.

* პირველებმა „სახალხოს“ სტატუსზე პრეტენზია განაცხადეს ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიებმა (მაგალითად, ავსტრიის სახალხო პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი გერმანიაში და სხვ.). დასაწყისში ეს პარტიები წარმოიქმნენ, როგორც რეაქცია საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეების სეკულარიზაციისა³ და სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის წინააღმდეგ. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათ პროგრამებში აქცენტი აღარ ხდება სარწმუნოებაზე. მაგალითად, თავის დროზე, გერმანიის ფრ-ის ბუნდესკანცლერი *ჰელმუტ კოლი* (1982-1998) აღნიშნავდა, რომ, რაც არ უნდა იყოს, პარტია არ აკავშირებს თავისთავს, სარწმუნოებასთან ან საეკლესიო ინსტიტუტებთან, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ხასიათი განმტკიცებულია იმ ფაქტით, რომ მასში ორგანული ერთიანობით შეიკრიბა ქვეყნის ქრისტიან-სოციალური, კონსერვატიული და ლიბერალური ძალები.

* „სახალხოდ“ გამოაცხადეს საკუთარი თავი, ასევე სოციალისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმაც. ერთ-ერთმა პირველი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. 1959 წელს მიიღო პარტიის პროგრამა, რომელ-

³ 1. საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად. 2. რისამე გადასვლა საეკლესიო, სასულიერო გამგებლობიდან საერო, სამოქალაქო გამგებლობაში. მაგ., სასკოლო სწავლების სეკულარიზაცია. 3. ეკლესიის სასულიერო გავლენისაგან განთავისუფლება (საზოგადოებრივ და გონებრივ მოღვაწეობაში, მხატვრულ შემოქმედებაში).

შიც დაფიქსირებული იყო მარქსიზმისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფა. იგი გადაიქცა უპირატესად მუშათა კლასის ორგანიზაციიდან მუშათა და საშუალო ფენების პარტიად. დღეისათვის განსაკუთრებით ძლიერია მასში ტექნიკური ინტელიგენციის, მეწარმეთა წრის წარმომადგენლები და ახალგაზრდობა.

* „სახალხო პარტიის“ კონცეფცია აიძულებს, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ორიენტაციის ყველა პარტიას საკუთარი პოზიციების ფორმულირება მოახდინონ უმეტესად მრავალმხრივ საკითხებზე, რათა თავის მხარეს მიიზიდონ ახალი ჯგუფები და ამომრჩევლები შესაბამისი მოთხოვნების პროგრამაში ჩართვით.

* ადგილი აქვს პარტიულ-პოლიტიკური ალტერნატივების სპექტრის გაფართოებისა და ახალი სოციალური მოძრაობების და ეკოლოგიური პარტიების მზარდი გავლენის ტენდენციებს, რაც ერთობლიობაში უქმნის დიდ პრობლემებს „ფესვგამდგარ“, ტრადიციულ პარტიებს. თანამედროვე ეტაპზე, ამომრჩეველთა იდეურ-პოლიტიკური პოზიციები და პარტიულ-პოლიტიკური სიმპატიები სერიოზულად მერყეობს. მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ხდება მნიშვნელოვნად მკვეთრი გადასვლები ერთი პარტიიდან მეორეში, ლიბერალური პოზიციიდან მემარჯვენე კონსერვატიულზე, კონსერვატიულიდან – სოციალ-დემოკრატიულზე და პირიქით. ეს ადასტურებს ამომრჩეველთა გარკვეულ „ავტონომიურობას“ პარტიებისადმი დამოკიდებულებაში. მთლიანობაში გარკვეულად სუსტდება ამომრჩეველთა მიკერძოებულობა მსხვილი ტრადიციული პარტიებისადმი.

ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ ზეგავლენას საზოგადოებრივ აზრზე და ხშირად აყალიბებენ ამა თუ იმ პარტიული ლიდერის, მთელი მისი პარტიის იმიჯს.

* მე-20 საუკუნის ბოლო ორ ათეულ წელსა და 21-ე საუკუნის პირველ ათეულში პარტიული სისტემის ტრანსფორმაციამ მიგვიყვანა ჯერ მოქალაქეთა თვალში პარტიული უპირატესობების გაფერმკთალებამდე (რამაც მოახდინა ამომრჩევლთა მიერ გამოცალკევებული კენჭისყრის პროვოცირება), შემდეგ კი ევროპის პოლიტიკურ სისტემაში განამტკიცა დანაწილებული მმართველობა.

* შემდგომში პარტიულმა პოლარიზაციამ გამოიწვია საზოგადოების საპირისპირო რეაქცია, რაც გადაიზარდა პარტიული ნეიტრალიტეტიდან პარტიული ხაზის მკაცრად გაყოფამდე. ინსტიტუციურ დონეზე ფაქტობრივად პარტიულ პოლარიზაციას დაემატა პარტიული პოლარიზაცია საზოგადოების დონეზე. ამასთან, პარტიული ერთგულების ზრდის პარალელურად, პარტიების მიერ საკუთარი ბლოკების შესანარჩუნებლად ძალისხმევის გადამეტებული კონცენტრაციის პასუხად საზოგადოებაში იმატა დამოუკიდებელი ამომრჩევლების რიცხვმა.

* ამრიგად, ევროპაში პარტიის ევოლუციის უახლესი ტენდენციებია:

გარკვეულად სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და კონსერვატიული ელემენტების შეხამება ძირითადი პოლიტიკური პარტიების საპროგრამო დოკუმენტებში;

კავშირის დარღვევა ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფებში პარტიულ მიკერძოებულობაში, მათ ხმის მიცემაში გარკვეული პარტიებისადმი და ადამიანების სოციალურ–კლასობრივ მდგომარეობას შორის.

პარტიების გარდაქმნა სოციალურ–კლასობრივი ორგანიზაციიდან „სახალხო პარტიებად“ ანუ „ყველას პარტიებად“, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, რომ არიან მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები.

პარტიების სოციალური ბაზის გაურკვეველობა და არამდგრადობა და, როგორც შედეგი, არჩევნების არაპროგნოზირებადი შედეგები.

ამომრჩეველთა ერთი პარტიიდან მეორეში მკვეთრი გადასვლები, დამოუკიდებელ („ავტონომიურ“) ამომრჩეველთა რიცხვის ზრდა, რომლებიც ხმას აძლევენ არა ტრადიციულად ჩვეულ პარტიას, არამედ მის კონკურენტ პარტიას.

„ნეგატიური ხმის მიცემის“ ფენომენი ანუ ხმას აძლევენ არა მას, ვისაც უნდა დაუჭირო მხარი, არამედ მის წინააღმდეგ, ვინც უარყოფილია.

ახალი სოციალური მოძრაობებისა და ეკოლოგიური პარტიების გავლენის ზრდა.

საზოგადოებრივ–პოლიტიკურ პროცესებზე მთლიანად და პარტიულ ცხოვრებაზე, სახელდობრ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლისა და გავლენის მატება.

* თუმცა ძალიან არც უნდა გავაზვიადოთ მითითებული ტენდენციების მნიშვნელობა. მიუხედავად პარტიების ძალაუფლებისა და გავლენის გარკვეულად შემცირებისა, მაინც ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება მათი როგორც

პოლიტიკური ინსტიტუტების კრიზისის შესახებ. რეალურ გარემოებათა ანალიზი უჩვენებს, რომ პოლიტიკური პარტიები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოლიტიკური ფუნქციების რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტის, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესის ცენტრალური ელემენტის რანგში.

2. პოლიტიკისა და იდეოლოგიის დიალექტიკა

◆ ნებისმიერი პოლიტიკური მიმდინარეობა, მიუხედავად მისი დანიშნულებისა და მიზნებისა, ამა თუ იმ შინაარსით, ფორმითა და დოზით დაფუძნებულია გარკვეულ თეორიულ ბაზაზე – იდეოლოგიაზე. თავის მხრივ, ნებისმიერი იდეოლოგიაც, როგორც პოლიტიკური აზროვნების ფორმა, მიუხედავად მისი მიმართულებისა, თავის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოწყობის კონცეფტუალურ-იდეოლოგიურ ძიებებში ეფუძნება პოლიტიკური სისტემის გარკვეული კონცეფციების აღიარებას ან უარყოფას, მოქმედი პოლიტიკური ინსტიტუტების ქმედითუნარიანობის შეფასებას.

◆ „იდეოლოგია“ პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხთაგანია, პოლიტოლოგიის ის ცნებაა, რომლის ირგვლი-



დესტიუტ დე ტრასი

ვაც მუდმივად მიმდინარეობდა კამათი. დღესდღეობით ეს ტერმინი ნეიტრალური მნიშვნელობით იხმარება, ამა თუ იმ სოციალური ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის აღსანიშნავად, მაგრამ იგი უარყოფით და კნინობითი მნიშვნელობითაც ხშირად გამოუყენებიათ, როგორც პოლიტიკური იარაღი მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად. ტერმინი პირველად საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიყენა ფრანგმა ფილოსოფოსმა **დესტიუტ დე**

ტრასიმ⁴, რომელიც **ეტენ დე კონდილიაკთან** ერთად ცდილობდა შეექმნა მეცნიერება ადამიანის ცოდნის საფუძვლებისა და იდეების ფორმირების ზოგადი პრინციპების შესახებ. მისთვის, როგორც **ჯონ ლოკის** სენსუალური⁷ გნოსეოლოგიის მიმდევარისთვის, „იდეოლოგია“ ნიშნავდა ახალ „მეცნიერებას იდეათა შესახებ“, რომელსაც ადამიანის აზრების წარმომავლობა უნდა შეესწავლა. იგი თვლიდა, რომ იდეოლოგია დროთა განმავლობაში ისეთივე აღიარებული მეცნიერება გახდებოდა, როგორც არის ზოოლოგია ან ბიოლოგია... მაგრამ **ნაპოლეონმა⁸** უარყო დე ტრასისა და კონდილიაკის პოლიტიკური მოწყობის პროექტი, უფრო

⁴ **ანტუან ლუი კლოდ დესტიუტ დე ტრასი** (Destutt de Tracy, 1754-1836), ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და ეკონომისტი.

⁵ **ეტენ დე კონდილიაკი** (Étienne Bonnot de Condillac; 1715- 1780), ფილოსოფოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, აბატი.

⁶ **ჯონ ლოკი** (John Locke, 1632-1704), ცნობილია, როგორც „ლიბერალიზმის მამა“, ინგლისელი ფილოსოფოსი და ექიმი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე. მისმა ნამუშევრებმა გავლენა იქონიეს პოლიტიკური თეორიის განვითარებაზე, აგრეთვე ვოლტერსა და ჟან-ჟაკ რუსოსზე, შოტლანდიელ განმანათლებლებსა და ამერიკელ რევოლუციონერებზე. მისმა გავლენამ რესპუბლიკანიზმსა და ლიბერალურ თეორიაზე ასახვა პოვა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში.

⁷ **სენსუალიზმი** – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებს, აღქმებს მიიჩნევს.

⁸ **ნაპოლეონ ბონაპარტი** (Napoleon Bonaparte; 1769-1821), საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი. საფრანგეთის კონსულატის პრემიერ-კონსული (1799-1804), „ფრანგთა იმპერატორი“ (1804-1815), იტალიის მეფე ნაპოლეონ I-ის სახელით (1805-1814), რაინის კავშირის პროტექტორი (1806-1814).

მეტიც, სწორედ ნაპოლეონმა დაუმკვიდრა ტერმინს დამაკნინებელი შინაარსი.

◆ ტერმინის შინაარსს ახალი სული შთაბერა XIX საუკუნეში *კარლ მარქსმა*⁹. იგი იდეოლოგიას განიხილავდა როგორც „მმართველი კლასის“ იდეების გამოხატულებას, რომლებიც აშუქებდნენ ფენების ექსპლუატაციას.

◆ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდში პოლიტიკოსებმა იმაზეც დაიწყეს ფიქრი, რომ, რაკი საფრანგეთის რევოლუციამ ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყო და უარყო პოლიტიკის რელიგიურ იდეებზე დამყარების ტრადიცია, ამდენად, საჭიროდ მიიჩნიეს, რელიგია შეცვლილიყო რაღაც სხვა მოძღვრებით, რომელიც იმავე ფუნქციას შეასრულებდა, ოღონდ რელიგიისგან განსხვავებით, რაციონალურადაა, მეცნიერებაზე იქნებოდა ორიენტირებული. ამ აზრით, იდეოლოგია რელიგიის შემცვლელად იქნა გამოცხადებული.

◆ მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ტერმინი ჩვენს დროში გამოიყენება ნეიტრალური მნიშვნელობით, როგორც ამა თუ იმ მსოფლმხედველობის უბრალო ახსნა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიულად მას საკმაოდ მძიმე ბედი ერგო. იყო დრო, როდესაც პოლიტიკური შეხედულებების “იდეოლოგიად” მოხსენიება იმ დროისათვის ყველაზე უარყოფითი შეფასების ტოლფასი იყო.



⁹კარლ მარქსი (Karl Marx; 1818-1882) გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი.

◆ იდეოლოგიას მეცნიერების სტატუსი რომ მინიჭებოდა, პირველივე მცდელობა, იმთავითვე განწირული გამოდგა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში *კარლ მანჰეიმის*¹⁰ მიერ დამკვიდრებული აზრი, რომ იდეოლოგია არ არის მეცნიერება, ბევრი დღესაც იზიარებს.

◆ **ლიბერალური და კონსერვატიული** ტრადიციები თავისებურად განმარტავდნენ იდეოლოგიას ტოტალიტარული იდეის წარმოქმნასთან ერთად. ლიბერალური ორიენტაციის მეცნიერებმა *კარლ პოპერმა*,¹¹ *ჰანა არენდტმა*¹² და *იაკობ ტალმონმა*,¹³ იდეოლოგიის განხილვა დაიწყეს როგორც სოციალური კონტროლის საშუალებისა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ თანხმობასა და მორჩილებას. „ცივი ომის“ პერიოდში მუშაობისას ეს თეორეტიკოსები ფაშიზმისა და კომუნიზმის იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც „დახურული“ აზროვნების ორ ვარიანტს. ჭეშმარიტების მონოპოლიურ ფლობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას და უარყოფდნენ განსხვავებული აზრის არსებობას. ამ ფონზე, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და დემოკრატიული სოციალიზმი აღიქმებოდნენ არა როგორც იდეოლოგიები,

¹⁰ *კარლ მანჰეიმი* (Karl Mannheim, 1893-1947). უნგრეთში დაბადებული ებრაული წარმოშობის გერმანელი და ბრიტანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.

¹¹ *კარლ პოპერი* (Karl Raimund Popper 1902-1994). ავსტრიელი და ბრიტანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.

¹² *ჰანა არენდტი* (Hannah Arendt, 1906-1975) ცნობილი ებრაული წარმოშობის გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი. ტოტალიტარიზმის თეორიის ფუძემდებელი.

¹³ *იაკობ ტალმონი* (Jacob Leib Talmon, 1916-1980). ებრაელი ისტორიკოსი

არამედ როგორც „ღია“ სისტემები – იმ გაგებით, რომ ისინი უშვებდნენ თავისუფალ აზროვნებას, კრიტიკასა და ოპოზიციას. უფრო მეტიც, დაჟინებით მოითხოვდნენ მათ არსებობას.

◆ „იდეოლოგიის“ კონსერვატიული გაგება შეიმუშავა *მაიკლ ოუკშოტი*¹⁴. იგი გამოდიოდა იმ გარემოებიდან, რომ გარშემომყოფი სამყარო მთელი თავისი სირთულით ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია. „პოლიტიკაში ადამიანები ცურავენ უძირო და უსაზღვრო ზღვაში“. ამ თვალსაზრისით იდეოლოგია გვხვდება როგორც „აზროვნების აბსტრაქტული სისტემა“ – იდეების ნაკრები, რომლებიც ამახინჯებენ პოლიტიკურ რეალობას, ვინაიდან ცდილობენ ახსნან ის, რისი ახსნაც შეუძლებელია. ამის გათვალისწინებით კონსერვატორები იდეოლოგიის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებდნენ პრაგმატიზმს, ტრადიციასა და ისტორიას.



◆ იდეოლოგიას მიაწერდნენ სხვადასხვა მნიშვნელობას, რომ ის იყო:

- პოლიტიკური რწმენის სისტემა.
- ქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკური იდეათა სისტემა.
- მმართველი კლასების იდეები.

¹⁴ *მაიკლ ოუკშოტი* (Michael Oakeshott, 1901-1990), ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი.

- კონკრეტული სოციალური კლასის (ჯგუფის) მსოფლ-მხედველობა.
- პოლიტიკური იდეები, რომლებიც ექსპლუატირებულ ან ჩაგრულ ფენებში მცდარ თვითშეგნებას ავრცელებს.
- იდეები, რომლებიც ინდივიდს სათანადო სოციალურ კონტექსტში ათავსებს და კოლექტიური კუთვნილების გრძნობას წარმოშობს.
- პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით ოფიციალურად სანქცირებულ იდეათა ერთობლიობა.
- ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიას აცხადებს.
- პოლიტიკურ იდეათა აბსტრაქტული და უაღრესად სისტემური წყება.

◆ ყველა ზემო აღნიშნულ მიდგომაში იდეოლოგია ძირითადად ნეგატიური კუთხით არის წარმოდგენილი და გამოდის, რომ ზოგი პოლიტიკური დოქტრინა შეიძლება მივაკუთვნოთ იდეოლოგიას, ზოგი კი არა: **მარქსი** დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი იდეები ატარებდა არა იდეოლოგიურ, არამედ მეცნიერულ ხასიათს; **ლიბერალები** უარყოფდნენ თავიანთი ფილოსოფიის მსოფლიო იდეოლოგიისადმი მიკუთვნებას; ხოლო **კონსერვატორები** ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკაში ემხრობიან არა იდეოლოგიურ, არამედ პრაგმატულ პოზიციას.

◆ **თანამედროვე საზოგადოებრივ-მეცნიერული გაგებით იდეოლოგია** აიხსნება როგორც იდეების მთლიანო-

ბა, რომელიც ამა თუ იმ მეთოდით მართავს პოლიტიკურ ქმედებას. ეს ახსნა თავისუფალია იმ წარმოდგენისაგან, რომ იდეოლოგია შეიძლება იყოს „ცუდი ან კარგი, ტყუილი ან მართალი, განმათავისუფლებელი ან დამმორჩილებელი“. ეს კლასიფიკაცია ნეიტრალურია, ყოველმხრივია და მისაღები უნდა იყოს ყველა პოლიტიკური ტრადიციისათვის.

◆ შეუძლებელია გაიგო და შეაფასო პიროვნების, სოციალური ჯგუფის, პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, ელიტის პოლიტიკური მოღვაწეობა, თუ არ გაირკვა შეხედუ-



ლებათა და ღირებულებათა როგორი ერთობლიობით ხელმძღვანელობენ ისინი. პრინციპები, იდეები, ასევე, საზოგადოებრივი და კორპორაციული იდეალები და ღირებულებები ერთიანობაში ქმნიან მწყობრ სისტემას, რომელიც ამა თუ იმ იდეოლოგიის საფუძველია.

*ენდრიუ ჰეივუდის*¹⁵ მიხედვით: იდეოლოგია იდეათა მეტნაკლებად მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია, რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფ-


¹⁵ ენდრიუ ჰეივუდი (Andrew Heywood) – დიდი ბრიტანელი მკვლევარი. ავტორი ბეტსელერი სახელმძღვანელოებისა: პოლიტიკა, პოლიტიკური იდეოლოგიები, გლობალური პოლიტიკა, მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკის თეორია, დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის საფუძვლები და სხვ.

ლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხოვას. ამდენად, ყველა იდეოლოგია გვთავაზობს:

(ა) არსებული წყობის შეფასებას, ჩვეულებრივ, „მსოფლმხედველობის“ სახით,

(ბ) სასურველი მომავლის მოდელს – „კარგი საზოგადოების“ ხედვას, და (გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება – როგორ მივიდეთ (ა)–დან (ბ)–მდე.

◆ იდეოლოგია არის ღირებულებითი ცნობიერება, რომელიც თავის თავში აუცილებლობით



გულისხმობს რეალური სინამდვილის ასახვას მათი შეფასებით, რაც პრაქტიკულ მოქმედებაში უკვე პოლიტიკის სფეროა. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის განსხვავებული იდეების, მიმდინარეობების, კონცეფციების, ერთი სიტყვით, იდეოლოგიების დაპირისპირებისა და შეჯახების არენა.

ამის გამო ნებისმიერ იდეოლოგიას აქვს პოლიტიკური ხასიათი; მაგრამ ცნება „პოლიტიკური იდეოლოგია“ გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ინტერესებით განპირობებული შეხედულებების ერთიანობა.

◆ იდეოლოგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების უამრავი ასპექტიდან, მისი პრაქტიკულ-პრაგმატული მნიშვნელობის თვალსაზრისით, კიდევ ერთ ასპექტს უნდა მიეცეს პრიორიტეტი. ისევე როგორც ყველა ეპოქაში, დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ცნობილი ფორმულა: „პო-

ლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება“. სწორედ არსებული პოლიტიკური რეალიები უწესებს გარკვეულ ზღვარს პოლიტიკის იდეოლოგიზაციას, ხოლო იდეოლოგია აწესებს გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებშიც პოლიტიკური პარტია ან ხელისუფლება თავისი კურსის გატარებისას უნდა „ჩაჯდეს“, რომ არ უგულებელყოს საკუთარი საპროგრამო პრინციპები.

◆ „პოლიტიკა იდეოლოგიის გარეშე“ - იდეოლოგიური „ჭუჭყისაგან“ პოლიტიკის განთავისუფლება უაღრესად კეთილშობილური, დიდი ტრდიციების ზნეობრივი ლოზუნგია. **კარლ იასპერსის**¹⁶ ცნობილი დებულების „პოლიტიკური თვისუფლების ნიშანი პოლიტიკის გამოყოფაა მსოფლმხედველობიდან“, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა და პოლიტიკოსმა უნდა აღიაროს, რათა პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი გახდეს. კაცობრიობის ზნეობრივმა კრიტერიუმებმა, მისი პოლიტიკური კულტურის დონემ ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მიაღწია ამ სასურველ მდგომარეობას.

◆ **კაცობრიობის მთელი ისტორია დღევანდელობის ჩათვლით, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უცილობლად ადასტურებს იმ დებულებას, რომ იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა, იდეოლოგიისა და პოლიტიკის გარეშე კი - სახელმწიფო.**

◆ პოლიტიკური იდეოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს, გარკვეულწილად

¹⁶ **კარლ თეოდორ იასპერსი** (Karl Theodor Jaspers, 1883 - 1969). გერმანელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. ავტორი სამტომეულისა „ფილოსოფია“.

განსაზღვრავს ხელისუფლების ხასიათს, მის შინაარსსა და ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირებას.

◆ პოლიტიკური იდეოლოგია ინდივიდების, სოციალური ჯგუფების განზოგადებული პოლიტიკური ცნობიერების ფორმაა, რომლის საფუძველია პოლიტიკური ხასიათის იდეების, კონცეფციების, დოქტრინების ერთობლიობა. პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე მყარდება პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოების შემადგენელ სუბიექტებს შორის და ფუნქციონირებენ შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტები. შესაბამისად, პოლიტიკური იდეოლოგია არის კორპორაციული ცნობიერების ნაირსახეობა, რომელიც ასახავს ჯგუფურ თვალსაზრისს პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაზე და გამოირჩევა სულიერი ექსპანსიის მიდრეკილებით.

◆ პოლიტიკური იდეოლოგია წარმოადგენს პირველ ყოვლისა, ხელისუფლების სულიერ იარაღს, მაგრამ მისი რეალური როლი ხელისუფლებასთან მიმართებით დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცნობიერების მისი შეთვისების ხასიათსა და დონეზე.

◆ მეცნიერთა უმრავლესობა იდეოლოგიას ხსნის, როგორც განსაზღვრულ დოქტრინას, რომელიც ამართლებს ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფის მისწრაფებას ძალაუფლებისაკენ (ან მისი გამოყენებისაკენ) და რომლებიც ცდილობენ ამის შესაბამისად დაუმორჩილონ საზოგადოებრივი აზრი საკუთარ იდეებს.

◆ იმის გამო, რომ ნებისმიერი საზოგადოება, თვით ყველაზე განვითარებული და მაღალორგანიზებული შემა-

დგენლობით არაერთგვაროვანია (განსხვავებული სოციალური, ეროვნული, რელიგიურ-კონფესიური, დემოგრაფიული და სხვა ჯგუფებისაგან შედგება), განსხვავებული დოზით მათი ურთიერთდაპირისპირება ბუნებრივი პროცესია. ამ დაპირისპირებაში, რომელსაც ხშირად რადიკალური, კონფრონტაციული ხასიათი აქვს, სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფები ეყრდნობიან მათ მიერ გაზიარებული იდეების ერთობლიობას, რომელიც ამართლებს ან მათ ხელისუფლებაში მოსვლას (ოპოზიცია), ან ხელისუფლებაში დარჩენას (პოზიცია).

◆ არსებითად, პოლიტიკური იდეოლოგია წარმოადგენს ერთ იდეურ პოზიციაზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის არსებით პრიორიტეტებზე მდგარ სოციალური ჯგუფის კოლექტიურ აზრს, რომელიც შემუშავებულია პოლიტიკური ელიტის მიერ და შემდგომ გაზიარებულია პარტიისა და ხალხის ნაწილის მიერ.

◆ ცალკეული პოლიტიკური იდეოლოგიის უკან განსაზღვრული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებია და სრულიად ბუნებრივია, რომ პოლიტიკური ოპოზიცია დაინტერესებულია არსებული ხელისუფლების შეცვლით, მისი ადგილის დაკავებით, საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე თეორეტიკოსები მის აუცილებელ ფუნქციად მიიჩნევენ საზოგადოების ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრირებას, შეკავშირებას გარკვეული ინტერესების საფუძველზე.

◆ პოლიტიკური იდეოლოგიის სწორედ ამ თვისებისა და ფუნქციის გამო, რომ ის ნამდვილად არ გახდეს ხელისუფლების მსახური და მისი სულიერი ექსპანსიის იარაღი,

აუცილებელია დემოკრატიულ, პლურალისტულ საზოგადოებაში ერთდროულად ფუნქციონირებდეს პოლიტიკური იდეოლოგიის რამდენიმე ნაირსახეობა და ეს განასხვავებს ასეთ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, ტოტალიტარიზმისაგან.

◆ პოლიტიკური იდეოლოგია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განუყოფლი ნაწილი და ბევრ ასპექტში, მისი განმსაზღვრელიცაა. პოლიტიკური იდეოლოგიის შექმნა, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალ ქვეყანაში უკვე საუკუნეების განმავლობაში თეორიულად უაღრესად დახვეწილ და დამუშავებულ ზოგად ნიშნებს, ასევე მრავალ ქვეყანაში აპრობირებულ პრაქტიკულ შედეგებს, არ არის რთული.

◆ პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი და საზოგადოებრივ აზროვნებაში მისი გამტარებელი, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიაა. რადგან პარტიების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი პოლიტიკური იდეოლოგიებია, მათ შორის მეტოქეობა, ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ამ დაპირისპირების ხასიათი პოლიტიკური ძალების პოლარიზაციაზე დამოკიდებული.

3. თანამედროვე იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების სათავეებთან

❖ ადრეული პარტიების მაგალითად შეგვიძლია გველფები¹⁷ და გიბელინები¹⁸ დავასახელოთ შუა საუკუნეების იტალიაში¹⁹, ინგლისის რევოლუციის პერიოდში - კავალერები,²⁰ მრგვალთავიანები.²¹

¹⁷ გველფები (იტალ. guelfi, გერმ. Guelfen / Welfen) – პაპის მომხრე პოლიტიკური მოძრაობა XII-XVI საუკუნის იტალიაში, რომელიც იბრძოდა რომის საღვთო იმპერიის იმპერატორთა და იტალიაში მათი მომხრეების „გიბელინების“ – წინააღმდეგ (უპირატესად შედიოდნენ ვაჭრები და ხელოსნები).

¹⁸ გიბელინები (იტალ. ghibellini, გერმ. Ghibellinen / Waiblinger) – პოლიტიკური მოძრაობა XII-XIII საუკუნის იტალიაში, რომელიც მხარს უჭერდა გერმანიის იმპერატორებს და ებრძოდა პაპის პარტიას – გველფებს (შედგებოდა უპირატესად ფეოდალურ დიდგვარიანთა წარმომადგენლებისაგან).

¹⁹ გველფებსა და გიბელინებს შორის ბრძოლამ ასახვა პოვა ცნობილი ფლორენციელის დანტე ალიგიერის პოემაში „ღვთაებრივი კომედია“ (1307-1321), რომელიც იყო ამ მოვლენების მონაწილე.

²⁰ კავალერები (Cavalier) – ინგლისელი როიალისტები ანგლიკანური ეკლესიისა და ჩარლზ I-ის მომხრეები ინგლისის სამოქალაქო ომში. ინგლისის არისტოკრატის წარმომადგენლები. მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგეები იყვნენ მრგვალთავიანები. ისინი ატარებდნენ გრძელ თმებსა და თეთრ კაფტანებს. კავალერებს წინამძღოლობდა პრინცი რუპერტი.

²¹ „მრგვალთავიანები“ (Roundheads) – ეწოდებოდა პარლამენტის მომხრეებს ინგლისის რევოლუციის დროს. მათი დაუძინებელი მტრები იყვნენ კავალერები. სახელწოდება მიიღო მოკლედ შეჭრილი თმების გამო, რომელსაც მრგვალთავიანები ატარებდნენ, მათი გასწვრივსახვებელი ნიშანი იყო აგრეთვე წითელი მუნდირები. მათი წინამძღოლი იყო ჯერ გრაფი ესექსი, შემდეგ ოლივერ კრომველი. მრგვალთავიანები იყვნენ კალვინიზმის მიმდევრები.




სურ. 2. XVII
ს-ში ცნობილი
პურიტანელი
თეოლოგების
გალერეა:
ტომას ჰუეი,
უილიამ ბრიჯი,
ტომას მანტონი,
ჯონ ფლაველი,
რიჩარდ სიბესი,
სტივენ ჩარნოვი,
უილიამ ბეიტსი,
ჯონ ოუენი,
ჯონ ჰოუ,
რიჩარდ
ბაქსტერი

პურიტანები

❖ თანამედროვე იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობები სათავეს იღებენ სამი საუკუნის წინანდელ ინგლისში. მე-17 საუკუნის ინგლისის რევოლუციის წინარე პერიოდსა და მისი მიმდინარეობისას ჩამოყალიბდა **ორი ზანაკი**, რომლებიც წარმოადგენდნენ საპირისპირო პოლიტიკურ

და რელიგიურ კონცეფციებს, აგრეთვე სხვადასხვა სოციალურ ინტერესებს.

❖ **აბსოლუტიზმის** დასაყრდენს წარმოადგენდნენ „ძველი“, **ფეოდალური თავად-აზნაურობისა და ანგლიკანური სამღვდელოების წარმომადგენლები**, რომლებიც გამოდიოდნენ უწინდელი ფეოდალური წესისა და ანგლიკანური ეკლესიის დასაცავად.



❖ რეჟიმის ოპოზიციის ბანაკი აერთიანებდა **ახალ თავად-აზნაურობასა და ბურჟუაზიას** საერთო სახელწოდებით „**პურიტანები**“²² (Puritans). ესენი იყვნენ ინგლისელი პროტესტანტები, კალვინიზმის მიმდევრები XVI-XVII საუკუნეების ინგლისში. მათი მოძრაობა მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ინგლისის ეკლესიის გაწმენდას კათოლიციზმის ნაშთებისაგან.

❖ აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგენი, ანგლიკანური ეკლესიის „განწმენდის“ დროშის ქვეშ მოითხოვდნენ ბურჟუაზიულ გარდაქმნებს, რეფორმაციის დასრულებას და

²² **პურიტანობა, პურიტანიზმი** – ცხოვრების წესი: მორალის უკიდურესი სიმკაცრე და მოთხოვნილებების ასკეტური შეზღუდვა, ანგარიშიანობა, მომჭირნეობა, შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა. ისინი **ჯეიმზ I**-მა გადაასახლა ახლად აღმოჩენილ ამერიკის მიწაზე, სადაც მათ შექმნეს ინგლისური კოლონიები და იქაურობა ააყვავეს. XVIII საუკუნის მეოთხედში აქტიურმა მონაწილეებმა დიდი როლი მიიღეს შეერთებული შტატების ჩამოყალიბებაში.

სამეფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ახალი ეკლესიის შექმნას.

❖ ინგლისის ბურჟუაზიის სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნების რელიგიურად შეფუთვას, რომელთა დიდი ნაწილი ატარებდა წმინდა საერო ხასიათს, მეტწილად განაპირობებდა ანგლიკანური ეკლესიის განსაკუთრებული როლი აბსოლუტიზმის საფუძვლების დაცვასა და საეკლესიო-ბიუროკრატიული აპარატის მიერ ოპოზიციის ჩახშობაში.

❖ ამასთანავე, აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგე რევოლუციური ბანაკი არ იყო ერთიანი, არც სოციალურ და, არც რელიგიურ ასპექტში. რევოლუციის მსვლელობისას საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმდინარეობა: **პრესვიტერიანელები, ინდეპენდენტები და ლეველერები.**

პრესვიტერიანელები

(ზომიერი პოლიტიკური მიმდინარეობა)

❖ პრესვიტერიანობა იყო კალვინიზმის ნაირსახეობა ინგლისსა და შოტლანდიაში. XVI საუკუნის შუა წლებში შოტლანდიაში დაარსა *ჯან კალვინის* მოსწავლემ, შოტლანდიელმა რელიგიურმა რეფორმატორმა *ჯონ ნოქსმა*. (John Knox; 1513-1572). ისინი უარყოფდენ ეპისკოპოსის ხელისუფლებას და კულტის მსახურად ცნობდნენ მხოლოდ პრესვიტერს (მღვდელს). სახელმწიფო რელიგიად აღიარეს შოტლანდიაში 1592 წელს. ინგლისის რევოლუციის პერიოდში შექმნილი პრესვიტერიანელების პოლიტიკური პა-

რტია. იგი აერთიანებდა **მსხვილ ბურჟუაზიას** და **ჯენტრის**²³ სათავეში მდგომთ, შეადგენდა რევოლუციის მარჯვენა ფრთას. მათი მაქსიმალური მოთხოვნა იყო მეფის თავნებობის შეზღუდვა და მისი მძლავრი ხელისუფლებით კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

❖ პრესვიტერიანელების რელიგიურ-პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა: ეკლესიის გაწმენდას კათოლიციზმის გადმონაშთებისაგან, მის რეფორმირებას და პრესვიტერების საეკლესიო-ადმინისტრაციული ოლქების სათავეში ყველაზე შეძლებული მოქალაქეების დანიშვნას.

❖ პრესვიტერიანელებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს 1640-1648 წლებში. მათ ბრძოლას ახასიათებდა დასაწყისში რევოლუციის მშვიდობიანი ანუ „კონსტიტუციური“ განვითარება, ხოლო შემდეგ იგი სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

ინდეპენდენტები

(რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობა)

❖ ინდეპენდენტები [independents დამოუკიდებელნი] - მე-17 ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში შექმნილი პოლიტიკური პარტია. იგი გამოხატავდა სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის საშუალო ფენების ინტერესებს. მათი პოლიტიკური ლიდერი გახდა **ოლივერ კრომველი**,²⁴

²³ **ჯენტრი** [Gentry] – ინგლისში მე-17-18 სს.-ში: წვრილფეხა მემამულეები.

²⁴ **ოლივერ კრომველი** (Oliver Cromwell, 1599-1658) – ინგლისელი სამხედრო მოღვაწე და პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც ინგლისში მონარქია დაამხო და რესპუბლიკური მმართველობა დაამყარა. ეკავა ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ლორდ

ძირითადად წარმოადგენდნენ საშუალო და წვრილ თავადაზნაურობას და ქალაქის ბურჟუაზიის საშუალო ფენებს.

❖ მათ უნდოდათ მიეღწიათ, როგორც მინიმუმ შეზღუდული, კონსტიტუციური მონარქიის დამყარებისათვის. ამიტომ ინდიპენდენტთა პროგრამა ითვალისწინებდა ქვეშევრდომების ხელშეუვალი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და გამოცხადებას, პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა სინიდისისა (პროტესტანტებისთვის) და სიტყვის თავისუფლებას.

❖ ინდეპენდენტები ითხოვდნენ ცენტრალიზებული ეკლესიის გაუქმებასა და ადმინისტრაციული აპარატისაგან დამოუკიდებელი ადგილობრივი რელიგიური თემების შექმნას.

❖ ინდეპენდენტური მიმდინარეობის შემადგენლობა იყო ყველაზე ჭრელი და არაერთგვაროვანი.

პროტექტორის პოსტები. კრომველი ერთ-ერთი პირველი მეთაური იყო „ახალი მოდელის არმიის“, რომლის საშუალებითაც „მრგვალთავიანებმა“ გაანადგურეს როიალისტები. მეფე **ჩარლზ I-ს** სიკვდილით დასჯის შემდეგ (1649 წ.) კრომველმა დაიპყრო ირლანდია და შოტლანდია და ინგლისის რესპუბლიკას 1653-1658 წლებში მართავდა ლორდ პროტექტორის წოდებით. მის სიკვდილამდე ინგლისი რესპუბლიკად რჩებოდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ლორდ-პროტექტორის ადგილი მისმა უფროსმა ვაჟმა, **რიჩარდ კრომველმა** დაიკავა. მის დროს ქვეყანაში საშინელი არეულობა და ქაოსი გაბატონდა. ასეთი მდგომარეობით შეშინებულმა დეპუტატებმა ინგლისის ტახტზე **ჩარლზ I-ის** ვაჟი, **ჩარლზ II** მოიწვიეს. ამის შემდეგ კრომველი საფლავიდან ამოთხარეს და სახორჩობელაზე ჩამოვიდეს, როგორც ქვეყნის მოღალატე.



სურ. 2. ოლივერ კრომველი
(Oliver Cromwell) 1599 – 1658

❖ რევოლუციის რადიკალურ, „ინდეპენდენტურ“ ეტაპზე (1649-1660) გაუქმდა მონარქია, დამყარდა რესპუბლიკა (1649-1653), რომელიც შემდგომ გადაიზარდა სამხედრო დიქტატურაში (1653-1659), თავის მხრივ, რომელმაც მიიყვანა მონარქიის რესტავრაციამდე.

ლეველები

რადიკალური პოლიტიკური მიმდინარეობა

❖ **ლეველები** („გამთანაბრებლები“) – რადიკალური წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პოლიტიკური პარტია ინგლისის XVII საუკუნის რევოლუციის პერიოდში (ხელოსნები, წვრილი ვაჭრები) ჩამოყალიბდა როგორც საერთოეროვნული დაჯგუფება 1647 წ. (მანამდე არსებობდნენ როგორც ინდეპენდენტების მემარცხენე მიმდინარეობა); რევოლუციის პროცესში ინდეპენდენტურ მიმდინარეობას გამოყოფილი, ეგრეთ წოდებული, **ლეველები**, ყველაზე მეტი მხარდაჭერით სარგებლობდნენ ხელოსნებსა და გლეხებში.

❖ ლეველებმა თავიანთ მანიფესტში „სახალხო თანხმობა“ (1647) წამოაყენეს სახალხო სუვერენიტეტის, საყოველთაო თანასწორობის იდეა და ითხოვდნენ რესპუბლი-

კის გამოცხადებას, კაცთა საყოველთაო საარჩევნო უფლებებს, შემოღობილი თემების ხელში მიწების დაბრუნებას, „საერთო უფლებების“ რთული და ვებეერთელა სისტემის რეფორმებს.

❖ ლეველერების იდეებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფეოდალურ წყობილების წინააღმდეგ შემდგომ იდეურ-პოლიტიკური ბრძოლაში. ამასთან, გამოდიოდნენ

რა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისთვის, ლეველერებმა გვერდი აუარეს გლეხობის ძირითად მოთხოვნებს კოპიჰოლდებისა და ლენდლორდების ძალაუფლების გაუქმების შესახებ.



ჯონ ლილბორნი
John Lilburne (1614 –1657)
ლეველერების ლიდერი

დიგერები

უკიდურესად მემარცხენე რადიკალური მიმდინარეობა

❖ **დიგერები**²⁵ ლეველერების ყველაზე რადიკალურ ნაწილს შეადგენდნენ, რომლებიც თავისთავს „ჰემმარიტ ლეველერებს“ უწოდებდნენ. ისინი წარმოადგენდნენ სოფ-

²⁵ **დიგერები** (Diggers – მთხრელები) - ინგლისის XVII საუკუნის რევოლუციის დროს აგრარული მოძრაობის მონაწილენი, სოფლისა და ქალაქის ღარიბი ფენების წარმომადგენლები.

ლისა და ქალაქის უღარიბეს
გლეხობასა და პროლეტარულ
ელემენტებს.

❖ დიგერები აყენებდნენ
მოხმარების საგნებსა და მიწაზე
კერძო საკუთრების მოსპობის
მოთხოვნებს.

❖ დიგერების სოციალურ–
პოლიტიკური შეხედულებები წა-
რმოადგენდნენ გლეხური უტო-
პიური კომუნიზმის სახესხვაობას.



დიგერების ანუ „ჭიმმარტი
ლეველერების“
ილუსტრირებული
მანიფესტი. 1649 წ.

თანამედროვე პოლიტიკური მიმდინარეობების უშუალო იდეოლოგიური წანამძღვრები

❖ თანამედროვე ევროპის პოლიტიკური მიმდინარეობების უშუალო იდეოლოგიური წანამძღვრები გაჩნდა მე-18 საუკუნეში. ეს იყო საზოგადოების პროგრესული ნაწილის ანტიფეოდალური თეორიები, რომლის თანახმად საყოველთაო ბედნიერების მისაღწევად აუცილებელი იყო განხორციელებულიყო ბუნების მიერ ბოძებული ე. წ. „ბუნებითი უფლებები“: თავისუფლება, თანასწორობა, საკუთრება, ჩავგრისადმი წინააღმდეგობის გაწევა და სხვ.

❖ იმ პერიოდის განმანათლებლები საზოგადოების მესამე წოდების – ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ და აკრიტიკებდნენ რა არსებულ სამართალს, სახელმწიფო ხელისუფლებას, პრივილეგიური წოდებების უპირატესობებს, არსებული პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას მოითხოვდნენ.

❖ განმანათლებლობის ეპოქაში წარმოშობილი პოლიტიკური იდეოლოგიები სხვადასხვაგარად ასაბუთებდნენ პროგრესის იდეას, აყენებდნენ საზოგადოების მოწყობის სხვადასხვა მოდელსა და ამ საზოგადოების დამკვიდრების სხვადასხვა გზას.

❖ თანდათან გამოიკვეთა პოლიტიკური იდეოლოგიებისა და მიმდინარეობების განსხვავება ძირითადად ორი ნიშნით:

- დამოკიდებულება სასურველი, იდეალური საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის მოდელთან;
- დამოკიდებულება საზოგადოების პროგრესთან და მისი განხორციელების საშუალებებთან.

❖ პირველი ნიშნის საფუძველზე პოლიტიკური იდეოლოგიები და მიმდინარეობები თანდათან დაიყო „მემარჯვენედ“, „ცენტრისტულად“ და „მემარცხენედ“, ხოლო მეორე ნიშნის – სოციალური ცვლილებებისადმი მიდგომის მიხედვით გამოიყო რადიკალები (რომლებიც მუდმივ ღრმა რევოლუციურ ცვლილებებს ემხრობიან) და კონსერვატორები (რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ არსებული სოციალური წყობა).

❖ რადიკალებსა და კონსერვატორებს შორის გაჩნდნენ ძალები ზომიერი პოლიტიკური ორიენტაციებით, რომლებმაც თანდათანობითი რეფორმების გზა აირჩიეს.

❖ ტერმინები „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიდან მოდის. 1789 წელს დიდგვაროვანთა პირველ კრებაზე განსხვავე-

ბული ქონებრივი მდგომარეობის ჯგუფებს განსხვავებული ადგილები ეკავათ.

მეფის მხარდამჭერი არისტოკრატები მისგან მარჯვნივ ისხდნენ, რადიკალები კი, მესამე წოდების წევრები, – მარცხნივ. ადგილთა ასეთი განლაგება შენარჩუნდა მომდევნო ფრანგულ თავყრილობებზეც.

❖ ტერმინმა „მემარჯვენემ“ მალე დაიმკვიდრა რეაქციულის ანუ მონარქისტულის გაგება, ხოლო „მემარცხენემ“ – რევოლუციის ან ეგალიტარიზმის მომხრე მიმართულების მნიშვნელობა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მემარცხენედ და მემარჯვენედ დაყოფა სულ უფრო რთული ხდება და აღარ გამოხატავს უბრალო არჩევანს რევოლუციასა და რეაქციას შორის.

❖ ამ პოლიტიკურ მიმართულებებში სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ პროგრესის იდეას, განიხილავდნენ საზოგადოების მოწყობის სხვადასხვა მოდელსა და ამ საზოგადოების დამკვიდრების სხვადასხვა გზას.

მაგალითად, „მემარჯვენეების“ მიხედვით პროგრესს ისეთი საზოგადოება განაპირობებს, რომელიც ემყარება თავისუფალი კონკურენციის, ბაზრის, კერძო საკუთრებისა და მეწარმეობის იდეალებს (ღირებულებებს), თუმცა „მემარჯვენე“ მიმართულებები და იდეოლოგიები არაერთგვაროვანია. იგი მოიცავს პოლიტიკურ შეხედულებათა მთელ სპექტრს ულტრამემარჯვენეებიდან (ფაშიზმი, რასიზმი) ლიბერალ-დემოკრატებამდე.

„მემარცხენე“ პოლიტიკურ სპექტრს წარმოადენს ისეთი შეხედულებები, რომელიც სოციალურ პროგრესს

საზოგადოების მუდმივ ცვლილებებში ხედავს, რაც მიმართულია ადამიანთა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის მისაღწევად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პირობების შესაქმნელად.

❖ ასეთად ძირითადად სოციალისტური ტიპის იდეოლოგიები გვევლინება, თუმცა თანასწორობისა და სამართლიანობის ფასეულობათა ცხოვრებაში გატარება „მემარცხენებს“ სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ.

კერძოდ, კომუნისტები უპირატესობას ანიჭებდნენ საზოგადოების რადიკალურ გარდაქმნებს. თანასწორობისა და სამართლიანობის მიღწევას ვარაუდობდნენ გეგმური ეკონომიკით, კერძო საკუთრებაზე საზოგადოებრივი საკუთრების პრიორიტეტით, ანაზღაურებას დახარჯული შრომის მიხედვით.

სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები ნეგატიურად არიან განწყობილი სოციალური ცვლილებების რევოლუციური მეთოდებისადმი და უპირატესობას რეფორმებს ანიჭებენ. თანასწორობასა და სამართლიანობას ისინი განმარტავენ არა როგორც შედეგების თანასწორობას, არამედ დამოუკიდებელი ცხოვრების დამწყები ინდივიდებისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნას.

კომუნისტებისაგან განსხვავებით სოციალისტები ეფექტიანი ეკონომიკისა და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების შექნაში უპირატესობას კერძო საკუთრებას ანიჭებენ.

❖ უკვე სამი საუკუნეა, რაც პოლიტიკური იდეოლოგია მსოფლიო ისტორიის აუცილებელ კომპონენტს წარ-

მოადგენს. იგი წარმოიშვა იმ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ძვრების შედეგად, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიოს სახე ჩამოაყალიბეს და რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოციალური ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური განვითარების მიმდინარე პროცესთან.

❖ მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიურ–პოლიტიკური მოძღვრებები და პოლიტიკური მიმდინარეობები თავდაპირველად ინდუსტრიულ დასავლეთში განვითარდა, შემდგომში მან მთელი დედამიწა მოიცვა და პოლიტიკური დისკურსის მსოფლიო ენა წარმოქმნა.

❖ ევროპის პოლიტიკურმა განვითარებამ წარმოშვა შემდეგი ძირითადი იდეურ–პოლიტიკური მიმდინარეობები:

ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, ნეოკონსერვატიზმი, მარქსიზმი, სოციალ-დემოკრატია, ფაშიზმი, ანარქიზმი და სხვ. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სათავეები, სოციალური ბაზა, თეორიულ–მეთოდოლოგიური პრინციპები და დასაცავი სოციალურ–პოლიტიკური იდეები.

4. ევროპის პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მიმდინარეობების კლასიფიკაცია, ორგანიზაციული და სოციალურ-პოლიტიკური კრიტერიუმები

✧ პარტიების აქ წარმოდგენილი ისტორიული კლასიფიკაცია, ძირითადად, ამერიკელი პოლიტოლოგების, *რიჩარდ გიუნტერის* (Richard Gunther, 1946) და *ლარი დაიმონდის* (Larry Diamond) კლასიფიკაციას ემყარება.

- პარტიები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში არსებობდა. ისინი „დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულ დაპირისპირებულ ჯგუფებს“ წარმოადგენდნენ.
- ათენის სახალხო კრებაზე მოქალაქეები სოციალური სტატუსის, საცხოვრებელი ადგილისა და ამა თუ იმ მოღვაწის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ.

✧ თანამედროვე პარტიების პროტოტიპებად შეიძლება მივიჩნიოთ **ვიგები** და **ტორებიც** XVII-XVIII საუკუნეების ინგლისის პარლამენტში; ისინი სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის საკითხის მიმართ სხვადასხვა შეხედულების მქონე ჯგუფებს წარმოადგენდნენ.

✧ საკუთრივ პარტიები, ამ სიტყვის ვიწრო განმარტებას თუ ვიხმართ, მხოლოდ საკონსტიტუციო მთავრობისა და კემმარტი არჩევნების შემოღების შემდეგ გაჩნდა.

- პარტიების ამგვარი ვიწრო განმარტების მაგალითად შეიძლება გამოდგეს: „ორგანიზაცია, რომელიც მმართველებს ამომრჩეველთან აკავშირებს, ცდილობს, უზრუნველყოს წარმომადგენლობა და დაეუფლოს ხელისუფლებას არჩევნებზე კანდიდატთა წარდგენის გზით.“
- ამგვარად, პარტიების განვითარება არჩევნებთან, კერძოდ კი, მოსახლეობის ფართო ფენების მიერ საარჩევნო უფლებების მოპოვებასთან არის დაკავშირებული.

✧ იმ პერიოდში, როდესაც თანამედროვე პარტიების წინამორბედები (ვიგები და ტორები ინგლისში, ლიბერალები და კონსერვატორები სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში) გაჩნდნენ, ხმის უფლება მხოლოდ ადგილობრივ წარჩინებულთა ვიწრო წრის პრივილეგია იყო.

✧ მომავალ დეპუტატს დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. პარლამენტში იგი პირადი ან მისი ოჯახის რეპუტაციის წყალობით ხვდებოდა. უკვე პარლამენტში ეს დეპუტატები საერთო ინტერესებისა ან/და პირადი ურთიერთობების გარშემო ფრაქციებს ქმნიდნენ.

✧ ამავე დროს, XVIII საუკუნის ბოლო გახდა ახალი ფენომენის მოწმე, რაც შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა დევიდ ჰიუმმა²⁶ (David Hume) დაახასიათა, როგორც:

²⁶ დევიდ ჰიუმი (1711 – 1776) შოტლანდიელი ფილოსოფოსი, ემპირიზმისა და აგნოსტიციზმის წარმომადგენელი, პოზიტივიზმის წინამორბედი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი,



გრაფიურა ჩარლზ I-ისა და მისი მიმდევრების გამოსახულებით.

„ყველაზე აუხსნელი ფენომენი, რომელსაც ოდესმე ადგილი ჰქონია ადამიანთა ურთიერთობებში - გაერთიანება (faction) პრინციპის გარშემო.“

✧ ცოტა მოგვიანებით, ინგლისელმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკოსმა, **ედმუნდ ბერკმა**²⁷ (Edmund Burke) პარტიის უკვე სრულყოფილი განსაზღვრება მოგვცა: „ადამიანთა ერთობა, რომელიც შექმნილი საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე ორიენტირებული რაიმე პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად.“

ამ განსაზღვრებაში კარგად ჩანს თანამედროვე პარტიების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი - პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ გაზიარებული რწმენა ან იდეოლოგია.

შოტლანდიური განმანათლებლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

²⁷ **ედმუნდ ბერკი** (1729-1797), ინგლისელი პარლამენტარი, პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებლობის ეპოქის პუბლიცისტი, კონსერვატიზმის იდეური მამამთავარი.



მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა «კავალერებსა და „მრგვალთავიანებს“ შორის 1645 წლის 14 ივნისს, რომელიც ცნობილია, როგორც „ნახები ბრძოლა“. რვა ათასიან „კავალერების“ ჯარს დაუპირისპირდა მრგვალთავიანების ორჯერ უფრო მეტი ძალა. ჩარლზ I ხედავდა, რომ უპირატესობა მრგვალთავიანების მხარეს იყო, თუმცა პრინც რუპერტი მოითხოვდა ბრძოლის დაწყებას და ამტკიცებდა: რომ მათი ჯარის შეიარაღება ბევრად სჯობდა მოწინააღმდეგეთა აღჭურვილობას. საბოლოოდ ამ ბრძოლაში მრგვალთავიანებმა გაიმარჯვეს.

✧ XVII საუკუნის 70-იან წლებში ინგლისში ჩამოყალიბდა ვიგების და ტორების პოლიტიკური პარტიები. ვიგები (Whigs) – ინგლისის ლიბერალური ოპოზიციის თავდაპირველი დამცინავი (მენახირე), სახელწოდება, რომელიც მიიღეს (1679) ინგლისის რევოლუციის პერიოდში. თვითონ ვიგებმა, თავის მხრივ, ჯეიმს II-ის მომხრეებს შეარქვეს მეტსახელი „ტორები“ (მათი პაპიზმის მომხრეობის გამო).

მეფე ჯეიმსის II-ის დროს ვიგები წარმოადგენდნენ ოპოზიციას, რომელიც გამოდიოდა ინგლისის რევოლუციის ტრადიციების დამცველად. მაგრამ 1688 წლის რევოლუციისა და მეფე ჯეიმსის განდევნის შემდეგ ისინი აღმოჩნდნენ




დევიდ ჰიუმი (David Hume; 1711 – 1776)

ხელისუფლების სათავეში და რჩებოდა მმართველ პარტიად მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში მცირე შესვენებებით.

✧ ვიგები ითვლებოდნენ **სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პარტიად**, განსხვავებით ტორებისაგან, რომლებიც **მიწათმოქმედთა არისტოკრატის პარტიას** წარმოადგენდა. ვიგების პარტია ითვლება **ლიბერალური პარტიის წინამორბედად** (1839).

✧ **ტორები** (Tory) – პარტია შეიქმნა 1678 წელს. ტერმინი თავდაპირველად აღნიშნავდა XVII საუკუნის ინგლისის სამოქალაქო ომის ირლანდიელ მონაწილეს და ჩვეულებრივ იგულისხმება ტორების პარტია **დიდი ბრიტანეთის თანამედროვე კონსერვატიული პარტიის წინამორბედი**. დღესაც კონსერვატიულ პარტიას შემოკლებით ტორებს ეძახიან.

✧ საარჩევნო უფლებების მოსახლეობის დაბალ ფენებზე გავრცელებამ და სოციალურმა ცვლილებებმა (ინდუსტრიალიზაციამ, ურბანიზაციამ) პარტიულ ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონიეს. არჩევითი თანამდებობის დაკავების მსურველს ახალი ამომრჩევლების - საშუალო ფენის, მუშებისა და გლეხების წარმომადგენლების - მხარდაჭერის მოსაპოვებლად მეტი სამუშაო უნდა გაეწია. ადამიანების სოფლებიდან ქალაქში საცხოვრებლად გადასვლამ კი მიწათმფლობელთა ტრადიციული ელიტის გავლენის სფერო შეზღუდა.



ედმუნდ ბერკი
(Edmund Burke; 1729–1797)

✧ ამ ცვლილებებმა ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიის, კლიენტელისტური პარტიის, გაჩენა განაპირობა. ახალ პირობებში საზოგადოების მაღალი და განათლებული ფენების წარმომადგენლებს (იქნებოდნენ მიწათმფლობელები, მეწარმეები, იურისტები თუ სხვ.) საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად საზოგადოების დაბალ ფენებ-

თან ურთიერთობების დამყარება დასჭირდათ. ეს ურთიერთობები ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანი უნდა ყოფილიყო; ხმების სანაცვლოდ პარლამენტში ან სხვა არჩევით თანანმდებობაზე გასული ადამიანები მრავალ სიკეთეს ჰპირდებოდნენ ამორჩევლებს.

✧ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანწილად, ამ სიკეთეების გადანაწილების ირგვლივ ვაჭრობისგან შედგებოდა. მოსახლეობის იმ ფენებისთვის, რომელთაც განათლებაზე, ძალაუფლებაზე და სხვა რესურსებზე ხელი არ მიუწვდებოდათ, კლიენტელისტური ურთიერთობები განსაკუთრებით მომგებიანად ჩანდა.

✧ მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში ასეთი მეთოდებით პოლიტიკოსები ხშირად ინგლისური ენის არმცოდნე ახლად ჩამოსული ემიგრანტების ხმებს იზიდავდნენ. განათლებისა და საერთო

კეთილდღეობის ზრდასთან ერთად კლიენტელიზმზე დამყარებულმა ურთერთობებმა თავისი მნიშვნელობა თანდათანობით დაკარგეს.

✧ პოლიტიკაში მოსახლეობის ახალი ფენების ჩართვა ახალი ტიპის, მასობრივი პარტიის გაჩენას განაპირობებს. ამ პარტიების მთავარი ამოცანა იყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (მუშების, მორწმუნეების, გლეხების, სხვა ფენების) ინტერესთა წარმოდგენა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩართვა. ესენი იყვნენ აგრარული, რელიგიური, მუშური/სოციალისტური ან ნაციონალისტური პარტიები.

✧ ელიტური პარტიებისაგან განსხვავებით, თავიდან ამ პარტიების საქმიანობა პარლამენტის, სხვა სახელისუფლებო სტრუქტურებისა და საზოგადოების მაღალი ფენების გარეთ მიმდინარეობდა.

✧ მასობრივი პარტიების გაჩენით პოლიტიკაში ასახვა პოვა საზოგადოებაში უკვე არსებულმა დაპირისპირებებმა. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ასეთი დაპირისპირება იყო სოფლის მოსახლეობასა და ქალაქის ელიტებს შორის, რელიგიურსა და საერო პირებს შორის, დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის.

✧ ასეთი პარტიები, როგორც წესი, მასობრივ წევრობაზე დამყარებულ ორგანიზაციებს წარმოდგენდნენ; მათ ემატებოდა დამხმარე ორგანიზაციათა (ქალთა და ახალგაზრდათა კავშირები, პროფკავშირები) ფართო ქსელი.

✧ პარტიების მასობრივი ხასიათი საზოგადოების ფართო ფენების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის საშუალებას

იმყოფა. ასეთი პარტიების სიმღერე, მათ შორის საარჩევნო სიმღერე, პარტიებისა და დამხმარე ორგანიზაციათა სიმრავლით იყო განპირობებული.

✧ მასობრივ პარტიებს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი იდეოლოგიები და მათთვის დამახასიათებელი კულტურული სიმბოლოები გააჩნდათ. ამ იდეოლოგიებს და კულტურულ სიმბოლოებს პარტიები საზოგადოებაში ამკვიდრებდნენ. მაგალითად, ასეთი კულტურული სიმბოლოები იყო პარტიული დროშები, დღესასწაულები (ამის მაგალითია პირველი მაისის დღესასწაული).

✧ ამ პერიოდის პარტიების განვითარება დემოკრატიის განვითარების პროცესის ნაწილია. მასობრივი დემოკრატიის განვითარებასთან ერთად, პარტიებს და მათ მხარდამჭერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს სხვადასხვა ბარიერის გადალახვა უწევდათ.

✧ ნორვეგიელი პოლიტოლოგის *სტეინ როკანის* (ნორვ. *Stein Rokkan*, 1921–1979) თანახმად, მისაღწევი იყო:

ლეგიტიმაცია - შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, მთავრობის მიმართ კრიტიკული აზრის გამოთქმა და მთავრობისადმი მიმართვის შედეგიანობა.

ინკორპორაცია - მზარდი ოპოზიციური მოძრაობების მხარდამჭერი საზოგადოებრივი ჯგუფების საარჩევნო პროცესში ჩართვა;

რეპრეზენტაცია - პარტიების და პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოებში;

აღმასრულებელი ხელისუფლების სიმღერე - აღმასრულებელი ხელისუფლების დაცულობა საკანონ-

ნმდებლო ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა და პირდაპირი გავლენისაგან.

✧ ამის მიღწევა სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყანაში სხვადასხვა დროს მოხდა და უშუალოდ არ უკავშირდებოდა მოცემული ქვეყნების ინდუსტრიული განვითარებისა და ურბანიზაციის დონეს. მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლება და წარმომადგენლობითი მთავრობის ფორმირება ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრად უსწრებდა წინ ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას, გერმანიაში კი ამ ორი პოლიტიკური ინსტიტუტის დამკვიდრება ქვეყნის განვითარების უფრო გვიან ეტაპზე მოხდა.

✧ მასობრივ პარტიათა შორის ცალკე შეიძლება განვიხილოთ ნაციონალისტური პარტიები. ეს პარტიები მიზნად ქვეყნის შიგნით რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ან კოლონიური ქვეყნის მოსახლეობის მობილიზაციასა და ამა თუ იმ ფორმით თვითმმართველობის (ავტონომიის, დამოუკიდებლობის) მიღწევას ისახავდნენ.

✧ იმ განვითარებად ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება (ინდოეთი, ნიგერია და ა.შ.), დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ე.წ. კონგრესის ტიპის პარტიები მოვიდნენ სათავეში. ისინი, ერთი მხრივ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა ეთნიკური/რეგიონული ელიტების ინტეგრაციას ახდენენ, მეორე მხრივ კი, ქვეყნის მართვის პროცესში ამ ჯგუფების ინტერესების წარმომადგენლებად გვევლინებიან. ასეთი პარტიებია, მაგალითად, ინდოეთის ეროვნული კონგრესი, ნაციონალური ფრონტი მალაიზიაში და სხვ. მათი მოწოდე-

ბები ქვეყნის ერთიანობის გამტკიცებასა და გაძლიერებაზე არის მიმართული.

✧ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებენ პარტიები, რომლებიც გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ განხორციელებას არა თვითმმართველობისთვის ბრძოლით, არამედ მთლიანად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მეშვეობით ცდილობენ (თურქული უმცირესობის პარტია ბულგარეთში, უნგრულ პარტიათა გაერთიანება სლოვაკეთში).

✧ მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების მიჯნაზე ახალი ტიპის პარტიები ჩნდება. ეს პროტო-ჰეგემონური პარტიებია.

თუკი მანამდე პარტიები სხვა პარტიებთან და იდეოლოგიებთან თანაარსებობისათვის მზადყოფნას გამოხატავდნენ, ახალი ტიპის პარტიების მიზანს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სრული ძალაუფლების მოპოვება და საზოგადოების გარკვეული იდეოლოგიური თარგის მიხედვით გარდაქმნა წარმოადგენდა. ამ ტიპის იყო კომუნისტური ან ფაშისტური/ნაცისტური პარტიები.

✧ პოლიტიკური პოზიციისა და იდეოლოგიების კლასიფიკაციის დროს ხშირად გამოიყენება მემარჯვენეობა და მემარცხენეობა, ასევე მათ შორის მყოფი ცენტრისტობა. შესაბამისად ხდება პოლიტიკური ძალების (მაგ., პარტიების) დაყოფა და მიკუთვნება რომელიმე ფრთისთვის, თუმცა შესაძლებელია რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მრწამსი ერთ საკითხში ემთხვეოდეს მემარცხენეობას, მეორე საკითხში კი მემარჯვენეობას.

✧ მემარცხენე-მემარჯვენეობის იდეას საფუძველი საფრანგეთში ჩაეყარა.

მემარცხენეობაში მოიაზრება შემდეგი იდეოლოგიები:

პროგრესივიზმი; სოციალ-ლიბერალიზმი; სოციალ-დემოკრატები; სოციალიზმი; ცივილ-ლიბერტიანიზმი; სეკულარიზმი; კომუნიზმი; ანარქიზმი; მწვანეთა მოძრაობა.

მემარჯვენეობაში მოიაზრება შემდეგი იდეოლოგიები:

კონსერვატიზმი; რეაქციონარიზმი; ნეოკონსერვატიზმი; კაპიტალიზმი; ნეოლიბერალიზმი; სოციალ-ავტორიტარიზმი; მონარქიზმი; თეოკრატიზმი; ნაციონალიზმი; ნაციზმი (ნეო-ნაციზმი); ფაშიზმი.

✧ მემარჯვენეობა-მემარცხენეობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი. მემარჯვენეები მაშინ გახდნენ მეფის მომხრეები, ხოლო მემარცხენეები – რევოლუციის.

✧ სხვადასხვა პარტია ცდილობს შეინარჩუნოს და გაატაროს ერთი იდეოლოგია და ფასეულობები, რასაც თავიდან ეყრდნობიან, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში პარტიები ხშირად განიცდიან ადაპტაციას და მათი პროგრამების მიხედვით გარკვეული ხედვები იცვლება დროთა განმავლობაში.

✧ დღევანდელ დასავლეთ ევროპაში მემარჯვენეობას და მემარცხენეობას განასხვავებენ ძირითადი მახასიათებლებით.

მემარცხენეობა ორიენტირებულია სოციალურ სამართლიანობაზე (სოციალურ თანასწორობაზე და სოლიდარო-

ბაზე), ხოლო მემარჯვენეობა იცავს და აღიარებს საკუთრების უფლებას და კაპიტალიზმს.

✧ დროთა განმავლობაში მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის განსხვავებები იცვლება. აშშ-ში მემარჯვენეობა მემარცხენეობის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. ლიბერალიზმი – მემარცხენეობა, კონსერვატიზმი – მემარჯვენეობა. თუმცა ამ ორი ფრთის ზუსტი განსაზღვრის შესახებ კონსესუსი მიღწეული არ არის. აშშ-ში მარცხენა მხარეს, როგორც წესი, მოიაზრებენ დემოკრატებს და ეგალიტარიანიზმის (ყველა ადამიანი თანასწორია) იდეას. ხოლო მარჯვენა მხარეს რესპუბლიკელებს და კონსერვატიზმს. მემარცხენეობა-მემარჯვენეობის განხილვისას ზოგჯერ ასახელებენ ცენტრისტებსაც, რომელთაც ამ ორ მდგომარეობას შორის პოზიცია უჭირავთ.

5. ევროპაში იდეურ–პოლიტიკური მიმდინარეობების განლაგება და თანაფარდობა

□ **ნოლანის დიაგრამა.** ნოლანის დიაგრამა წარმოადგენს ამერიკელი პოლიტიკოსის, დევიდ ნოლანის მიერ შემუშავებულ დიაგრამას, მისი მიხედვით ადამიანის პოლიტიკური მოქმედება იყოფა ეკონომიკურ და პერსონალურ კატეგორიებად.

□ ლიბერტარიანიზმი მოიაზრებს ეკონომიკურ და პიროვნულ თავისუფლებას. მარცხენა მხარეს განლაგებული ლიბერალიზმი მოიაზრებს პიროვნულ თავისუფლებას, მარჯვენა მხარეს – კონსერვატიზმი კი ეკონომიკურ თავისუფლებას.



დევიდ ნოლანი
(David Fraser Nolan)
1943–2010)

□ ნოლანის დიაგრამის ძირითადი ელემენტებია: ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, ლიბერტარიანიზმი და სტატიზმი.

□ ლიბერალიზმი პიროვნული თავისუფლება, მაგრამ ნაკლები ეკონომიკური, კონსერვატიზმი – ეკონომიკური თავისუფლება, მაგრამ ნაკლები პირადი. ლიბერტარიანიზმი – ეკონომიკური და პირადი თავისუფლება, ორივე ერთად.

სტატიზმი (სტატისტი) – მიიჩნევა, რომ ეკონომიკაც და პიროვნებაც უნდა მართოს სახელმწიფომ.

□ ეს მოსაზრებები არის ფარდობითი და არ არის აბსოლუტური. შეიძლება კონსერვატორი ეთანხმებოდეს ან არ ეთანხმებოდეს მისი იდეისგან განსხვავებულ სხვადასხვა საკითხს, ასევე სხვა ნებისმიერი იდეოლოგიის მომხრისთვისაც.

□ ნოლანის დიაგრამა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღერძებისაგან. ჰორიზონტალური ნიშნავს ეკონომიკურ თავისუფლებას, ხოლო ვერტიკალური შეესაბამება პიროვნული თავისუფლების ხარისხს.

□ ღერძის მარცხენა ზედა ნაწილი - მემარცხენეობა-მხარს უჭერს მაღალი დონით პიროვნულ თავისუფლებას და მცირე დონით ეკონომიკურ თავისუფლებას.

ღერძის ქვედა მარჯვენა ნაწილი, მემარჯვენეობა – ეკონომიკური თავისუფლება და დაბალი დონით პიროვნული თავისუფლება.

□ ღერძის მარჯვნივ მაღლა – ლიბერტარიანიზმი.

ღერძის მარცხნივ ქვევით – სტატიზმი, პოპულიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, ფაშიზმი.

□ დიაგრამის შუა ნაწილში გამოყოფენ ცენტრისტულ პოზიციას, რომელიც ამ იდეოლოგიების შეჯერებულ ვარიანტს წარმოადგენს.

□ დიაგრამის ღერძის მარცხნივ დალაგებულია *მემარცხენე* პოლიტიკური თავისუფლებები, პირველ ყოვლისა, რომლებიც დაკავშირებული არიან მოქალაქეთა ოპოზიციური საქმიანობის ტრადიციულ გარანტიებთან. ესაა სიტყვის თავისუფლება, კრების თავისუფლება, თავისუფლება იყოს არჩეული და აირჩიოს ხელისუფლების ორგანოები.


ამასვე განეკუთვნება რწმენის თავისუფლება, არმიაში სამსახურის ან უარის თქმის არჩევანის თავისუფლება, იმ ნივთიერებების (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკი) მოხმარების თავისუფლება, რომელიც გონებაში იწვევს ცვლილებებს, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თავისუფლება, ნებისმიერი არაძალადობრივი სექსის თავისუფლება და სხვ.

□ ღერძის მარჯვენა მხარეს განლაგებულია *მემარჯვენე* ეკონომიკური თავისუფლებები, რომლებიც დაკავშირებული არიან კერძო საკუთრების უზრუნველყოფასთან, კონტრაქტის გაფორმების თავისუფლებასთან, რომელიც თავისუფალი იქნება გადასახადებისაგან, ბაჟისაგან, ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევისაგან.

□ პოლიტიკოსები, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი, წარმოდგენილი სქემის შესაბამისად შეიძლება კლასიფიცირდეს იმ პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების რაოდენობის საფუძველზე, რაც მათ მიერ დაშვებულია ცხოვრებაში.


□ ღერძის ქვემოთ ავტორიტარიანელები მიიჩნევენ, რომ საერთოდ არ სჭირდებათ ადამიანებს ზედმეტი თავისუფლება. მაგალითად გამოდგება *ჰიტლერი* და *სტალინი* არავითარი პოლიტიკური თავისუფლებები და ქვეყანა უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად არის გადაქცეული. აგრეთვე, არავითარი ეკონომიკური თავისუფლებები და ამ ქვეყანა-საკონცენტრაციო ბანაკში საჭმელი აღარ იშოვება. ფაშისტები და კომუნისტები სულაც არ არიან უკიდურესი მემარჯვენენი და უკიდურესი მემარცხენენი. ისინი ერთნაირად მსგავსნი არიან.

□ მემარჯვენეები, კონსერვატორები მოყვარულები არიან ბაზრის და მზად არიან ნებისმიერი მეთოდით დაიცვან საკუთარი უფლება ბაზარზე და რისთვისაც, საჭიროებისამებრ არ გამორიცხავენ სახელმწიფოს ძალის გამოყენებასაც. ისინი მოქალაქეთა მცირედი პიროვნული თავისუფლების პირობებში ემხრობიან ეკონომიკურ თავისუფლებას, პრაგმატიზმს, იერარქიულობასა და ორგანიზებულიობას.



ნაკლები ყურადღება ექცევა პოლიტიკურ თავისუფლებას: ცენზურა, განქორწინებების აკრძალვა, საეკლესიო განათლება, თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების აკრძალვა. ძლიერი პოლიცია იცავს მდიდრების უთანასწორობას, შედარებით ღარიბებისასაც, ნებისმიერ უკმაყოფილოსთან სწრაფად არკვევს საქმეს მორალისა და ზნეობრიობის დაცვის ღოზუნგით. ქვეყანა ემსგავსება დიდ და მამდარ, გასამხედროებულ მონასტერს.

□ მემარცხენეები, სოციალისტები, აღიარებენ პოლიტიკური თავისუფლების აუცილებლობას, მაგრამ ცოტა უფრო ხიან ეკონომიკურ თავისუფლებებს. ილაპარაკე, რაც გინდა და რაზეც გინდა. შეგიძლია გწამდეს ნებისმიერი



დმერთის, მოწიო და სვა შეზღუდვების გარეშე. მემარცხენეებს ძალიან უყვართ მსჯელობა თანასწორობის შესახებ. დროდადრო ამჩნევენ, რომ ზოგი ადამიანი სხვებთან შედარებით ცოტათი მდიდარია. მემარცხენეებს მაშინვე მოსდით იდეა თავში, რომ შეიძლება, მათ, ვინც მდიდარია, სახელმწიფოს ძალით წართვა ჭარბი ქონება და გადაუნაწილო

დანარჩენებს. ასეთ ქვეყანაში ცხოვრება კარგი გასართობია. მაგრამ საკვები, ტანსაცმელი და თავშესაფარი არასაკმარისია.

რაც შეეხება დიაგრამის ღერძის ქვედა ბოლოში მყოფთ, სტალინსა და ხუნტის დაწყების დროინდელ, მემარჯვენე საბაზროს წარმომადგენელ პინოჩეტს. მათ არცერთს არ გააჩნდათ სახელმწიფოში პოლიტიკური თავისუფლება. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მხოლოდ ამ კრიტერიუმით აფასებენ ვერ ხედავენ დიდ განსხვავებას **სტალინსა** და **პინოჩეტს** შორის, მაგრამ პინოჩეტმა უმაღლესი შემოიღო ჩილეში აბსოლუტური საბაზრო ეკონომიკა. მათთვის, ვინც ამჩნევს ეკონომიკურ სინამდვილეს, სტალინი და პინოჩეტი ანტიპოდები არიან.

□ ცენტრისტები აღიარებენ, რომ ადამიანებს სჭირდებათ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თავისუფლება, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ შემოიფარგლებიან მხოლოდ დამახასიათებელი ნაცნობი თავისუფლებით. მაგალითად, სიტყვის თავისუფლებას და სინდისის თავისუფლებას აღიარებენ, მაგრამ არ აღიარებენ თავისუფლებას, იმსახუროს ან არ იმსახუროს არმიაში, ეს, ცხადია, ძალიან უჩვეულოა. ასევე, აღიარებულია კერძო საკუთრება, მაგრამ ტარდება პროტექციონისტული პოლიტიკა. ჩვეულებრივ ცენტრისტები უმრავლესობას წარმოადგენენ. ისინი გარკვეულად უპრინციპობადაც კი შეიძლება ჩათვალოს: საკვანძო საკითხებში მათი შეხედულება შეიძლება ძირფესვიანად განიცდიდეს ცვლილებას, რადგანც მათ ვერ გაუაზრებიათ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას.

ცენტრისტები მზად არიან მოეჭიდნონ სახელმწიფოებრივი მექანიზმის ყველა მათთვის ხელმისაწვდომ ბერკეტს, შედეგად ამ ბერკეტების ნახევარს უჭირავს მემარცხენე, ხოლო ნახევარს მემარჯვენე მდგომარეობა, მაგრამ ეს არ ეფუძნება რაიმე პრინციპებს, არამედ უბრალოდ ეს „ასე მოხდა“. ცენტრისტებს უყვართ იყონ „მოქნილები“ – მათთვის სულ ერთია, მოცემულ მომენტში რომელი თავისუფლება – პოლიტიკური ან ეკონომიკური, მისცენ ან დაიცვან. ამიტომაც ისინი ჯგუფდებიან არა პროგრამების, არამედ გვარების მიხედვით.

□ მთლიანობაში საზოგადოებას ნებისმიერ ქვეყანაში უფრო იზიდავს მემარცხენე ცენტრისტული ორიენტაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო ადამიანი აღიარებს ნაწილს პოლიტიკური და ნაწილს ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას, მაგრამ ურჩევნია პოლიტიკური თავისუფლება ჰქონდეს ცოტა მეტი, ვიდრე ეკონომიკური. თვითონ ეს უპირატესი თავისუფლება აირჩევა შემთხვევითობის ნიშნით.

□ რა თქმა უნდა, ქვეყნის ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება პრობლემის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მხარესაც. უფრო მეტიც, მემარცხენეები და მემარჯვენეები გვთავაზობენ თავის ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს მხრიდან ამა თუ იმ შეზღუდვებთან.

□ საზოგადოება მოწყობილია იმგვარად, რომ პრინციპული მემარცხენეები არა მარტო იცავენ პოლიტიკურ თავისუფლებას, ისინი კიდევ აწარმოებენ შეტევით ომსაც

ბაზართან. მათ თვალში ყოველი წარმატებული მეწარმე, უთანასწორობის სიმბოლოა. პრინციპული მემარჯვენეები უკეთესები არაფრით არიან, ისინი იცავენ არა მარტო კერძო საკუთრებას და კონტრაქტების თავისუფლებას, არამედ ისინი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მზად არიან დააწესონ ცენზურა და მიიღონ კანონი „სამ კაცზე მეტი არ შეგროვდეთ“.

□ ამავე დროს, მრავალი ადამიანი, რომელთაც აუცილებლობად მიაჩნიათ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თავისუფლება. ისინი ხდებიან სოციალ-დემოკრატები, როდესაც საუბარი ეხება პოლიტიკას და ხდებიან კონსერვატორები, როდესაც ლაპარაკია ეკონომიკაზე. ეს ღერძზე ზევით მონიშნული ლიბერტიარიანელებია. ზედები ყოველთვის იძულებულნი ხდებიან, გამოიგონონ ახალი გადაწყვეტილება, რომელიც დააკმაყოფილებს, როგორც პოლიტიკური თავისუფლების, ისე ეკონომიკური თავისუფლების დამცველთ.

□ ლიბერტიარიანელები არ არიან ცოტანი. დროებით ევროპას, რომ შევეშვათ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მემარცხენე ცენტრისტული დემოკრატიულის და მემარჯვენე ცენტრისტული რესპუბლიკური პარტიების შემდეგ ლიბერტიარიანელთა პარტია მესამე უმსხვილესი პარტიაა. აშშ-ის წინა საპრეზიდენტო არჩევნებში ლიბერტიარიანელთა პარტიის კანდიდატმა ამომრჩეველთა ხმების 12% მოაგროვა. ჩილეში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკაში ლიბერტიარიანულმა რეფორმებმა ამ ქვეყნებს მოუტანა პოლიტიკური მშვიდობა და ეკონომიკური წარმატებები.

□ *პინოჩეტი მემარჯვენე დიქტატორიდან თანდათან გადაიქცა დიაგრამაში ზედა ლიბერტიარიანელად, 15 წლის განმავლობაში უმატებდა პოლიტიკურ თავისუფლებას საკმაოდ დემოკრატიულ არჩევნებამდე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნაც კი გამოვიტანოთ, რომ ზოგად თავისუფლებამდე შეიძლება მიხვიდე მხოლოდ მარჯვნიდან მარცხნივ ზემოთ...*

6. ლიბერალიზმი

იდევბი:	შიგა მიმდინარეობები:
თავისუფლება	ლიბერტარიალიზმი
კაპიტალიზმი	კლასიკური
ბაზარი	ლიბერალიზმი
ადამიანის უფლებები	ნეოლიბერალიზმი
სამართლის ბატონობა	სოციალ-ლიბერალიზმი
საზოგადოებრივი ხელშეკრულება	ნაციონალ-ლიბერალიზმი
თანასწორობა	ლიბერალური
ნაცია	ქრისტიანობა
პლურალიზმი	
დემოკრატია	

○ „ლიბერალიზმის მამად“ მიიჩნევა ინგლისელი ფილოსოფოსი და ექიმი, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე, **ჯონ ლოკი**. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისმა ნაშრომებმა გავლენა იქონიეს პოლიტიკური თეორიის განვითარებაზე, აგრეთვე *ვოლტერსა* და *ჟან-ჟაკ რუსოსზე*, შოტლანდიელ განმანათლებლებსა და ამერიკელ რევოლუციონერებზე. მისმა გავლენამ რესპუბლიკანიზმსა და ლიბერალურ თეორიაზე ასახვა პოვა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში.

○ ტერმინი „ლიბერალი“ – მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ლიბერ (liber), რომელიც თავისუფალ ადამიანთა კლასს აღნიშნავს. ისინი არც მონები იყვნენ და არც ყმები. ეს სიტყვა ნიშნავს ასევე „უხვს“. სოციალურ მიმართებაში კი სიწრფელეს ან მიუკერძოებლობას გულისხმობდა. მას უკავშირებენ ასევე თავისუფლებისა და არჩევანის იდეებს.

პოლიტიკური მნიშვნელობით იგი პირველად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 1812 წელს ესპანეთში გამოიყენეს.

ქართულ ენაში რუსული ენიდან უნდა იყოს შემოსული. რუსულში კი შევიდა ფრანგულიდან (libéralisme) მე-18 საუკუნის ბოლოს.

○ ლიბერალური იდეების ევროპაში განვითარება ფეოდალიზმის რღვევისა და მის ადგილზე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შედეგია.

○ ლიბერალები მეფეთა ღვთიურ უფლებას ანუ მონარქიას უპირისპირდებოდნენ, აბსოლუტიზმის ნაცვლად ისინი კონსტიტუციური, მოგვიანებით კი წარმომადგენლობითი მთავრობის იდეას ემხრობოდნენ, ასევე ეწინააღმდეგებოდნენ მიწათმფლობელთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრივილეგიებს და ფედერალურ სისტემას, რომელშიც სოციალურ მდგომარეობას დაბადების ფაქტორი განსაზღვრავდა.

ისინი მხარს უჭერდნენ რელიგიაში სინდისის თავისუფლებისათვის მოძრაობას და არც ეკლესიის გაბატონებულ გავლენას იწონებდნენ.

○ ისეთი იდეები, როგორცაა სიტყვის თავისუფლება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და საკუთრების უფლება, ყველა ლიბერალიზმიდან იღებს სათავეს.



ჯონ ლოკი

(John Locke, 1632–1704)

○ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგად გაჩნდა პირველი ქვეყანაც, რომელმაც შეიმუშავა კონსტიტუცია ლიბერალური სახელმწიფოს იდეების საფუძველზე, აქ განსაკუთრებით საყურადღებოა იდეა, რომ მთავრობა მართავს სახელმწიფოს ამომრჩეველთა თანხმობით.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს საფრანგეთის ბურჟუაზიაც აგრეთვე შეეცადა შეექმნა მთავრობა ლიბერალური პრინციპების საფუძველზე.

1812 წლის ესპანეთის კონსტიტუციის ავტორებმა, რომლებიც ოპოზიციაში იმყოფებოდნენ ესპანურ აბსოლუტიზმთან მიმართებით, პირველებმა შემოიტანეს ხმარებაში სიტყვა „ლიბერალი“ პოლიტიკური მოძრაობის მომხრეთა აღსანიშნავად.

○ მე-18 საუკუნიდან დაწყებული ლიბერალიზმი იქცა ერთ-ერთ მოწინავე იდეოლოგიად პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ლიბერალური იდეების რეალიზაციის წამოწყების მრავალ ცდას ჰქონდა მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება და ხშირად მოჰქონდა საწინააღმდეგო შედეგი (დიქტატურები). თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებს ხშირად ავანტურისტები აიტაცებდნენ ხოლმე.

○ ლიბერალური პრინციპების სხვადასხვა ინტერპრეტაციების მომხრეთა შორის იქმნებოდა მწვავე კონფლიქტები. ომები, რევოლუციები, ეკონომიკური კრიზისები და სახელისუფლებო სკანდალები ხშირად ხდებოდა იდეალებში იმედგაცრუების მაპროვოცირებელი.

○ ამ გარემოებათა გამო, სხვადასხვა პერიოდში სიტყვა „ლიბერალიზმი“ სხვადასხვა აზრობრივ დატვირთვას იძენ-

და. დროთა განმავლობაში თანდათან მოვიდა ამ იდეოლოგიის საფუძვლების მეტ-ნაკლებად სისტემური გაგება, რაც გახდა მოცემულ მომენტში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური მიმდინარეობის – ლიბერალური დემოკრატიის საფუძველი.

○ ლიბერალიზმი არის წყობა, იდეოლოგია რომელიც კი არ ცდილობს განსაზღვროს და დაადგინოს, კონკრეტულად რა არის კარგი და მისაღები ადამიანებისთვის, არამედ ლიბერალიზმი ცდილობს, დაამყაროს ისეთი პირობები, როდესაც ადამიანები და ჯგუფები თვითონ განსაზღვრავენ, რა არის კარგი მათთვის და შეძლებენ სწორედ ასე იცხოვრონ, ანუ თავად განაგონ საკუთარი სურვილები და შესაბამისად საკუთარი ცხოვრებაც.

○ ამ გაგებით ეს არის მეტაიდეოლოგია ანუ წესთა ერთობლიობა. ლიბერალიზმი უდავოდ ღიაობას, კამათს და თვითგამორკვევას უჭერს მხარს, ეს არის მაღალი ზნეობრივი, მორალური ღირებულებებისა და შეხედულებებისადმი ერთგულების განსახიერება.

XIX-ის დასასრულს გაჩნდა სოციალური ლიბერალიზმის ფორმაც, რომელიც მეტ უპირატესობას სოციალური კეთილდღეობის რეფორმებს ანიჭებდა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევაც დასაშვებად მიაჩნდა. თანამედროვე XXI ს-ის ლიბერალიზმსაც სწორედ ასეთი აქცენტები ახსიათებს.

ლიბერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები

ინდივიდი

(ინდივიდუალიზმი, ადამიანის უზენაესობა)

○ ფეოდალური წყობისგან განსხვავებით, სადაც არ ესმოდათ რომ ინდივიდს საკუთარი ინტერესები ან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იდენტობა ჰქონდა და თვლიდნენ იმ სოციალური ჯგუფის (ოჯახი, სოფელი, თემი და ა.შ) წევრად, რომელსაც ეკუთვნოდნენ და შესაბამისად მათ ყოფას და იდენტობას ამ ჯგუფის ბუნება განსაზღვრავდა.

○ სოციალიზმისგან განსხვავებით, ლიბერალიზმი უარყოფს კოლექტივიზმს და უპირატესობას ანიჭებს იდივიდს, რომელსაც ექნება ფართო არჩევანი და სოციალური პერსპექტივა, დამოუკიდებელი აზროვნება და მოქმედების თავისუფლება.

○ ფეოდალური აზროვნების ნგრევამ ახალი ინტელექტუალური კლიმატი მოიტანა და ტრადიციულ რელიგიური აზროვნება რაციონალურმა და მეცნიერულმა ხედვამ შეცვალა. ასე რომ, ლიბერალური იდეების თანახმად, ინდივიდი არის უზენაესი „ის თვითმიზანია და არა სხვათა მიზნების მიღწევის საშუალება“ (იმანუელ კანტი).

○ აქ ხაზი ესმება ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: პირველი, თითოეული ადამიანი, ინდივიდი უნიკალურია; მეორე, ადამიანებს ერთი სტატუსი აქვთ იმ თვალსაზრისით, რომ ყველანი, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდები არიან.

○ ლიბერალური იდეები მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელშიც თითოეულ ადამიანს ექნება საშუალება სრულად და წარმატებით განავითაროს თავისი შესაძლებლობები.

თავისუფლება

○ ინდივიდის უზენაესობის მრწამსს ბუნებრივად მივყავართ ინდივიდის დამოუკიდებლობის აღიარებამდე; ლიბერალთათვის თავისუფლება ბუნებრივი უფლება იყო რომელიც აუცილებელია ჭეშმარიტად ადამიანური არსებობისათვის, მისი წყალობით ადამიანს შეეძლო ეცხოვრა საკუთარი სურვილისამებრ.

○ მოგვიანებით ლიბერალებმა თავისუფლებაში დაინახეს ერთადერთი პირობა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევდა განეფითარებინა ცოდნა და ნიჭი და სრულად განეხორციელებინა თავისი პოტენციალი, თუმცა აბსოლუტური თავისუფლება შეიძლება გადაიქცეს ნებართვად, სხვათა შეურაცხყოფის უფლებად, ამიტომ საჭიროა ინდივიდს ჰქონდეს თავისუფლება მხოლოდ მცირე შეზღუდვით, თუმცა თავისუფლებაში განსხვავდება საკუთარი თავისადმი მიმართული ქმედება და სხვებისადმი მიმართული ქმედებების თვისუფლება.

○ ასე რომ, ინდივიდს აქვს სრული უფლება განკარგოს საკუთარი სხეული და სული, მაგრამ უნდა ესმოდეს და პატივს სცემდეს სხვა ადამიანის ასეთსავე უფლებას, იყოს თავისუფალი. ამ გაგებით ლიბერალები არ ემხრობიან ჩაფხუტის ან ღვედის ტარებას და ამართლებენ ნარკოტიკების მოხმარებას (კლასიკური ლიბერალები).

○ თავისუფლება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ გარეშე შეზღუდვებისაგან თავისუფლება, აღნიშნავდა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი

ჯონ სტიუარტ მილი²⁸. თავისუფლებაში ის გულისხმობს ადამიანის უნარს განავითაროს და ბოლომდე გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები

გონება

○ ლიბერალურ იდეოლოგიაში თავისუფლების საკითხის გადაჭრა მჭიდრო კავშირშია გონებისადმი რწმენასთან. ლიბერალიზმი იყო და დღესაც არის განმანათლებლობის იდეა, რომლის მთავარი თემა იყო კაცთა მოდგმის დახსნა ცრუწმენებისა და უვიცობის მარწუხებისგან. სწორედ რაციონალიზმის დამსახურებით გაძლიერდა რწმენა ინდივიდისა და მისი თავისუფლების შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანები რაციონალური მოაზროვნე არსებები არიან, აქვთ უნარი თავად განსაზღვრონ და განახორციელონ საკუთარი ინტერესები.



ჯონ სტიუარტ მილი
(John Stuart Mill; 1806–1873)

○ ასევე რაციონალიზმის დამსახურებაა ლიბერალების მრწამსი პროგრესისადმი. გონების ძალა ადამიანებს მათი სიცოცხლის განკარგვისა და საკუთარი ბედისთვის განსაზღვრის უნარს სძენს. ცოდნის მიღებითა და ცრუწმენებისგან განთავისუფლებით ადა-

²⁸ **ჯონ სტიუარტ მილი** (John Stuart Mill; 1806-1873) ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი. მისი ცნობილი ნაშრომია ნარკვევი „თავისუფლების შესახებ“ (1859).

მიანებს საკუთარი თავის გაუმჯობესება შეუძლიათ, ხოლო განათლება განსაკუთრებით თანამედროვე ლიბერალთა აზრით თავისთავად უკვე სიკეთეა, ის პიროვნული თვითგანვითარებისა და უფრო ზოგადად ისტორიული და სოციალური პროგრესის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა.

○ საჯაროდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის და კამათის მნიშვნელობის გამოკვეთში გონების დიდი უპირატესობა ისაა, რომ იგი გვთავაზობს საფუძველს რომელზე დაყრდნობითაც ურთიერთპრეტენზიები და მოთხოვნები შეიძლება შეფასდეს. ის მიგვითითებს შედეგზე, რომელიც კონფლიქტთა არამშვიდობიან გადაწყვეტას მოსდევს. ესაა ძალადობა, სისხლისღვრა, სიკვდილი.

○ ლიბერალთა აზრით, ომი უკიდურესი არჩევნი უნდა იყოს. ძალადობა არა მხოლოდ გონების მარცხს ნიშნავს, არამედ იგი აღვივებს წყურვილს, ლტოლვას ძალაუფლებისაკენ ძალაუფლებისავე გულისთვის. ლიბერალები ძალის გამოყენებას უშვებენ მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან მჩაგვრელთა საპასუხოდ ყველა იმ შემთხვევაში, როცა გონება და არგუმენტაცია უშედეგო და უნაყოფო აღმოჩნდება.

სამართლიანობა

○ სამართლიანობა მორალური განსჯის განსაკუთრებული სახეა, რომელიც თითოეულ ადამიანს განუსაზღვრავს რა არის მისთვის ჯეროვანი. სოციალური სამართლიანობა ასახავს საზოგადოებაში მატერიალურ გასამრჯელოსა და დახმარების განაწილებას (ხელფასი, საბინაო საკითხი, ჯანდაცვა, სოციალური დახმარებები და სხვ.).

○ სამართლიანობის ლიბერალური თეორია ემყარება თანასწორობის მრწამსს:

1) ადამიანების თანასწორუფლებიანობა იმ გაგებით, რომ ზნეობრივად თითოეული ადამიანი თანაბრად ღირებულია;

2) ფუძემდებლურად თანასწორობა ფორმალურ თანასწორობას გულისხმობს ანუ რწმენას, რომ ინდივიდებს საზოგადოებაში ერთ ფორმალური სტატუსი უნდა ჰქონდეთ.

○ შესაბამისად ლიბერალები მკაცრად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერი სახის სოციალურ პრივილეგიას თუ უპირატესობას, რომლითაც სარგებლობენ ერთნი, მეორეთ კი ამის უფლება ეზღუდებათ, ისეთი ფაქტორების გამო, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, მრწამსი, რელიგია ან სოციალური წარმომავლობა. უფლებები გამორჩეულად მხოლოდ ცალკეულ კლასზე თუ პიროვნებაზე არ უნდა ვრცელდებოდეს, მაგალითად მამაკაცებზე, თეთრკანიანებზე, ქრისტიანებზე, მდიდრებზე და ა.შ.

○ თანასწორობაში ლიბერალები ასევე გულისხმობენ თანაბარ შესაძლებლობას ანუ ყველა საზოგადოებაში ადამიანს ალზევების და დაცემის ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

○ ლიბერალების აზრით უნდა დაფასდეს ღირსება, უნარი და მუშაობის სურვილი. მათი აზრით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანთა პოტენციალის რეალიზებას და თანდაყოლილი ნიჭის განვითარებას წახალისება სჭირდება.

○ **ლიბერალებს თანასწორობა ასე ესმით:** განსხვავებული უნარისა და ნიჭის განვითარებისთვის ინდივიდებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ამას კი მერიტოკრატიის (ნიჭის უზენაესობის) რწმენამდე მივყავართ, რომელშიც საზოგადოება და ადამიანები ფასდებიან არა სოციალური სტატუსის, სქესის, კანის ფერის ან რელიგიის მიხედვით, არამედ მათი ნიჭისა და მუშაობის სურვილის მიხედვით, ასეთი საზოგადოება კი სოციალურად სამართლიანია.

შემწყნარებლობა და პლურალიზმი

○ ლიბერალიზმის სოციალურ მორალს გამოკვეთილად ახასიათებს მზაობა იმისა, რათა განუხრელად იქნეს აღიარებული მორალური, კულტურული და პოლიტიკური მრავალფეროვნება.

○ ლიბერალებისათვის პლურალიზმი ანუ ნაირგვარობა ინდივიდუალიზმის პრინციპების საფუძველია.

○ რაც შეეხება შემწყნარებლობას, ეს ნიშნავს მოითმინო, აიტანო ის, რომ სხვამ შენგან განსხვავებულად იფიქროს, ილაპარაკოს და იმოქმედოს. შემწყნარებლობა ვრცელდება ყველაფერზე (რელიგიასა თუ პირადულ ზნეობრივ სფეროებზე, რომლებზეც მხოლოდ მოცემული ინდივიდები უნდა აგებდნენ პასუხს).

თანამედროვე ევროპაში ლიბერალიზმის პოლიტიკური მიმდინარეობის ძირითადი პრინციპები

○ ფართო გაგებით თანამედროვე ლიბერალიზმის ქვაკუთხედი ინდივიდუალური უფლებებია. ლიბერალიზმი

მიელტვის საზოგადოებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია თითოეული ადამიანის აზროვნების თავისუფლება, ძალაუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით მთავრობისა და რელიგიის, კანონის უზენაესობა, უფასო საზოგადოებრივი განათლება, იდეათა თავისუფალი გაცვლა, საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ კერძო მეწარმეობას და მთავრობის გამჭვირვალე სისტემას, რომელშიც ყველა მოქალაქის უფლება დაცულია.

○ თანამედროვე საზოგადოებაში ლიბერალები მხარს უჭერენ ლიბერალურ დემოკრატიას ღია და თანასწორი არჩევნებით, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს კანონით და თანასწორი შესაძლებლობები წარმატებისათვის.

○ ლიბერალების გარკვეული ნაწილი მხარს უჭერს მთავრობის თავისუფალ ბაზარში უფრო აქტიურ ჩარევას, ხშირად ანტი-დისკრიმინაციული კანონების, პროგრესირებადი დაბეგვრის, საყოველთაო განათლების და სხვა სახით. ამ მრწამსით ასევე მოიაზრება, რომ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საერთო კეთილდღეობის გარკვეული დონე, მათ შორის უმუშევართა კომპენსაცია, მიუსაფართა დასახლება, სამედიცინო მომსახურება ავადმყოფთათვის.

○ კლასიკური ლიბერალიზმის თანამედროვე მიმდევრები ეწინააღმდეგებიან ამგვარ საზოგადოებრივად დაფინანსებულ ინიციატივებსა და ჩარევებს ბაზარში, ისინი პრიორიტეტს თავისუფალ კერძო მეწარმეობას, ინდივიდუალურ ქონებრივ უფლებებსა და კონტრაქტის თავისუფლებას ანიჭებენ.

○ კლასიკური ლიბერალების მრწამსით ეკონომიკური უთანასწორობა, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნება თავისუფალ ბაზარზე, არ არის საკმარისი არგუმენტი კერძო ქონებრივი უფლებების ხელყოფის გასამართლებლად. მიუხედავად ამისა, კლასიკური ლიბერალიზმის თანამედროვე მიმდევრები მხარს უჭერენ კორპორაციების უფრო მაღალ დაბეგვრას, პროგრესირებადი საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე ტენდენციის ნაცვლად, რაც გადასახადის მთელს ტვირთს ინდივიდუალურ მუშა-მოსამსახურეს აკისრებს.

7. ნეოლიბერალიზმი

⊙ ნეოლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, წარმოიშვა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში და განსაკუთრებულ განვითარებას მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში მიაღწია.

⊙ კლასიკური ლიბერალიზმისგან განსხვავებით, ეს მიმდინარეობა არ უარყოფს ბოლომდე ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას, თავისუფალ ბაზარსა და განუსაზღვრელ კონკურენციას იგი განიხილავს, როგორც სოციალური სამართლიანობისა და პროგრესის უზრუნველყოფის ძირითად საშუალებას, რაც შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის საფუძველზე და რაც იზომება მთლიანი შიგა პროდუქტით.

⊙ ნეოლიბერალიზმის წარმოქმნა დაკავშირებულია „გლობალიზაციის მეორე ერას“ დადგომასთან. იგი ჩამოყალიბდა სოციალ-ლიბერალიზმის განვითარების ოპოზიციის სახით, რომელიც გულიხმობდა სოციალურ თანამშრომლობას, კონკურენციის შეხამებას სახელმწიფო რეგულირებასთან და სოციალურ პროგრამებთან.

⊙ თავდაპირველად ნეოლიბერალიზმს უდიდესი წარმატება ჰქონდა გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატებში, ეს იმან განაპირობა, რომ ორ სახელმწიფოში მეცხრამეტე საუკუნეში დაინერგა მყარად თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური პრინციპები. დიდ ბრიტანეთში ის „თეტჩერიზმის“, აშშ-ში კი „რეიგანიზმის“ სახით მოგვევლინა.

⊙ ნეოლიბერალური მიმდინარეობა თანამედროვე მსოფლიოში ფაქტობრივად დომინანტურია და ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულია სხვა მიმდინარეობათა თუ იდეოლოგიათა შორის. ნეოლიბერალიზმი აღმოცენებულია კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებიდან და წარმოადგენს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე შექმნილ ახალ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეურ სისტემას.

⊙ ნეოლიბერალიზმი ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც გვიანი მე-20 საუკუნის ფილოსოფია, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის ხელახალ განსაზღვრებას წარმოადგენს. მსოფლმხედველობა ფაქტობრივად წარმოიშვა ეკონომიკის შესახებ არსებული ნეოკლასიკური თეორიების გავლენის შედეგად. ცნებას - „ნეოლიბერალიზმი“ ხშირად იყენებენ ამ დოქტრინის კრიტიკოსები, რომელთა განცხადებით, „თვითონ ნეოლიბერალიზმის კონცეფცია ლიტერატურაში არაზუსტი შეგონების წყაროდ და არასასურველი ტენდენციების ამსახველად იქცა.“

⊙ ნეოლიბერალური პოლიტიკის საკვანძო პრინციპებია: თავისუფალი „მარკეტი“ და თავისუფალი ვაჭრობა. ამ პოლიტიკის მთავარი საერთაშორისო და გლობალური მხარდამჭერი და დამცველი გახლავთ: საერთაშორისო სავაჭრო პალატა პარიზში, რომლის განსაზღვრულ სავაჭრო და კომერციულ მანდატსაც წარმოადგენს: „საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის ბარიერების იმდენად განადგურება, რომ ყველა ქვეყანამ შეძლოს მოგების მიღება

ცხოვრების გაუმჯობესებული პირობებისაგან, მზარდი სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადების საშუალებით“.

© ნეოლიბერალიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში უკავშირდება პოლიტიკურ მოძრაობასაც, რომლის წარმომადგენელმა და წევრმა „მემარცხენეებმა“ (კერძოდ, *მაიკლ კინსლიმ* (Michael Kinsley; დ.1951), *რობერტ კაუსმა* (Robert Michael Kaus – Mickey Kaus; დ. 1951) და *რენდალ როთენბერგმა* (Randall Rothenberg) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ იმგვარი დებულებები და იდეები წამოაყენეს, როგორცა: თავისუფალი საბაზრო („სამარკეტო“) ეკონომიკა და რეფორმა კეთილდღეობის შესახებ.

© ტერმინი „ნეოლიბერალიზმი“ არ შეიძლება აღრეულ იქნას ცნებასთან „ახალი ლიბერალიზმი“.

ნეოლიბერალიზმის პოლიტიკური განსაზღვრება

© ფართო გაგებით, ნეოლიბერალური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკაზე ერთმნიშვნელოვანი სახელმწიფო კონტროლის გადაცემას კერძო სექტორისათვის. ფასადურად იგი გულისხმობს უფრო მეტად ეფექტური მთავრობების უზრუნველყოფას საერთაშორისო მასშტაბით, და სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

© *ჯონ უილიამსონმა* ე. წ. „ვაშინგტონის კონსენსუსში“ ჩამოაყალიბა ნეოლიბერალური პოლიტიკის განსაზღვრება. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ნეოლიბერალური პოლიტიკის უმთავრეს პრინციპთა ჩამონათვალს, რომელიც, სავარაუდოდ, ვაშინგტონში დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა შორის (საერთაშორისო სავა-

ლუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) შეთანხმებით იქნა მოწონებული და მიღებული.

უილიამსონის ჩამონათვალი ათ ძირითად დებულებას მოიცავს:

1. ფისკალური პოლიტიკა;
2. სუბსიდირებიდან (განსაკუთრებით, „ბუნდოვანი სუბსიდირებიდან“) საზოგადოებრივი ხარჯების გადამისამართება ძირითადი ეკონომიკური განვითარებისა და ასევე, იმგვარი მომსახურების სფეროების მიმართულებით, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური მომსახურება – დაბალი სოციალური ფენისათვის, საშუალო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული ინვესტირების სასარგებლოდ;
3. საგადასახადო რეფორმა – საგადამხდელო ბაზის გაფართოება და მარგინალური საგადასახადო ტარიფების შემცირება;
4. ბაზრისადმი („მარკეტისადმი“) ინტერესის ზრდა, - პოზიტიური მნიშვნელობით;
5. კონკურენტუნარიანი სავალუტო ბრუნვა;
6. ვაჭრობის ლიბერალიზაცია – იმპორტთა ლი-



ჯონ უილიამსონი

John Williamson დ. 1937

ბერალიზაცია, განსაკუთრებული აქცენტირებით – რაოდენობრივი შეზღუდვების (ლიცენზიები და ა.შ.) გაუქმებაზე. აუცილებელია, ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობის

საკანონმდებლო დაცვა, და ასევე, შედარებით სტაბილური სავაჭრო ტარიფების უზრუნველყოფა;

7. პირდაპირი საგარეო ინვესტირების შიდა ლიბერალიზაცია;

8. სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია;

9. დერეგულაცია – საბაზრო და კონკურენციის შემზღვევლი რეგულაციების გაუქმება იმ სფეროების გარდა, რომლებიც: უშიშროების, გარემოსა და მომხმარებლის დაცვას გულისხმობს;

10. აქვე მნიშვნელოვანია, საფინანსო ინსტიტუციებზე ფრთხილი ზედამხედველობის უზრუნველყოფა და ქონებრივი უფლებების ლეგალური დაცვა.

ნეოლიბერალიზმის ეფექტები

⊙ ნეოლიბერალურმა მოძრაობამ სხვადასხვა ასპექტში საბოლოოდ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკა, თუმცა ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მსოფლიო ლიბერალიზაციის ის ხარისხი, რომელიც ნეოლიბერალური თეორიისა და პოლიტიკის განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული, ხშირად გადაჭარბებულია.

⊙ გასული წინა ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, თუმცადა, გვაქვს, მაგრამ არაბუნდოვანია, მაგალითად: საერთაშორისო ვაჭრობისა და საზღვრეშორისი კაპიტალის ნაკადთა ზრდა; სავაჭრო-კომერციული ბარიერების გაუქმება; თავდაცვის სისტემის დანახარჯების შემცირება, თუმცა ეს ფაქტი რამდენად მიეწერება გლობალური ნეოლიბერალური პოლიტიკის განხორციელებას, თავისთავად - საკამათოა იმდენად, რამდენადაც თავის

მხრივ, ე. წ. მშვიდობის ინტერვენციის დამკვიდრება ზოგადად, „ცივი ომის“ დასრულებას უკავშირდება; საჯარო სექტორში დასაქმების შემცირება; ყოფილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია;

სახელმწიფოთა ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი მასშტაბით გადასვლა მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი და ეკონომიკური ელიტის ხელში.

ნეოლიბერალიზმის ეკონომიკური ასპექტები

⊙ ნეოლიბერალიზმის თეორიისა და პოლიტიკის მომხრეები დავობენ შემდეგ საკითხებზე:

1. იმაზე რომ, ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონე სრულ კორელაციაშია და განაპირობებს მაღალი ცხოვრების სტანდარტებს;

2. რომ ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს მივყავართ ინვესტიციების ზრდამდე, უახლესი და ეფექტური ტექნოლოგიის გავრცელებამდე, ინოვაციებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებისადმი ადეკვატური პასუხისმგებლობის, მზაობისა და შესატყვისობის დამკვიდრებამდე;

3. მრავალი განვითარებადი ქვეყნის მთავრობებმა ვერ გაართვეს თავი და/ან მოახდინეს მათი ეკონომიკური დომინანტურობის ექსპლუატაციური გამოყენება ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში;

4. სახელმწიფოთა ეკონომიკების მიკრომართვის მრავალი მთავრობის მცდელობები, მაგალითად, სატარიფო და სახელმწიფო ინვესტიციების პოლიტიკის გატარება ხშირად არასწორი გახლდათ, არ იყო დროში ადეკვატურად გათვლილი, მწირად განხორციელდა და არასასურველი

ფორმებიც კი მიიღო, გამოიღო რა მოულოდნელი არცთუ პოზიტიური შედეგები. მრავალ ნეოლიბერალთა ღრმარწმენით, საზოგადოდ მთავრობას არ აქვს უნარი, მართოს იმდენად უზარმაზარი სოციალური სისტემა, როგორცაა, მაგალითად, სახელმწიფო ეკონომიკა;

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფმა საწარმოებმა უამრავი მოქალაქის თანხა დაკარგეს;

6. 1970-იანი წლების მანძილზე სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა ეკონომიკამ ქვეყნებში უუნარობა და დაუცველობა გამოავლინა შოკური ეკონომიკური ვითარებების მიმართ და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემას მოუწია გაეძლო – მაღალინფლაციური რეცესიული პროცესებისათვის, სწორედ იქამდე, სანამ არ მოხდა საბაზრო ლიბერალიზაცია.

ნეოლიბერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები

„ბედნიერება“

⊙ ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები და ამ პოლიტიკის მხარდამჭერნი „ჰერითიჯისა და ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით შეფასებულ ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს ზოგიერთი ინდივიდის მიერ მაღალი თვითდეკლარირებული პირადი ბედნიერების განპირობების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად თვლიან.

„მშვიდობა“

⊙ ნეოლიბერალიზმის მიმდევართა აზრით, არსებობს გარკვეული მკაფიო კავშირი ეკონომიკური თავისუფლების

მაღალ ხარისხსა და მშვიდობას შორის. „თავისუფალი ბაზრის (მარკეტის)“ მხარდამჭერი – „კატოს ინსტიტუტის“ (CATO Institute) ძალზე საინტერესო კვლევასა და მოხსენებაზე დაყრდნობით, თვით ყველაზე აფექტური მოკლევადიანი სისხლიანი კონფლიქტების დროსაც კი, ამ კონფლიქტების მოგვარების ოპტიმალურ მეთოდად ეკონომიკური თავისუფლებას ასახელებენ, რომელიც 54-ჯერ უფრო მეტად ეფექტიანი ფაქტორია აღნიშნულ შემთხვევაში, ვიდრე თვით – დემოკრატია (ამ უკანასკნელის ხარისხის გაზომვისას – „დემოკრატიის კოეფიციენტის“ მასშტაბებში).

პოლიტიკური თავისუფლება

© *მილტონ ფრიდმანმა* თავის ცნობილ ნაშრომში: „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ (1962 წ.) განავითარა თეორია, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც თავისთავად ზოგადად თავისუფლების მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია, ამასთან წარმოადგენს აუცილებელ პირობას – პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ამ ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ეკონომიკურ საქმიანობაზე ცენტრალიზებული სახელმწიფო კონტროლის არსებობას ყოველთვის ახლდა თან – პოლიტიკური რეპრესიები.

© ფრიდმანის მოსაზრებით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ტრანზაქციების არაკონტროლირებადი და ვოლუნტარული ხასიათი ისევე, როგორც მისი (საბაზრო ეკონომიკის) ფართო მრავალფეროვანი ბუნება ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის რეპრესიული პოლიტიკური ლიდე-

რების ძალაუფლებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ზოგადად იძულებითი პოლიტიკის განხორციელების ალბათობასა თუ თავად იძულების კატეგორიას. ეკონომიკურ საქმიანობაზე ცენტრალიზებული კონტროლის გაუქმების შემდეგობით ხორციელდება სწორედ ეკონომიკური ძალაუფლების გამიჯვნა პოლიტიკური ძალაუფლებისაგან, რაც თავის მხრივ, ამ ორ სფეროს შორის კავშირის ურთიერთდაბალანსების საშუალებას აჩენს.

© ამავდროულად ფრიდმანი ღრმად და რწმუნებული, რომ კონკურენტული კაპიტალიზმი განსაკუთრებით სასარგებლოა – უმცირესობათა ჯგუფების კეთილდღეობისათვის, რადგანაც არაპერსონიფიცირებული საბაზრო სისტემა და „სამარკეტო ძალები“ ადამიანებს იცავენ მათი ეკონომიკური საქმიანობისას, აბსოლუტურად არაკონტექსტური და შრომით საქმიანობასთან კავშირში არმყოფი ფაქტორების საფუძველზე დისკრიმინაციისაგან.

© ყოველივე ზემოთქმულთან მიმართებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომელიც ფრიდმანის ნეოლიბერალურ ექსპერიმენტს და შესაბამისად, მის ამგვარ საინტერესო გამოცდილებას უკავშირდება; მან აღნიშნული ე.წ. ნეოლიბერალური ექსპერიმენტი ჩილეში განახორციელა,



მილტონ ფრიდმანი
Milton Friedman; 1912–2006.
ამერიკელი ეკონომისტი,
ნობელის პრემიის ლაურეატი

სამხედრო დიქტატურისა და მწვავე სოციალური რეპრესიის პირობებში.

⊙ **ფრიდრიხ ჰაიეკმა** თავის წიგნში: „გზა – მონობისაკენ“ (1944 წ.) განაცხადა, რომ „ეკონომიკური კონტროლი – ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთი სექტორის კონტროლი კი არ არის, რომლის დანარჩენი ნაწილებისაგან გამოცალკევებაც შეუძლებელია, არამედ, იგი ყველაფრის საშუალების კონტროლია ჩვენთვის“

⊙ რეალისტური ხედვიდან გამომდინარე, უნდა გავიაზროთ, რომ თავად ნაკლებად ეფექტიანი მთავრობის სისტემის

ფუნქციონირებამ, რომელიც დასუსტებულია - გაძლიერებული ეკონომიკური და-მოუკიდებლობის ფო-

ნზე, შესაძლოა გარდაუვალი და არასასურველი საბაზრო ელემენტების ჩამოყალიბება მოგვცეს, რომელთა მართვაც ვერ იქნება მარტივი, თუნდაც, რომ ისინი ზიანის მომტანი იყოს თვით ეკონომიკის, მოქალაქეებისა და გარემოსათვის.

⊙ ინდივიდისათვის განკუთვნილ სტატისტიკური მოქალაქის უფლებებით აღჭურვილ და რაციონალიზებულ



ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი
(Friedrich August von Hayek; 1899–1992)
ავსტრიელი ეკონომისტი, ნობელის
პრემიის ლაურიატი

„კორპორაციას“, როგორც თავად – იდეას, ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს მოქალაქეთა საშუალო თანასწორობასთან აკავშირებს და უთანაბრებს იმდენად, რამდენადაც, მას ეკონომიკურ სფეროში დიდი ძალაუფლება, ხოლო, იურისპრუდენციულ რეალობაში ფაქტობრივად თანაბარი სამოქალაქო უფლებები აქვს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო შესაძლოა იმავე დოზით იყოს „ერთეულის“ (ამ შემთხვევაში, სრულფასოვანი სამართლებრივი სამოქალაქო ერთეულის – კორპორაციული ერთობის) უფლებათა შემზღვეველი - სახელმწიფო შეზღვევების სისტემისა და მექანიზმების საშუალებით, როგორც მოქალაქის (ადამიანის) პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამრღვევი (იმ უფლებათა და თავისუფლებათა, რომელიც ყოველ ადამიანს დაბადებითვე აქვს მინიჭებული).

სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომა

⊙ სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომა არ მიიჩნევა კრიტიკულ პოზიციად ნეოლიბერალიზმისადმი, თუმცა, იგი ნამდვილად ემთხვევა იმ კრიტიკულ თვალსაზრისს, რომ ნეოლიბერალური იდეები მოქნილი ლიბერალური რეცეპტია – კეინსიანიზმის „გასაფანტად“ „გამოწერილი“. სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ნეოლიბერალიზმი არის „საბაზრო სისტემაში სახელმწიფოს როლის შეზღვევის მცდელობა – დაბალი საგადასახადო ტარიფების, სოციალურ სფეროში დანახარჯების შემცირების, დერეგულაციისა და პრივატიზაციის საშუალებით“.

© თუმცადა, ე. წ. სახელმწიფო-ცენტრისტები დავობენ და ამტკიცებენ, რომ ნეოლიბერალიზმი ჩამოაყალიბეს არა კლასობრივი ცნობიერების მქონე კაპიტალისტების მიერ მხარდაჭერილმა და დაფინანსებულმა კაპიტალისტურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ეკონომისტებმა, ეკონომიკურმა დეპარტამენტებმა, „მოაზროვნე ძალებმა“ და პოლიტიკოსებმა, როგორც ამას – ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსები თვლიან, არამედ – სახელმწიფო აქტორებმა, რომლებიც პოლიტიკური მეწარმეები იყვნენ. სახელმწიფო-ცენტრისტი თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნეოლიბერალიზმი გავრცელდა იმდენად, რამდენადაც იგი უკეთესად პასუხობს ამომრჩეველთა ინტერესებს.

© ისინი ძალზე მკაფიოდ ეწინააღმდეგებიან ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დამკვიდრდა და გავრცელდა ნეოლიბერალიზმი მისი მოხერხებული, წარმატებული შეფუთვითა და იმ პოლიტიკის წყალობით, რომელმაც წარმატებული და მომხიბვლელი პროპაგანდისა და კარგად ორგანიზებული პოლიტიკური მექანიზმების გამოყენებით დაამკვიდრა და გაავრცელა იგი, მუდმივად გასძახოდა რა საზოგადოებას, რომ „ალტერნატივა არაა.“

© სახელმწიფო-ცენტრისტი სოციოლოგის, *მონიკა პრაზადის* (Monica Prasad) მტკიცებით (2006 წ.), ნეოლიბერალიზმი დომინანტური გახდა იქ, სადაც (ფედერალური) საგადასახადო სისტემა პროგრესირებდა, სადაც ინდუსტრიული პოლიტიკა „მტრული“ იყო – ბიზნესის მიმართ, ხოლო – კეთილდღეობა, მხოლოდ ღარიბებთან ასოცირდებოდა. მისი აზრით, ეს გახლდათ ნეოლიბერალიზმის წარმატების საფუ-

მველი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ისევე, როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში. თუმცა, საფრანგეთსა და გერმანიაში ეროვნული მთავრობების საგადასახადო პოლიტიკა რეგრესისაკენ იყო მიმართული, ინდუსტრიული პოლიტიკა კეთილგანწყობილი გახლდათ – ბიზნესის მიმართ, ხოლო – კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეა ფართოდ იყო – საშუალო კლასისათვის სარგებლის მომტანად აღიარებულ-ცნობილი და სწორედ ამ ფენაზე ორიენტირებული.

© შესაბამისად, ამ ორ ქვეყანაში, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისაგან განსხვავებით, ნეოლიბერალიზმის იდეებით არც ბიზნესმენები ყოფილან გატაცებულნი და არც მოსახლეობის საშუალო ფენები. პრაზადის თანახმად, ნეოლიბერალიზმი კორექტული გახლდათ მოსამსახურეთა კლასის მხარდამჭერი პოლიტიკის მიმართ – კაპიტალისტთა ინტერესების არცთუ სასარგებლოდ, და იგი სწორედ დამოუკიდებელმა სახელმწიფო აქტორებმა ჩამოაყალიბეს.

© ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება კლასიკურ ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის მდგომარეობს იმაში, რომ მაშინ, როდესაც კლასიკური ლიბერალიზმი სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე შემცირებასა და მის ჩანაცვლებას ქადაგებდა – კერძო კაპიტალით, ნეოლიბერალიზმი მოწოდებულია იმისაკენ, რომ გააძლიეროს და განავრცოს კერძო კაპიტალის როლი სწორედ - სახელმწიფოს საშუალებით და ამით იგი ავტორიტარულ და მისი (კერძო კაპიტალის) ინტერესების ერთგულ თანაშემწედ გადააქციოს.

8. კონსერვატიზმი

იდევბი	შიგა მიმდინარეობები
<ul style="list-style-type: none"> ▪ ტრადიციების დაცვა ▪ ქცევის ნორმების დაცვა ▪ ბუნებრივი სამართალი²⁹ ▪ სოციალური სტრატეფიკაციის თეორია³⁰ ▪ კერძო საკუთრება 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ლიბერალური კონსერვატიზმი ▪ ლიბერტარიალური კონსერვატიზმი ▪ ეროვნული კონსერვატიზმი ▪ ნეოკონსერვატიზმი ▪ სოციალური კონსერვატიზმი

▪ კონსერვატიზმი ტრადიციულ ფასეულობებისადმი, სოციალური და რელიგიური დოქტრინებისადმი ერთგულების მქადაგებელი და რადიკალური ცვლილებების უარყოფელი პოლიტიკური მიმდინარეობაა. კონსერვატიული პოლიტიკური მიმდინარეობა მოწოდებულია დაიცვას სახელმწიფოსა და საზოგადოების წესრიგი. საგარეო პოლიტიკაში ქადაგებს ქვეყნის უშიშროების გაძლიერებას, ზოგ შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებასაც, ტრადიციულ მოკავშირეთა მხარდაჭერას და პროტექციონიზმს.

²⁹ **ბუნებრივი სამართალი** – ითვლება ღვთაებრივი სამართლიანობის გამოვლინებად. ეს არის არა ყოფნის წესრიგი, რომელიც საგანთა ბუნებას ახასიათებს, არამედ ის ჯერარსული წესრიგი, რომელიც ადამიანებს ღმერთმა უბოძა.

³⁰ **სოციალური სტრატეფიკაციის თეორია** – ადამიანთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ჯგუფებად, იერარქიულად, მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ადამიანებს შორის ამ კუთხით განსხვავებას, გარკვეული ჯგუფი იძენს უკეთეს სოციალურ სტატუსს, ძალაუფლებას ან პრივილეგიებს.

▪ მოკლედ, კონსერვატიზმის მთავარი ფასეულობა არის საზოგადოების ტრადიციების, მისი ისტიტუტებისა და მრწამსის შენახვა, თუმცა ამით უარს არ აცხადებს საზოგადოების ევოლუციურ განვითარებაზე. კონსერვატიზმის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი არის რევოლუციური ცვლილებების მიუღებლობა. როგორც *მარგარეტ თეტჩერი* (Margaret Hilda



სოციალური სტრატეფიკაცია. მაიას ტომი

Thatcher, 1925-2013) ამბობს, კონსერვატიზმი როგორც პოლიტიკური პრაქტიკა, უპირატესობას ანიჭებს ძველ და კარგად შესწავლილ გზებს და არა ჯერ გამოუცდელი და არაპროგნოზირებადი ბილიკების ძიებას და გამოყენებას.

▪ კონსერვატიზმი ჩამოყალიბდა, როგორც უარყოფითი რეაქცია საფრანგეთის რევოლუციასა და მის შედეგებზე. იგი

ეწინააღმდეგება ლიბერალიზმს, რომელიც ორიენტირებულია სოციალურ–ეკონომიკურ რეფორმებზე და სოციალურ თანასწორობაზე.

- კონსერვატიზმი უნდა განვასხვავოთ რეტროგრადიზმისაგან და ტრადიციონალიზმისაგან, რადგანაც თანამედროვე კონსერვატიზმი ზოგ შემთხვევაში უფრო მოქნილი და სწრაფი გამოდგა, ვიდრე სხვა პოლიტიკური მოძრაობები. ამის ნათელი მაგალითებია **რონალდ რეიგანის** (Ronald Wilson Reagan; 1911 —2004) რეფორმები აშშ-ში და **მარგარეტ თეტჩერის** რეფორმები გაერთიანებულ სამეფოში.

- კონსერვატიზმი ერთ-ერთია ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დასავლეთში ოთხ ყველაზე გავრცელებულ იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის (საბაზო იდეოლოგიები, რომლებიც დღემდე „მუშაობენ“). დანარჩენი სამია: დემოკრატიზმი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი (დემოკრატიზმის ლოზუნგია თანასწორუფლებიანი წევრობა, ლიბერალიზმის – ინდივიდუალური თავისუფლება, სოციალიზმის – საყოველთაო თანასწორობა, ხოლო კონსერვატიზმის – ტრადიციული ერთობა). კონსერვატიული პარტიის სახელწოდება პირველად დიდ ბრიტანეთში გამოიყენეს ტორების მიმართ 1832 წელს პარლამენტში გამართული საარჩევნო რეფორმის ირგვლივ გამართული დებატების შემდეგ. თანამედროვე პოლიტიკურ სპექტრში წმინდა სახის (ბერკის ტიპის) კონსერვატიზმი აღარ არსებობს. სინამდვილეში გვაქვს დიდ ბრიტანეთში კონსერვატიული პარტია, შტატებში რესპუბლიკური პარტია, გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატიული პარტია და სხვ.



რონალდ რეიგანი და მარგარეტ თეტჩერი
კემპ დევიდში, 1986 წ.

▪ დაახლოებით 1830 წლამდე კონსერვატიზმს ინგლისელების პოლიტიკური ლექსიკონი საერთოდ არ იცნობდა. თუმცა მისი ფილოსოფიური მხარე უკვე შექმნილი ჰქონდა

1790 წელს *ედმუნდ ბერკს* მის “გააზრებებში საფრანგეთის რევოლუციის შესახებ”. აზროვნების ისტორიაში იშვიათად ყოფილა იდეების მთელი კორპუსი ესოდენ დამოკიდებული ერთ კაცსა და ერთ მოვლენაზე ისე, როგორც თანამედროვე კონსერვატიზმია დამოკიდებული ედმუნდ ბერკზე და მის მხურვალე რეაქციაზე საფრანგეთის რევოლუციის მიმართ. მნიშვნელოვანწილად კონსერვატიზმის ცენტრალური თემატიკა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ დამატებას წარმოადგენს იმ თემებზე, რაც გამოკვეთა ედმუნდ ბერკმა საფრანგეთის რევოლუციაზე თავის კომენტარებში.

კონსერვატიზმის დამახასიათებელი ნიშნები

ტრადიცია

კონსერვანტული აზროვნების მთავარი საყრდენი ბერკისეული „შენარჩუნების სურვილია“. კონსერვატიზმი პატივისცემით ეპყრობა ყველაფერს, რამაც დროის გამოცვლას გაუძლო – ტრადიციებს, ადათ-წესებს და კონსტიტუციებს. კონსერვატორთა აზრით, სწორედ ტრადიცია ასახავს წარსულში დაგროვილ სიბრძნეს: ინსტიტუციები და ურთიერთობანი „დროითაა გამოცდილი“ და მათი შენარჩუნება არა მარტო დღევანდელი, მომავალი თაობების სასიკეთოდაა აუცილებელი. ტრადიცია ფასეულია სტაბილურობისა და დაუცველობის თვალსაზრისითაც – იგი ადამიანებს საკუთარი საზოგადოერივი და ისტორიული მიკუთვნილების განცდას უმყარებს.

პრაგმატიზმი

კონსერვატორები მუდამ მიუთითებენ ადამიანის გონის არასრულყოფილებაზე, რასაც, თავის მხრივ, ჩვენი სამყაროს უსაზღვრო სირთულე განაპირობებს. აქედან მომდინარეობს მათი ინსტიქტური უნდობლობა აბსტრაქტული პრინციპებისა და თეორიების მიმართ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებას, ისტორიასა და, რაც მთავარია, პრაგმატიზმს ეყრდნობიან: იმ რწმენას, რომ ქმედებას მუდამ პრაქტიკული გარემოება და პრაქტიკული მიზანი უდევს საფუძვლად და შესაბამისად, შედეგზეა ორიენტირებული. საკუთარ შეხედულებებს ისინი არა იდეოლოგიად, არამედ „გონების წყობად“ თუ „ცხოვრებისადმი მიდგომად“ მიიჩნევენ, თუმცა არც იმ ბრალდებებს იზიარებენ, თითქოს ეს უპრინციპობისა და „მედროვეების“ ტოლფასი იყოს.

ადამიანის არასრულყოფილება

კონსერვანტული შეხედულება ადამიანის ბუნებაზე ღრმად პესიმისტურია: მათი თვლასაზრისით, ადამიანი შეზღუდული, სხვაზე დამოკიდებული და მფარველობის მაძიებელი არსებაა, რომელიც მხოლოდ ათასჯერ ნაცადს ენდობა და მშვიდ, მოწესრიგებულ საზოგადოებაში ცხოვრებას ებლაუჭება. გარდა ამისა, ზნეობრივადაც მოიკოჭლებს – თავკერძობა, სიხარბე და ძალაუფლების ჟინი კლავს. ამდენად, დანაშაულებისა და არეულობის ფესვები სწორედაც ადამიანში, და არა საზოგადოებაშია საძიებელი. ამიტომ, წესრიგის შენარჩუნებისათვის ძლიერი

სახელმწიფო, მკაცრი კანონები და დანაშაულის შესატყვისი სასჯელია აუცილებელი.

ორგანიზმი

კონსერვატული აზროვნების ჭრილში საზოგადოება წარმოგვიდგება არა როგორც ადამიანთა მოღვაწეობის შედეგი, მათი გონების ნაყოფი, არამედ როგორც ორგანული მთლიანობა – ცოცხალი ორგანიზმი. შესაბამისად, საზოგადოებაც ბუნებრივი აუცილებლობის შედეგად გვესახება და სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტებს – ოჯახს, თემს, ერსა და ა.შ. – თავ-თავისი წვლილი შეაქვთ ჯანსაღი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბებაში. საზოგადოება მარტოდენ ინდივიდთა უბრალო არითმეტიკული ჯამი არაა – მეტაფორა „სასიცოცხლოდ აუცილებელი“, საერთო კულტურასა და ტრადიციულ ფასეულობასაც მოიცავს, რომელთა გარეშეც საზოგადოებრივი თანხმობისა თუ თავად ადამიანთა ერთობის შენარჩუნება, უბრალოდ, შეუძლებელია.

იერარქია

კონსერვანტული თვალსაზრისით, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის მიხედვით დაყოფა ბუნებრივი და გარდაუვალი ამბავია. ადამიანებს სხვადასხვა როლი თუ მოვალეობა აკისრიათ – კომპანიის პრეზიდენტსა თუ მუშას, მასწავლებელსა თუ მოწაფეს, მშობელსა თუ შვილებს. მაგრამ ამგვარი იერარქია და უთანასწორობა კონფლიქტის მიზეზი არ ხდება, ვინაიდან

საზოგადოება საერთო პასუხისმგებლობითა და ურთიერთვალდებულებითაა განმტკიცებული: ვისაც ცხოვრებაში გაუმართლა, ანდა მაღალი სტატუსი დაბადებიდანვე თან დაჰყვა, მას მეტის გაღებაც მოეთხოვება.

ხელისუფლება

კონსერვანტორები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველთვის „ზემოდან“ ხორციელდება და იმათ წინამძღოლობას, მეგზურობასა და მხარდაჭერას ნიშნავს, ვისაც სათავისოდ გონივრული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება – ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო – არ შეუძლია (ამის ნათელი მაგალითი მშობლებისა და შვილების ურთიერთობაა). დრო იყო, როდესაც „ბუნებითი არისტოკრატის“ იდეა საყოველთაოდ ბატონობდა, მაგრამ დღესდღეობით ხელისუფლობასა და ლიდერობას უკვე გამოცდილება და წვრთნა განაპირობებს. ხელისუფლების ღირსება ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ თანხმობას უზრუნველყოფს და ადამიანებს ეხმარება გააცნობიერონ, რანი არიან და რა მოეთხოვებათ. ამდენად, თავისუფლება მუდამ პასუხისმგებლობას უნდა გადევჯაჭვოს და მოვალეობებისა თუ ვალდებულებების ნებაყოფლობით აღიარებას ემყარებოდეს. („ბუნებითი არისტოკრატია“: ცნება რომლის თანხმადაც, ნიჭი და საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანის თანდაყოლილი თვისებებია და მათი განვითარება თვითსრულყოფის გზით შეუძლებელია)

საკუთრება

კონსერვატიზმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საკუთრებას – იმას, რასაც ადამიანის უსაფრთხოება მოაქვს, განაპირობებს მის დამოუკიდებლობას ხელისუფლებისაგან, აიძულებს მას კანონსა და სხვათა საკუთრებას სცეს პატივი. საკუთრება, გარკვეულწილად, პიროვნების თვითშეფასების საზომიცაა: ინდივიდის ეგოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს – როგორ სახლში ცხოვრობს, ან რა მანქანით დადის; ამავე დროს, საკუთრება უფლებებთან ერთად, მოვალეობასაც გულისხმობს: გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ მხოლოდ დროებით ვფლობთ იმ ქონებას, რაც წინაპრებისგან დაგვრჩა მემკვიდრეობად, (მაგ. „მამა-პაპისეული ოქრო-ვერცხლი“), და რაც ჩვენი შთამომავლობისთვისაც ფასეული უნდა იყოს.

კონსერვატიული პარტიები ევროპის ქვეყნებში

▪ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში სიცოცხლისუნარიანი კონსერვატიული პარტიები შეინარჩუნეს ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა: ბელგია, დანია, ისლანდია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვეცია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი. ხოლო გერმანიაში, იტალიაში, მალტაში და ესპანეთში არსებობენ მემარჯვენე ხასიათის ქრისტიან-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიები, რომლებიც ასოცირდებიან კონსერვატიზმის პოლიტიკურ მიმდინარეობასთან. ირლანდიაში პროგრესული დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები პორტუგალიაში, ხოლო მას შემდეგ რაც შვეიცარიის სახალხო პარტია

შეუერთდა მემარჯვენე რადიკალებს, აღარ ითვლება კონსერვატიულად.

ალბანეთი

▪ ალბანეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოწინავე პარტია გახდა 1991 წელს დაარსებული ალბანეთის დემოკრატიული პარტია. იგი წარმოადგენს ევროპის სახალხო პარტიის ზედამხედველს და საერთაშორისო დემოკრატიული კავშირისა და ცენტრისტული დემოკრატიული ინტერნაციონალის სრულუფლებიან წევრს. პარტია ხელისუფლებაში მოვიდა 1992 წელს, პირველად დემოკრატიული ალბანეთის ისტორიაში.

ბელგია

▪ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ბელგიის პოლიტიკაში დომინირებდა 1945 წელს შექმნილი ქრისტიანული სახალხო პარტია, ქრისტიანი დემოკრატებისა და ფლამანდიელების პარტია. 1999 წელს მათდამი მხარდაჭერა შესუსტდა და მათ გადაინაცვლეს მეოთხე ადგილზე.

გერმანია

▪ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (გქდკ) გერმანული სახალხო პარტიაა. იგი მოიაზრება როგორც ქრისტიან-დემოკრატიული, ლიბერალ კონსერვატიული, მემარჯვენე ცენტრისტული პარტია. განსხვავებით კათოლიკური ცენტრისტული პარტიისაგან „გქდკ“-ის მიზანია ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანება. ბავარიის ქრისტიან-სოციალურ კავშირთან

ერთად ქმნის საერთო CDU/CSU ფრაქციას ბუნდესტაგში. გამორჩეული ლიდერი ჰყავდათ *ჰელმუტ კოლი*, რომელსაც დამსახურებულად მიიჩნევენ გერმანიის გამაერთიანებლად.

დიდი ბრიტანეთი

- კონსერვატიული პარტია — პოლიტიკური პარტია გაერთიანებულ სამეფოში. თანამედროვე კონსერვატიული პარტია დაარსებულ იქნა მე-19 საუკუნეში. ამ დროიდან მოყოლებული, პარტია არის ბრიტანეთის მთავარი ცენტრისტულ-მემარჯვენე პოლიტიკური პარტია.

დანია

- დანიის კონსერვატიული სახალხო პარტია დაარსდა 1915 წელს. 2005 წლის არჩევნებში მარტიამ 179 ადგილიდან მოიპოვა 18 და გახდა ლიბერალების კოალიციის უმცროსი პარტნიორი.

ისლანდია

- კონსერვატიული პარტია დაარსდა 1926 წელს, რომელმაც 1929 წელიდან გვევლინება ისლანდიის დამოუკიდებელი პარტიის სახელით. ათეული წლები გაატარა ოპოზიციაში სხვა სკანდინავიელი კონსერვატორებისგან (და ლიბერალებისგან) განსხვავებით მისი დასაყრდენი ყოველთვის იყო მუშათა კლასი.

ლუქსემბურგი

- ლუქსემბურგის ყველაზე გავლენიანი პარტია „სახალხო-ქრისტიანული სოციალური პარტია“ ჩამოყალი-

ბდა 1914 წელს. დასაწყისში იგი ითვლებოდა მემარჯვენე პარტიად, 1945 წლიდან შეიძინა დღევანდელი სახელწოდება. გასულ საუკუნეში მოწინავე ადგილი ეკავა ლუქსემბურგის პოლიტიკაში და ჰყავდა ყველაზე მეტი წევრი.

ნორვეგია

▪ ნორვეგიის კონსერვატიული პარტია შეიქმნა სახელმწიფო მოღვაწეთა მმართველი ზედაფენისა და მდიდარ მოვაჭრეთა წყალობით. პარტიის მიზანი იყო ლიბერალების პოპულისტური დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა. 1884 წელს ნორვეგიის მართველობის საპარლამენტო ფორმაზე გადასვლის შემდეგ დაკარგეს ძალაუფლება. 1889 წელს ჩამოაყალიბეს პირველი საპარლამენტო მთავრობა და მხოლოდ 1930 წლიდან გადავიდა ძალაუფლება ნორვეგიის მთავარი პოლიტიკური პარტიის ლეიბორისტების ხელში.

რუსეთის ფედერაცია

▪ რუსეთის ფედერაციაში ქვეყნის უმსხვილესმა პარტიამ „ერთიანმა რუსეთმა“ 2009 წელს ოფიციალურად გამოაცხადა თავისი იდეოლოგია „რუსეთული კონსერვატიზმი“, ასევე აიღო კონსერვატიული მოდერნიზაციის კურსი და მაგალითად გამოაცხადა ომისშემდგომი გერმანიისა და იაპონიის რეფორმები. პოლიტოლოგ *იოსებ დისკინის* აზრით, პარტიის თავმჯდომარე *ვლადიმერ პუტინი* საკუთარ თავს ადარებს მე-20 საუკუნის დასაწყისის ცნობილ ლიბერალ-კონსერვატორს, პრემიერ-მინისტრ *პეტრე სტოლიპინს*.

საბერძნეთი

▪ მთავარმა კონსერვატიულმა პარტიამ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო სახალხო პარტიის სახელი. ბერძენმა კონსერვატორებმა შემდეგ შექმნეს პარტია „ახალი დემოკრატია“.

საფრანგეთი

▪ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დე გოლისტები მხარს უჭერდნენ ფრანგ კონსერვატორებს, აყენებდნენ ნაციონალისტურ ლოზუნგებს: ტრადიციებისადმი ერთგულება, წესრიგი და ქვეყნის გაერთიანება. კონსერვატიზმი რჩებოდა საფრანგეთის მთავარ პოლიტიკურ ძალად II მსოფლიო ომის დროიდან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კონსერვატიზმის ფრანგული ფორმა ჩამოყალიბდა გენერალ **შარლ დე გოლის** გარშემო და ჩამოჰკავდა ბონაპარტიზმის ტრადიციებს. საფრანგეთში გოლიზმი გადაიზარდა კავშირში სახალხო მოძრაობისათვის, ხოლო თვითონ ტერმინი „კონსერვატორი“ იქცა სალანძღავ სიტყვად.

▪ „კავშირი სახალხო მოძრაობისათვის“ ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიაა. დაარსდა 2002 წელს საპრეზიდენტო არჩევნების წინ, იმისათვის, რომ მხარი დაეჭირა **ჟაკ შირაკის** კანდიდატურისათვის. არის მემარჯვენე პარტია. პოლიტიკური ორიენტაცია: აქტიური საგარეო პოლიტიკა, კონსერვატიზმი, რეგიონების განვითარების სტიმულირება, ინტეგრაცია ევროკავშირში.



შარლ დე გოლი (1890–1970)

XX საუკუნის საფრანგეთის უდიდესი პოლიტიკოსი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. მეხუთე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი 1958-69 წლებში. მისი პოლიტიკური იდეოლოგია ცნობილია, როგორც გოლიზმი.

9. ილია ჭავჭავაძე კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის, როგორც იდეურ- პოლიტიკური მიმდინარეობების შესახებ

◆ ილიას თვალსაზრისი კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის მახასიათებლების, არსის, ფუნქციების, მათი ურ-



ილია ჭავჭავაძე
1837–1907

თიერთდაპირისპირების პირობებში ურთიერთშეჯახებისა და ურთიერთშეღწევის ტენდენციების შესახებ, სიღრმისეულად გამოიკვლია პროფ. *ომარ გოგიაშვილმა*. იგი საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ ილიას ნააზრევი უაღრესად თანამედროვეა და „შინაური მიმოხილვის“ დაწერიდან (1881 წ. მაისი) დღემდე მას მეცნიერულობა და აქტუალურობა არ

დაუკარგავს.

◆ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები კონსერვატიული და ლიბერალური პოლიტიკური მიმდინარეობების შესახებ ყველაზე სრულად გამოიმჟღავნა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, რადგან ეს პროცესები ოპერა-

ტიულად აისახებოდა იმპერიის შემადგენელობაში მყოფ საქართველოშიც.

◆ კონსერვატიზმის იდეურ საფუძვლად ილიას მიაჩნდა „ის წყობა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს“, ლიბერალიზმისა კი „ის - რასაც დღევანდელი დღე თხოულობს“. ილია ამტკიცებს, რომ აზროვნებაში და ყოფიერებაში ამ ორი მიმდინარეობის - გამოცდილის, აპრობირებულის, ტრადიციულის და ახლის, დღევანდელი დღის მოთხოვნილებების მოქმედება „დაუძინარია“ - ე.ი. მუდმივმოქმედი.

◆ როცა ახალი აზრი, იდეა, ყველას თუ არა ბევრს მაინც „ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული იქნება“ - იწყება ახლის გამარჯვების სტადია, ახალი ერა აზროვნების განვითარებაში, მისი ახალი ეტაპი. კარგად ჩავუღრმავდეთ ილიას დიალექტიკურ აზროვნებას - ის სიახლეს მიესალმება, ის ახლის მეზარაბტრეა, მაგრამ ახლის საჭიროება რომ გაჩნდეს, ამიტომ „ცხოვრება უნდა წინ მიდიოდეს“, რუტინულ მდგომარეობაში სიახლე თავს იშვიათად იჩენს, ან შეიძლება სულაც ვერ აღმოცენდეს, მაგრამ ახლად აღმოცენებულ აზრსა და იდეას ძველი წყობა გამოუჩნდება ხოლმე ოპონენტად „და ასე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თვითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“.

◆ ილია აღნიშნავს, რომ ძველებს, უკვე დადგენილის დამცველებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, ხოლო ახლის მესვეურებს და მდომელებს – ლიბერალებს. ეს

ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო და დღესაც გასააზრებელია ის დებულება, რაც ამას მოსდევს. „თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოვებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარ დღეს შეიმოკლებს“. მაგალითიც სიმპტომატურია, ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, ინგლისის პოლიტიკური ცხოვრებიდან - ირლანდიელი კონსერვატორი ეროვნული თავისუფლებისათვის სიცოცხლეს არ დაზოგავს, ხოლო ინგლისელი ლიბერალი „დიდი ქარტიის“ არცერთ ასოს უსიკვდილოდ არ დასთმობს, მიუხედავად იმისა, რომ ის „ძველია“.

◆ ამას მოსდევს კონსერვატიული იდეოლოგიის ზედმიწევნით ზუსტი დახასიათება, რომელიც მხოლოდ ნიუანსებში ჩამწვდარ მოაზროვნეს შეიძლება გააკეთებინა: „ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მართო იმისთანა ძველს, რომელიც მისი გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის“. ილია იმასაც არ გამორიცხავს, რომ კონსერვატიული იდეების ერთგული შეიძლება იმისთანა „ძველის“ დამცველიც აღმოჩნდეს, რომელიც დღეს გამოუსადეგარია, მაგრამ ის „გულწრფელად“ უნდა დარწმუნდეს, რომ „ძველის“ ადგილას „ახალი“ ქვეყანას „კეთილს მოუტანს“.

◆ ახლა ლიბერალური იდეოლოგიის არსებითი ნიშანი: „ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარყოფს იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის“, ლიბერალიზმი მხოლოდ იმისთანა „ძველს“ ებრძვის, რომელიც ხელს უშლის შემდგომ პროგრესს და ეძებს იმისთანა ახალს, „რომელიც ძალზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას“.

◆ ილიას მიაჩნია, რომ ეს ორი დიდი „მდინარება“ აზრისა ერთმანეთის ბრალმდებლად გამოდის, მაგრამ სადაც ბრალმდებელია, იქ დამცველიც უნდა იყოს. მხოლოდ „ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი, კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად“.

◆ ამის შემდეგ ილია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჭეშმარიტების ცნებას და აღნიშნავს, რომ „ძველის მცველმა და ახლის უარყოფელმა“ მხოლოდ ამ ფარგლებში შეიძლება „გაიწვდინოს ხელი“, რომ ჭეშმარიტ ლიბერალობას ან კონსერვატორობას არ გადასცდეს.

◆ ნიშანდობლივია, რომ კონსერვატიზმთანაც და ლიბერალიზმთანაც ილია აუცილებლად უმატებს „ჭეშმარიტს“, რადგან უკვე ამ პერიოდში მათი მრავალი მოდიფიკაცია არსებობდა.

◆ ილიას მიაჩნდა, რომ ყველა ცივილიზებული, განათლებული ერი ამ ორი იდეოლოგიის შერწყმა-შეხამების პრინციპების გამოყენებით აშენებს თავის სახელმწიფოს. ეს თვალსაზრისი საკაცობრიო ცივილიზაციის დღევანდელი მიღ-

წევა უფროა, ვიდრე იმ პერიოდისა, როცა ილია ამ სტრიქონებს წერდა: „ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს, ორპირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობას“.

◆ ილია თვლიდა, რომ ყველა ერი, რომელიც ისტორიის ღირსია, ამ „ორნაირ აზრთა წყობის“ ძირითად პრინციპებზე უნდა აგებდეს თავის ცხოვრებას - ე.ი. სახელმწიფოებრიობას - პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებს.

◆ ილია მიიჩნევს, რომ ეს ორი „მიმდინარეობა აზრისა“ - კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეებია. ისინი ერთმანეთთან თანაარსებობენ, ერთმანეთს ავსებენ, ერთი მეორეს წიაღში იბადება, როცა ამის საჭიროება დგება და შემდეგ ვითარდება და მტკიცდება, როცა ამის პირობები იქმნება.

◆ ილია, ბუნებრივია, აცნობიერებს, რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნება მხოლოდ ამ ორი იდეოლოგიით არ ამოიწურებოდა, მაგრამ ეს ორი - ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი მიაჩნდა იმ იდეურ ღერძად, რომელზეც ცივილიზაციის მაგისტრალი გადიოდა. „კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირ სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ - რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს“.

◆ XIX საუკუნის 80-იან წლებში, როცა უკვე გავლენიან პოლიტიკურ იდეოლოგიებთან ილია თავის დამოკიდებულებებს აყალიბებდა, რუსეთში და მთელ იმპერიაში ძირითადად ეს ორი იდეოლოგია - კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი იყო „საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობა“ რაც შეეხება ევროპაში უკვე ფეხმოკიდებულ მესამე მძლავრ იდეოლოგიას - სოციალ-დემოკრატიულს, ის ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო და არ იყო დაუფლებული საზოგადოების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სპექტრის ცნობიერებას.

◆ მასთან შეჯახება და რადიკალური კონფრონტაცია ილიას უფრო მოგვიანებით, 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოუხდა. მანამდე კი, ილიას რუსეთის საზოგადოებრივი აზრის „მდინარობის“ მთავარ მახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა მამათა და შვილთა მკვეთრი დაპირისპირება. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მამებმა სიახლე ვერ იგრძნეს, ყველაფერს ძველს გამოსარჩლება დაუწყეს და ყოველივე ახალს აუგად იხსენიებდნენ. სასაცილოდ აიგდეს რეფორმირებული სასამართლოც, „რომლის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში“.

◆ ილია სინანულით აღნიშნავს, რომ არცერთი ევროპელი კონსერვატორი ასე უსირცხვილოდ არ გაჰკენწლავდა „იმ დიდსა და ახალს დაწყობილობას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან“. „მამების“ ამ უკიდურესმა რადიკალიზმმა და ყოველი ახალისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ შესაბამისი რეაქცია გამოიწვია „შვილებში“. მათ წარსულის მთლიანი უარყოფა დაიწყეს,

იმისიც, რაც უარსაყოფი იყო და იმისიც, რასაც გაფრთხილება და შენახვა სჭირდებოდა. გადაჭარბებულმა უარყოფამ იქამდე მიიყვანა რადიკალი შვილები, რომ პუშკინის მემკვიდრეობაც უარყო და „მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა“.

◆ ილია ამ პოლიტიკური პროცესების გამოძახილს აანალიზებს საქართველოში და აღნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ეს იდეები ბრმად გადმოიტანეს ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა. მეორე ნაწილმა კი იგრძნო ასეთი მექანიკური მიმბაძველობის საშიშროება, „გამოინაპირა“ და სწორ პოზიციებზე დადგა. ამრიგად, ახალგაზრდა თაობა, საქართველოშიც ორად გაიყო. პირველები, ვინც უარმყოფელობის მეტი რუსული საზოგადოებრივი აზრიდან ვერაფერი გადმოიღეს და „დღეის-აქომამდე აწიოწოს იძახიან და იოლას გადიან“. ახალგაზრდობის მეორე ნაწილმა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოში ღრმად ჩაიხედა და მიხვდა, რომ „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს“, საქართველოს რუსეთთან შედარებით განსხვავებული ეროვნული ინტერესები აქვს, ქვეყნის მოთხოვნილებები სხვა სფეროებშია საძებნი და ქართულმა ლიბერალიზმმა თავისი ძალისხმევა სხვა მიმართულებით უნდა წარმართოს. ილიას მიაჩნდა და ეს განსაკუთრებით აქტუალური და საინტერესოა დღესაც, რომ თუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ზოგადსოციოლოგიური ხასიათის კატეგორიაა და საქართველოშიც მას ვერ ავცდებით, ბრძოლის საგანი, ანუ, ბრძოლის ობიექტი „სხვა-რამე“ უნდა

ყოფილიყო, სრულიად განსხვავებული რუსეთისაგან და გნებავთ ბევრი ევროპული ქვეყნებისაგან.

◆ გასაგებია მკითხველის ინტერესი ამ „სხვა რაიმესადმი“ - რას გულისხმობდა ილია განსხვავებულ საგანში, რომლისკენაც ფაქტიურად მიმართავდა ერის მთელ ინტელექტუალურ ძალებს, ლიბერალებსაც და კონსერვატორებსაც. სტატიაში რამდენიმეგზის „სხვა“ და „სხვა რამე“-ს განმეორებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ილია სპეციალურად აღვიძებს მკითხველის ინტერესს და ბოლოს ამასაც შიფრავს:

„ის „სხვა რამე“ იყო - ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, - ყველასათვის ცხადზედ ცხადია“. ამ ციტატიდან სრულიად გასაგები ხდება, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის, მისი ცნობიერების უმთავრეს პრობლემად ილია ეროვნულ პრობლემას - დაცემული ვინაობის აღდგენას მიიჩნევს და არა იმ პრობლემებს, თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანს, რომლებიც იმ ქვეყნების წინაშე იდგა, რომლებსაც ვინაობა დაცემული არ ჰქონდათ - ე.ი. ეროვნული თვითმყოფადობა, პირველ რიგში, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის უპირველესი პირობა.

◆ ილია დიდად კმაყოფილი აღნიშნავს, რომ „ყმაწვილკაცობის“ ერთმა ნაწილმა სწორედ ამ მიმართულებით წარმართა თავისი ნიჭი და ენერგია. მართალია, ამ თაობას ჯერ ეროვნული „ვინაობის“ აღსადგენად ბევრი არ გაუკეთებია,

რადგან მათი მეცნიერული დონე და საჭირო ცოდნა ჯერ კიდევ „კარგა ქვეითობდნენ“, მაგრამ მათი დამსახურებაა ის, რომ ამაზე თავადაც დაფიქრდნენ და სხვებიც დააფიქრეს. ეს კი იმის საფუძველია, რომ რასაც ეს თაობა ვერ გააკეთებს, სხვა თაობები შექმნიან და ეს უნდა იყოს, ილიას აზრით, ქართული კონსერვატიზმის თუ ლიბერალიზმის ძირითადი იდეა, მისი განმსაზღვრელი იდეური მიმართულება მანამდე, „მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში, და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა“. ილიას მიაჩნდა, რომ საქართველოს შვილს უფრო დიდი, მნიშვნელოვანი, ეროვნულ-პატრიოტული საქმე არ აქვს - აღადგინოს ერის „ვინაობა“; ამას უნდა ემსახურებოდეს თითოეული ადამიანი და ერის ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული:

„სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნოთ თავი“ - ყველა თანამდებობაზე კაცის დანიშვნისა თუ არჩევის ძირითადი კრიტერიუმიც ეს უნდა იყოს - „მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ“. ვინც ამისათვის არ გამოდგება, ვინც ამას ვერ გაითავისებს და მოღვაწეობის მთავარ ასპარეზად არ გაიხდის, „გინდ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის“.

10. მარქსიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი, ნეომარქსიზმი

□ მარქსიზმი – კარლ მარქსის მიერ დაარსებული ფილოსოფიური და იდეოლოგიური მიმართულება. მარქსიზმი სათავეს იღებს *კარლ მარქსის* და *ფრიდრიხ ენგელსის* ფილოსოფიური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის შრომებიდან, რომელთა მთავარი მთავარი თემაა კაპიტალიზმის კრიტიკა. ეს კრიტიკა სისტემატური სახით მოცემულია მარქსის ცნობლ ნაშრომში „კაპიტალი“ (Das Kapital).

□ კომუნიზმი – საზოგადოებრივი წყობა, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებების საერთო საკუთრებაში არსებობას. პოლიტიკური იდეოლოგია ან ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც მხარს უჭერს ასეთ საზოგადოებრივ წყობას. მის იდეოლოგიურ ფუძემდებლად ითვლება გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მარქსი. კომუნიზმი ასევე იხმარება კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოძრაობების მისამართით.

□ კომუნიზმი ემყარება მარქსიზმის იდეებს. როგორც ფილოსოფიური მიმართულება მარქსიზმი ეფუძნება მატერიალიზმს. **სოციალიზმი და მარქსიზმი.** სოციალისტური იდეების კვალი ჯერ კიდევ XVII ს. გამოჩნდა ლეველერებთან და დიგერებთან, თუმცა სოციალიზმი როგორც პოლიტიკური დოქტრინა ჩამოყალიბდა XIX ს. დასაწყისში სამრეწველო კაპიტალიზმის რეაქციულ მოწინააღმდეგედ. თავდაპირველად მის სოციალურ საფუძველს წარმოადგენდნენ ხელოსნები, მაგრამ მალე იგი მზარდმა პროლეტარიატმა შეცვალა.



კარლ მარქსი
(Karl Marx; 1818 – 1882)

გერმანელი
ფილოსოფოსი,
ეკონომისტი,
ისტორიკოსი,
პოლიტიკური
თეორეტიკოსი,
სოციოლოგი,
კომუნისტი და
რევოლუციონერი

კარლ მარქსი XIX ს-ის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი სოციალური მოაზროვნე. მის იდეებს თითქმის საუკუნე ნახევარი მთელ მსოფლიოში იყენებდნენ და ახლაც იყენებენ ყველაზე განსხვავებულ სოციალურ მოძრაობათა პროგრამებში.

□ თავის ადრეულ ფორმებში სოციალიზმი ატარებდა ფუნდამენტურ, უტოპიურ და რევოლუციურ ხასიათს. მისი მიზანი იყო კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაცია და მისი შეცვლა ახალი, უკეთესი სოციალისტური საზოგადოებით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ამ მიმართულების ყველაზე ავტორიტეტული მოაზროვნის კარლ მარქსის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა XX ს-ის კომუნისტურ იდეოლოგიას.

□ მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი, ისევე როგორც წინამორბედი სოციალურ ეკონომიკური სისტემები, გარდაუვალად წარმოშობს შინაგან დაპირისპირებას, რაც მიიყვანს მას თავისივე დესტრუქციისაკენ. მას სჯეროდა, რომ ისევე როგორც ფეოდალიზმმა ჩაანაცვლა სოციალიზმი, სოციალიზმიც, თავის მხრივ ჩაანაცვლებს კაპიტალიზმს და კაცობრიობას მიიყვანს უსახელმწიფო, უკლასო საზოგადოებამდე, რომელსაც მან კომუნიზმი უწოდა.

□ მისივე ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველ მონაკვეთში მარქსი განმარტავს ფეოდალიზმს, კაპიტალიზმს და შინაგანი სოციალური დაპირისპირების როლს ისტორიულ პროცესში.

□ მარქსი ცდილობდა სოციალურ ეკონომიური ცვლილების სისტემურ გაგებას. ის ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის შინაგანი სტრუქტურული დაპირისპირება გარდაუვალს გახდის მისივე დასასრულს და გზას გაუხსნის სოციალიზმს. მეორე მხრივ, მარქსი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივ ეკონომიური ცვლილება ხდებოდა ორგანიზებული რევოლუციური აქციით. ის ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმს დაასრულებს ინტერნაციონალური მუშათა კლასის ორგანიზებული გამოსვლა. კარლ მარქსი, *ემილ დურკჰეიმთან* (Émile Durkheim; 1858-1917) და *მაქს ვებერთან* (Max Weber; 1864-1920) ერთად მოიაზრება თანამედროვე სოციალური მეცნიერებების არქიტექტორად.

მარქსიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

ისტორიული მატერიალიზმი

საზოგადოებრივი და ისტორიული განვითარება ეკონომიკური და კლასობრივი ფაქტორებით განისაზღვრება. მოგვიანებით, მარქსისტებმა ეს მექანიკურად გაიაზრეს როგორც უპირობო მოცემულობა, თითქოსდა ეკონომიკური „კანონები“ ისტორიის სვლას ადამიანთა ჩარევის გარეშე წარმართავენ.

დიალექტიკური ცვლილება

ჰეგელისა არ იყოს, მარქსსაც სჯეროდა, რომ ისტორიას დიალექტიკა ამოძრავებდა და დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთობის შედეგად საზოგადოება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდოდა. მატერიალისტური გაგებით, ეს მოდელი ისტორიულ ცვლილებას კლასთა ანტაგონიზმის სახედ, შინაგან დაპირისპირებად აღიქვამს.

გაუცხოება

კაპიტალიზმის პირობებში, შრომა უბრალოდ მექანიკური, მოსაბეზრებელი და უგულო საქმიანობაა. ამ გაგებით, მუშებს არც თავიანთი შრომის ნაყოფი აინტერესებდათ, არც თავად შრომის პროცესი, და საბოლოოდ, საკუთარ თავს ვეღარც სოციალურად აქტიურ, შემოქმედ არსებებად აღიქვამენ.

კლასთა ბრძოლა

კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი – კერძო საკუთრების არსებობაა. სწორედ ამ ნიშნით ხდება დაყოფა წარმოების საშუალებათა

მფლობელ ბურჟუაზიას, იგივე კაპიტალისტთა კლასსა და პროლეტარიატს შორის, რომელსაც საკუთრება არ გააჩნია და საკუთარი შრომის გაყიდვით გააქვს თავი.

ზედმეტი ღირებულება

დაპირისპირება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ერთი გადაუჭრელი კონფლიქტთაგანია, რადგან მარქსიზმის თვლათახედვით, კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასი ჩაგრულია. მოგებას დახარბებული კაპიტალისტი ზედმეტ ღირებულებას იმით ქმნის, რომ მუშებს იმაზე ნაკლებს უხდის, ვიდრე ისინი გამოიმუშავენ. ამიტომაცაა კაპიტალიზმის საფუძველშივე განწირული – პროლეტარიატი მუდმივ ჩაგვრასა და დამცირებას ვერ შეეგუება.

პროლეტარული რევოლუცია

მარქსის ურყევი რწმენით, კაპიტალიზმს დიდი დღე არ ეწერა და პროლეტარიატის სახით მას საკუთარი „მესაფლავე“ ელოდა. მარქსს პროლეტარული რევოლუცია გარდაუვლად მიაჩნდა და მისი წინასწარმეტყველებით, ეს რევოლუცია სწორედ წარმოების საშუალებების დასაუფლებლად ამტყდარი ბრძოლით განხორციელდებოდა. თუმცა, სიცოცხლის მიწურულს, უკვე სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის თეორიულ შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა.

კომუნნიზმი

მარქსი თვლიდა, რომ პროლეტარული რევოლუცია გარდამავალ „სოციალისტურ პერიოდს“ მოითხოვს, როცა უფლებააყრილი ბურჟუაზიის კონტრეოლუციურ ქმედებათა გასაუვნებლად, „პროლეტარიატის დიქტატურა“ გახდება აუცილებელი. თუმცა, კლასობრივი დაპირისპირების გაქრო-

ბისა და მთლიანად კომუნისტური საზოგადოების გაბატონების შემდგომ, ამგვარი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობაც თავისთავად დაკარგავდა აზრს. კომუნისტური საზოგადოება უკლასო უნდა ყოფილიყო, სადაც დოვლათი საყოველთაო საკუთებად იქცეოდა, ხოლო „მოვალეობისათვის შრომა“ – „სარგებლობისთვის შრომად“ გადაიქცეოდა და მთლიანად დააკმაყოფილებდა ადამიანის ყოველგვარ მოთხოვნილებას.

მარქსიზმის იდეურ-თეორიული წყაროები

გერმანული კლასიკური ფილოსოფია:

იმანუელ კანტი (Immanuel Kant, 1724–1804), *იოჰან ფიხტე* (Johann Gottlieb Fichte, 1762–1814), *გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი* (Georg Wilhelm Friedrich Hegel; 1770–1831), *ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ ფონ შელინგი* (Friedrich Wilhelm Joseph von Schelling, 1775–1854), *ლუდვიგ ფოიერბახი* (Ludwig Andreas von Feuerbach; 1804–1872).

ინგლისური პოლიტიკური ეკონომია:

ადამ სმიტი (Adam Smith; 1723–1790), *დევიდ რიკარდო* (David Ricardo, 1772–1823).

ფრანგული უტოპიური სოციალიზმი:

ანრი სენ-სიმონი (Henri de Saint-Simon, 1760–1825), *რობერტ ოუენი* (Robert Owen; 1771-1858), *შარლ ფურიე* (François Marie Charles Fourier; 1772-1837). ასევე მარქსისტული რევოიონისტული შეხედულებები, რომელსაც ძირითადად *ედუარდ ბერნშტეინი* (Eduard Bernstein; 1850 — 1932) ავითარებდა.

□ მარქსი გამოყოფდა ხუთ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციას:

- პირველყოფილ-თემური ფორმაცია;
- მონათმფლობელური საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაცია;
- ფეოდალური საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაცია;
- ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაცია;
- მომავალი კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია

□ კომუნისტური ფორმაციის ნიშნები:

- ადამიანის დამმონებელი შრომის დანაწილებიდან განთავისუფლება და მისადმი მორჩილების მოსპობა;
- გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების ერთდროული გაქრობა;
- შრომის გადაქცევა საშუალებებიდან ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად;
- ინდივიდთა ყოველმხრივი განვითარება;
- საწარმოო ძალებისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის არნახული ზრდა;
- თითოეულისგან უნარის, ხოლო თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით „პრინციპის რეალიზაცია“.

□ XIX ს-ის დასაწყისში სოციალიზმში გაჩნდა რეფორმისტული დინება, რომელმაც ასახა მუშათა კლასის თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესი კაპიტალიზმის პირობებში – შრომის პირობების გაუმჯობესების, ხელფასე-

ბის ზრდის, პროფკავშირების გაძლიერებისა და სოციალისტური მუშათა პარტიების ჩამოყალიბების გზით. რეფორმიზმმა გამოავლინა მშვიდობიანი, თანდათანობითი და სრულიად ლეგალური „საპარლამენტო გზით“ სოციალიზმში გადასვლის შესაძლებლობა.

□ XX ს. სოციალისტური მოძრაობა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყო გაყოფილი: რევოლუციური მიმართულების სოციალისტებად, რომლებიც გაყენენ ლენინსა და ბოლშევიკებს და ბოლოსდაბოლოს განისაზღვრენ როგორც კომუნისტებად. სოციალ-რეფორმატორებად, რომელთაც ლეგალური კონსტიტუციური პოლიტიკის პოზიცია ეკავათ, იმათ თავიანთ ირგვლივ შემოიკრიბეს ყველა ის ელემენტი, რომელთაც შემდგომში სოციალ-დემოკრატია დაერქვა. დებატები მიმდინარეობდა არა მარტო სოციალიზმზე გადასვლის გზებზე, არამედ იხილებოდა თვითონ სოციალისტური იდეების არსი.

□ სოციალ-დემოკრატებმა კატეგორიულად უარყვეს ისეთი რადიკალური ხასიათის მოთხოვნილებები, როგორც იყო საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო დაგეგმარება.

□ მე-20 საუკუნეში თვითგამოცხადებული კომუნისტური პოლიტიკური ძალები ხელისუფლებაში იყვნენ მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში, მათ შორის 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირი, რომელიც ცივი ომის დროს იყო სოციალისტური ბანაკის მეთაური და ამერიკასთან ერთად ითვლებოდა ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ. 1980-იანი წლებისთვის მსოფლიოს მოსახლეობის

დაახლოებით ერთი მესამედი კომუნისტურ სახელმწიფოებში ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომუნიზმის პოზიციები მსოფლიოში მკვეთრად შესუსტდა.

□ დღემდე გამოხატული კომუნისტური მმართველობა არსებობს ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში, ლაოსში და კუბაზე.

□ მარქსის მიხედვით კაპიტალისტური სისტემიდან კომუნიზმისკენ გადასვლა ხორციელდება თანამიმდევრულად, გარდამავალი პერიოდის გავლით. ეს გზა არჩეული ჰქონდათ არსებული კომუნისტური რეჟიმების უმრავლესობას, თუმცა კომუნისტურ ეპოქაში შესვლა არ განხორციელებულა არც ერთ მათგანში.

□ კომუნისტებმა გარკვეულ სიძლიერეს მიაღწიეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ევროკომუნიზმი არის ტერმინი, რომელიც 1970-იანი წლებიდან გამოიყენებოდა ევროპელი კომუნისტების მისამართით, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ემიჯნებოდნენ საბჭოთა კავშირს. კომუნისტური მოძრაობა ასევე საკმაოდ ძლიერია სამხრეთ ამერიკაში.

ლენინიზმი

□ *ვლადიმერ ლენინის* ნაშრომებში დიდი ადგილი ეთმობა კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობების ანალიზს იმ ისტორიული პერიოდში, როცა ლენინი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში. მან განავითარა „იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის“ თეორია, განსაკუთრებული სიმწვავეით წარმოაჩინა კაპიტალისტების გლობალური პოლიტიკა,

რუსი მარქსისტი,
 თეორეტიკოსი და
 რევოლუციონერი. 1903
 წელს დაარსა
 ბოლშევიკური პარტია,
 რომელმაც 1917 წელს
 მოახდინა რუსეთის
 ოქტომბრის
 სოციალისტური
 რევოლუცია და ხელში
 აიღო ძალაფულება.
 საბჭოთა კავშირის
 კომუნისტური პარტიის
 დამაარსებელი,
 ისტორიაში უდიდესი
 სოციალისტური
 რევოლუციისა და
 მსოფლიოში პირველი
 სოციალისტური
 სახელმწიფოს შემქმნელი.



ვლადიმერ ლენინი (ულიანოვი)
 1870–1924. Владимир Ильич
 Ульянов, „Ленин“;

რომელიც ძირითადად მოგებაზე იყო ორიენტირებული.
 არსებული სისტემის რღვევისათვის ლენინმა მართებულად
 მიიჩნია რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობა და
 რუსეთის პირველი მსოფლიო ომიდან გამოყვანა, რათა
 ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლებულიყო დასავლური
 კაპიტალის მონობისაგან. მისი აზრით, რადიკალური
 ცვლილებები სხვა ქვეყნებსაც უნდა შეხებოდა, რასაც
 საბოლოოდ კაპიტალიზმის კრაზი უნდა მოჰყოლოდა.

□ აღსანიშნავია ლენინის როლი მარქსისტული ფილო-
 სოფიის განვითარებაში. მისი ძირითადი ფილოსოფიური

ნაშრომია „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, სადაც განხილულია მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები და გაკრიტიკებულია სხვა ფილოსოფიური თეორიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის მიერ მარქსისტული დიალექტიკის დალაგება და მისი როგორც შემეცნების მეთოდად წარმოჩენა. დიალექტიკური მატერიალიზმი საბჭოთა კავშირის ოფიციალური ფილოსოფია გახდა და დასავლურ სამყაროსთან იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად იქცა.

□ ლენინიზმში უმთავრესი სიახლეა დოქტრინა ახალი სახის პოლიტიკური პარტიის, რევოლუციური პარტიის ანუ ავანგარდული პარტიის შესახებ. მხოლოდ რევოლუციურ პარტიას შეუძლია მუშათა კლასის გადაყვანა „პროფკავშირული შეგნებიდან“ რევოლუციურ კლასობრივ შეგნებამდე. ასეთ პარტიაში მხოლოდ პროფესიონალი და ერთგული რევოლუციონერები იქნებიან. პარტიის იდეოლოგია დაეფუძნება მარქსისტულ იდეოლოგიას, რომელიც სოციალური და ისტორიული განვითარების ჭეშმარიტ მეცნიერულ ახსნას იძლევა. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული პარტია შეასრულებს პროლეტარიატის ავანგარდის როლს.

სტალინიზმი

□ *იოსებ სტალინის* (იოსებ ჯულაშვილის) პიროვნებამ და მისმა მმართველობის სტილმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოში საბჭოური მოდელის სოციალიზმის განვითარებაზე. მას ბევრად უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთში და მსოფლიოში საბჭოური მოდელის სოციალი-

იოსებ სტალინი
 (ჯულაშვილი, 1878–1953),
 საბჭოთა კავშირის
 ლიდერი 1924–1953
 წლებში. კომუნისტური
 პარტიის, საბჭოთა
 სახელმწიფოს,
 საერთაშორისო
 კომუნისტური და ბუშათა
 მოძრაობის ერთ-ერთი
 ხელმძღვანელი.
 მარქსიზმ-ლენინიზმის
 თეორეტიკოსი და
 პროკაგანდისტი.



ზმის იდეების დამკვიდრებასა და განვითარებაში, ვიდრე *ვლადიმერ ლენინს* ან ვინმე სხვას.

□ საბჭოთა კავშირში ი. სტალინის მიერ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულმა „მეორე რევოლუციამ“ ანუ სტალინურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოში სოციალიზმის გავრცელებასა და განვითარებაზე.

□ ი. სტალინმა მარქსიზმის თეორიაშიც შეიტანა საკუთარი წვლილი, როდესაც განახორციელა მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ცვლილება და მიიღო დოქტრინა „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“. 1924 წელს გამოცხადებული დოქტრინა აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირს საერთაშორისო რევოლუციის გარეშეც შეეძლო სოციალიზმის მშენებლობაში წარმატებისთვის მიეღწია. ეს მკვეთრად გამოარჩევდა სტალინს

ლენინისა და მარქსისაგან, აგრეთვე, განსაკუთრებით ხელი-სუფლებისათვის ბრძოლაში მისი მეტოქისაგან, ბოლშევიკ რევოლუციონერ **ლევ ტროცკისაგან** (ლევ ბრონშტეინი, 1879-1940), რომელმაც ინტერნაციონალისადმი უცვლელი ერთგულება შეინარჩუნა.

კრიზისი

□ 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და მსოფლიოში მარქსისტული წყობის კრახის გამო მარქსისტულ თეორიას მძიმე დღეები დაუდგა. ზოგიერთები დარჩნენ „არაგარდაქმნილ“ მარქსისტებად; სხვებმა შექმნეს მარქსისტული თეორიის სახეშეცვლილი ვერსია. ხოლო ზოგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავი უნდა დაანებონ მარქსისტულ თეორიას. ამ ბოლო თვალსაზრისს ატარებს ამერიკელი ფილოსოფოსი **რონალდ არონსონი** წიგნში „მარქსიზმის შემდეგ“ (1995). იგი წიგნის დასაწყისშივე გვამცნობს: „მარქსიზმი დასრულდა და ჩვენ დავრჩით საკუთარი თავის ამარა“. მიუხედავად არონსონის ვარაუდისა, რომ ზოგიერთი განაგრძობს მუშაობას მარქსისტულ თეორიაში, ის აფრთხილებს, რომ მათი მოღვაწეობა არ გახდება ნაწილი სოციალური გარდაქმნების უფრო დიდი მარქსისტული პროექტისა. ეს ნიშნავს, რომ მარქსისტული თეორია აღარ არის, როგორც უნდოდა მარქსს დაკავშირებულს საზოგადოებრივი ბაზისის შეცვლის გეგმასთან; ეს თეორია პრაქტიკის გარეთაა. ყოფილი მარქსისტები თავისთავად, იმ აზრით, რომ მეტი ვეღარ დაეყრდნობიან მარქსისტულ გეგმას, იძულებული იქნებიან ქიშპობა

გაუწიონ თანამედროვე საზოგადოებას „საკუთარი ძალითა და ენერჯით“.

ნეომარქსიზმი

□ არაერთგვაროვანი ფილოსოფიური, იდეოლოგიური და პრაქტიკულ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც აგრძელებს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას. ნეომარქსიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყალიბდება. აკრიტიკებს რა ლენინიზმს და მის პრაქტიკულ რეალიზაციას, იგი ცდილობს მოახდინოს მარქსის შრომების ახლებური ინტერპრეტაცია.

□ ნეომარქსიზმის ყურადღების ცენტრშია ადამიანის გაუცხოებისა და იმ პირობების მოხსნა, რომელიც გვიანკაპიტალისტურმა საზოგადოებამ შექმნა. ძირითადი თემა: დამოკიდებულება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და მესამე სამყაროს ღარიბ ქვეყნებს შორის.

□ ნეომარქსიზმის თეორეტიკოსები პოლიტიკურად ახლოს დგანან ახალ მემარცხენებთან. ნეომარქსისტული მიმდინარეობა წარმოდგენილია *დიორ ლუკაჩის, ჰერბერტ მარკუზეს, მაქს ჰორკვაიმერის, თეოდორ ადორნოს, ერიხ ფრომის, იურგენ ჰაბერმასის, ერნსტ ბლოხის* ნააზრევის სახით.

□ ნეომარქსიზმი XX ს-ის ოციან წლებში გაჩნდა ჰეგელიანური მარქსიზმის იმ ვერსიის ნიშნის ქვეშ, რომელიც დაკავშირებულია *დიორ ლუკაჩთან* და *კარლ კორშთან* (1886–1961). აღნიშნული ვერსიის ყურადღების ცენტრში პროლეტარიატის მიერ თავისი მისიისა და ისტორიის

„ობიექტური ჭეშმარიტების“ რეალიზების პოლიტიკური და სულიერი წანამძღვრები იყო.

□ 30-40-იან წლებში პირველ პლანზე გამოდის ფრანკფურტის სკოლასთან დაკავშირებული ჰეგელიანური მარქსიზმის სხვა ვერსია. მისი თეორეტიკოსები (**მ. ჰორკჰაიმერი, თ. ადორნო**) ეჭვქვეშ აყენებენ პროლეტარიატის პოტენციურ უნარს კრიტიკული, არაფეტიშური თვითშეგნების მოპოვების შესახებ.

□ 50-60-იან წლებში ავანსცენაზე „ინდივიდუალისტური მარქსიზმის“ სხვადასხვა მიმდინარეობა ჩნდება: ფროიდო-მარქსიზმი (**ე. ფრომი, გ. მარკუზე**), ეგზისტენციალური მარქსიზმი (**მორის მერლო-პონტი, ჟან პოლ სარტრი**), ფენომენოლოგიური მარქსიზმი (**ენცო პაჩი, პოლ პიკონე**).

□ მათ ამოცანას ადამიანის განთავისუფლების პოტენციალის ძიება შეადგენდა, რომლის პოვნასაც ისინი ისეთი ადამიანის სუბიექტურობის სიღრმეში ცდილობდნენ, რომელიც სოციალურობის შედეგად გაუპიროვნებას არ განიცდიდა.

□ 60-იანი წლებიდან სტრუქტურული მარქსიზმი განვითარდა (**ლოუი ალტიუსერი, მორის გოდელიე, პოლიტიკური თეორიის სფეროში ნიკოს ჰულანჯასი**). მისი პათოსი „ისტორიის ობიექტური ჭეშმარიტების“ უფლებებში აღდგენაა, რომელიც მან სუბიექტივისტური მიმდინარეობების შედეგად დაკარგა.

□ ინგლისურენოვან ქვეყნებში ნეომარქსიზმი სოციოლოგიისა და პოლიტეკონომიის სფეროში განსაკუთრე-

ბული ტენდენციის სახით ვითარდება, რომელსაც ანტიპოზიტივისტური მიმართულება აქვს (*ჩარლზ მილსი, პოლ ბარანი, პოლ სუიზი* და სხვ.).

□ თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ნეომარქსიზმი უპირატესად მემარცხენე და მემარცხენე-ლიბერალურ, უპირველეს ყოვლისა, საუნივერსიტეტო ინტელიგენციაში ვრცელდებოდა. მისი რეალურ პოლიტიკაში გამოვლენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის მინიმალური იყო. თვით ნეომარქსიზმის თეორეტიკოსების აღიარებით, პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავება ყოველთვის იყო და რჩება მის სისუსტედ.

□ *დიორ ლუკაჩის* (1885-1971) თანახმად, სოციალიზმის ისტორიულად აუცილებელი გამოჩენა ასპარეზზე კაპიტალიზმის თვითუარყოფის დიალექტიკური მოძრაობის შედეგია. კაპიტალისტური წარმოების წესი იწვევს იმას, რომ ადამიანთა შორის დამოკიდებულება ემსგავსება საგანთან დამოკიდებულებას (გასაგნება). საქონელი იქცა საერთო საზოგადოებრივ უნივერსალურ კატეგორიად. ეს პროცესი პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ცნობიერების გადატრიალებას იწვევს, რამაც შესაძლოა კაპიტალიზმის „გამასაგნებელი“ სტრუქტურა რევოლუციური მოქმედებით დაძლიოს.

□ ნეომარქსიზმის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფოსების (*ადორნო, ფრომი, ჰორკჰაიმერი, მარკუზე*) კრიტიკულ თეორიას. შრომაში „განმანათლებლობის დიალექტიკა“ (1947) *ადორნო* და *ჰორკჰაიმერი* მიუთითებდნენ თანამედ-

როვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობაზე და ცდილობდნენ მარქსიზმზე ორიენტირებული კრიტიკულ-დიალექტიკური პერსპექტივის დაფუძნებას. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების უმრავლესობა ასევე უარყოფს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წმინდა ტექნიკური-მიზანრაციონალურ აზროვნებას, ინსტრუმენტულ გონებას და, აქედან გამომდინარე, საბჭოთა მარქსიზმის თეორიასა და პრაქტიკას.

□ *ერნსტ ბლოხი* ხაზს უსვამდა მარქსისტული აზროვნების მომავალზე მიმართულ ასპექტს და აგებდა „მომავლის პრინციპზე“ დაფუძნებულ ყოვლისმომცველ ფილოსოფიას. ბლოხის თანახმად, უტოპიური აზროვნება არსებითია ადამიანისათვის და იგი სოციალურ უტოპიაშია წარმოდგენილი. *იურგენ ჰაბერმასი* ეხება კრიტიკული თეორიისა და მარქსიზმის შემეცნებით და მეცნიერულ-თეორიულ დასკვნებს.

□ კაპიტალიზმის სამყაროში რეპროდუქცია როგორც ადრე, ისე ახლაც ლატენტურად შეიცავს მასალას კრიზისისათვის და მას საზოგადოებრივად წარმოებული სიმდიდრის მითვისების ასიმეტრია ახასიათებს. საზოგადოებრივი ინტერესები შეიძლება ლეგიტიმური იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი გადამოწმდება „პრაქტიკული დისკურსით“. საჯაროობის პრინციპი, როგორც ბატონობისაგან თავისუფალ სივრცეში ინტერესთა კონფლიქტის კომუნიკაციური განხორციელება-გატარების გამჭვირვალობის პირობა, თანამედროვე კაპიტალიზმში შეუძლებელია.

11. სოციალ-დემოკრატია



□ სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს მემარცხენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ იდეოლოგიას. სოციალ-დემოკრატია არ არის თეორიულად ისეთი ერთიანი და თანმიმდევრული მიმდინარეობა, როგორც, ვთქვათ კლასიკური ლიბერალიზმი ან კლასიკური კონსერვატიზმი. თა-

ნამედროვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა იქით მისწრაფვის, რათა მოახდინოს კაპიტალიზმის რეფორმირება და მისი სოციალური თანასწორობის ეთიკურ იდეალებთან თანხმობაში მოყვანა, კაპიტალისტური წარმოების მეთოდის შენარჩუნების პირობებში, რაც მას განასხვავებს სხვა, ალტერნატიული სოციალისტური ეკონომიკური სისტემებისგან. სოციალ-დემოკრატია ცდილობს ბაზრისა და სახელმწიფოს როლის გაწონასწორებას, დაიცვას ბალანსი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. სოციალ-დემოკრატია ერთგვარი კომპრომისია – დოვლათის დაგროვების ერთადერთ საიმედო მექანიზმად ის კაპიტალიზმს აღიარებს, ოღონდაც სურს, ეს დოვლათი გადანაწილდეს უფრო ზნეობრივი პრინციპით, ვიდრე საბაზრო კანონების მიხედვით. პრაქტიკაში თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პოლისები საკუთარ თავში მოიცავენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გავრცელებასა და ეკონომიკური

დემოკრატიის შექმნას, რაც მშრომელთა უფლებების დაცვას გულისხმობს.

□ ამ იდეურ-პოლიტიკური მიმართულების პარტიები გვხვდება შემდეგი სახელწოდებებით:

□ სოციალისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, დემოკრატიული სოციალისტური პარტია, შრომის პარტია, სოციალ-დემოკრატიული კავშირი, ახალი დემოკრატიული პარტია, დემოკრატიული პარტია და სხვ.

ევროპის სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის
მატარებელი პარტიები და პოლიტიკური
მიმდინარეობები:

□ ანდორის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბელგიის სოციალისტური პარტია, ბელგიის პროგრესული ალტერნატივა, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატების პარტია, ბულგარეთის სოციალისტური პარტია, ხორვატიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, კვიპროსის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, დანიის სოციალ-დემოკრატები, ესტონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, საფრანგეთის სოციალისტური პარტია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია, საერთო ბერძნული სოციალისტური მოძრაობა, უნგრეთის სოციალისტური პარტია, ისლანდიის სოციალ-დემოკრატიული ალიანსი, ირლანდიის ლეიბორისტული პარტია, ისრაელის შრომის პარტია, ისრაელის სოციალ-დემოკრატიული პარტია, იტალიის დემოკრატიული

სოციალისტები, ლატვიის სოციალ–დემოკრატიული მუშათა პარტია, ლიტვის სოციალ–დემოკრატიული პარტია, ლუქსემბურგის სოციალისტური მუშათა პარტია, მაკედონიის სოციალ–დემოკრატიული კავშირი, მალტის მუშათა პარტია, ნიდერლანდების შრომის პარტია, ჩრდილოეთ ირლანდიის სოციალ–დემოკრატიული და ლეიბორისტული პარტია, ნორვეგიის შრომის პარტია, პოლონეთის მემარცხენე დემოკრატიების კავშირი, პოლონეთის შრომის კავშირი, პორტუგალიის სოციალისტური პარტია, რუმინეთის სოციალ–დემოკრატიული პარტია, სან–მარინოს სოციალისტებისა და დემოკრატიების პარტია, სლოვაკიის სოციალ–დემოკრატიული პარტია, სლოვენის სოციალ–დემოკრატიების ერთიანი სია, ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტია, შვეციის სოციალ–დემოკრატიული პარტია, შვეიცარიის სოციალ–დემოკრატიული პარტია, თურქეთის სახალხო–რესპუბლიკური პარტია, ალბანეთის სოციალისტური პარტია, ბელორუსიის სოციალ–დემოკრატიული პარტია, ბოსნია–ჰერცეგოვინის დამოუკიდებელ სოციალ–დემოკრატიების კავშირი, გრენლანდიის პარტია წინ, რუსეთის სოციალ–დემოკრატიული პარტია, სერბეთისა და ჩერნოგორიის დემოკრატიული პარტია, სერბეთისა და ჩერნოგორიის სოციალისტების დემოკრატიული პარტია, სერბეთისა და ჩერნოგორიის სოციალ–დემოკრატიული პარტია, უკრაინის სოციალ–დემოკრატიული პარტია, უკრაინის სოციალისტური პარტია, სომხეთის რევოლუციური ფედერაცია.

□ ისტორიულად, სოციალ დემოკრატია ევოლუციური რეფორმისტური სოციალიზმის ფორმას წარმოადგენს. XX

საუკუნის დასაწყისში ძირითადი ევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტიები თანდათან გაემიჯნენ მარქსიზმის ელემენტებს, რევოლუციურ სოციალიზმსა და კლასთა ბრძოლის იდეებს და დაიკავეს უფრო ზომიერი პოზიცია, რაც გულისხმობდა იმის რწმენას, რომ სოციალიზმის დამყარება პოლიტიკური რეფორმების მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამ დროისათვის განსხვავება სოციალ-დემოკრატიასა და დემოკრატიულ სოციალიზმს შორის ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული.

□ სოციალისტური ინტერნაციონალის ფრანკფურტის დეკლარაცია 1951 წელს, რომლის შექმნაშიც მრავალმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, უპირისპირდებოდა და უარყოფდა ბოლშევიკურ კომუნიზმსა და სტალინიზმს და მიზნად ისახავდა კაპიტალიზმის სოციალიზმში თანდათანობით ტრანსფორმაციას.

□ ბევრი დემოკრატი სოციალისტი მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატიას, როგორც გზას არსებული სისტემის რეფორმირებისათვის, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სოციალისტური მიზნების მიღწევისათვის, უფრო რადიკალური და რევოლუციური ტაქტიკის უპირატესობას აღიარებდნენ. მეორე მხრივ თანამედროვე სოციალ-დემოკრატია აქცენტს აკეთებს კაპიტალიზმის თანდათანობით საკანონმდებლო გზით რეფორმირების პროგრამაზე, რათა მიღწეულ იქნას უფრო მეტი სამართლიანობა და ჰუმანურობა, თეორიულად კი საბოლოო მიზანი სოციალისტური

საზოგადოების მშენებლობის შესახებ თითქმის მთლიანად იქნა დავიწყებული.

□ ახალი მემარჯვენეობისა და ნეოლიბერალიზმის პოპულარობის ზრდასთან ერთად, მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა უარი თქვეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე თანდათანობით ევოლუციური გზით გადასვლის მიზანზე და სანაცვლოდ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კაპიტალიზმის მხარდაჭერა დაიწყეს. სოციალ-დემოკრატია წარმოიშვა როგორც დემოკრატიული სოციალიზმისგან განსხვავებული იდეოლოგია.

□ ბევრ ქვეყნაში სოციალ-დემოკრატები არსებობენ დემოკრატიულ სოციალისტებთან ერთად, რომლებსაც პოლიტიკურ სპექტრში უფრო მემარცხენე პოზიციები უკავიათ. ეს ორი მოძრაობა ზოგჯერ ერთი პოლიტიკური პარტიის შიგნით მოქმედებს, როგორცაა ბრაზილიის მუშათა პარტია და საფრანგეთის სოციალისტური პარტია. უკანასკნელ წლებში ზოგიერთმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა (მაგალითად, ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ) გაიზიარეს უფრო ცენტრისტული, მესამე გზის პოლიტიკური პოზიციები. ამგვარმა განვითარებამ მემარცხენე და მემარცხენე-ცენტრისტულ წრეებში მნიშვნელოვანი დისკუსიები გამოიწვია.

□ სოციალისტური ინტერნაციონალი სოციალ-დემოკრატიული და ზომიერი სოციალისტური პარტიების მთავარ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც შემდეგ პრინციპებს აღიარებს: პირველი, *თავისუფლება* - არა

მხოლოდ ინდივიდუალური თავისუფლებების, არამედ თავისუფლება დისკრიმინაციისაგან, თავისუფლება რაიმე სახის დამოკიდებულებისაგან წარმოების საშუალებების მფლობელებისგან ან პოლიტიკოსთა მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან; მეორე, **თანასწორობა** და **სოციალური სამართლიანობა** – თანასწორობა არა მხოლოდ კანონის წინაშე, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული თანასწორობა; თანაბარი შესაძლებლობები ყველასთვის, მათ შორის ფიზიკურად, მენტალურად და სოციალურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვისაც; და მესამე, **სოლიდარობა** – ერთობა და თანაგრძნობის გრძნობა უსამართლობისა და უთანასწორობის მხვერპლთა მიმართ. სწორედ ეს იდეალებია (უფრო ვრცლად) ასახული სოციალისტური ინტერნაციონალის პრინციპების დეკლარაციაში.

თავდაპირველი სოციალ-დემოკრატია

□ XIX საუკუნეში ტერმინი „სოციალ-დემოკრატია“ ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ყველა ინტერნაციონალისტ სოციალისტს მოიცავდა და გამოხატავდა მათ იდეოლოგიურ ერთგულებას **კარლ მარქსისა** და **ფერდინანდ ლასალის** იდეების მიმართ. განსხვავებით იმათგან, ვინც მხარს უტოპიური სოციალიზმის განსხვავებულ ფორმებს უჭერდა.

□ ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა ევროპულ სოციალიზმს, დაიწერა ამერიკული აუდიტორიისათვის. **რიჩარდ ელი** (1854—1943) თავის 1883

წელს დაწერილ წიგნში ფრანგული და გერმანული სოციალიზმი თანამედროვე ეპოქაში, სოციალ-დემოკრატებს ახასიათებს როგორც „სოციალისტების ექსტრემისტულ ფრთას“. უკვე მოგვიანებით მოხდა სოციალისტური მოძრაობის შიგნით განხეთქილება და მისი გაყოფა ორ ნაწილად: რეფორმისტულად განწყობილ სოციალ-დემოკრატებად და რევოლუციურად განწყობილ კომუნისტებად.

□ ამ ეპოქის ბევრი პარტია საკუთარ თავს „სოციალ-დემოკრატებს“ უწოდებდა, მათ შორის საერთო-გერმანულ მუშათა ასოციაცია და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდნენ, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია SPD), ბრიტანეთის სოციალ-დემოკრატების ფედერაცია და აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ტერმინი „სოციალ-დემოკრატია“ ამ კონტექსტში არსებობას აგრძელებდა 1917 წლის ნოემბრის ბოლშევიკურ რევოლუციამდე, მანამდე, სანამ ტერმინი „კომუნისტი“ შემოვიდოდა მოდაში იმ ფიზიკური პირებისა თუ ორგანიზაციების აღსანიშნავად, რომლებიც სოციალიზმისაკენ მიმავალ რევოლუციურ გზას უჭერდნენ მხარს.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატია

□ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა XX საუკუნის დასაწყისში სოციალისტურ მოძრაობაში მომხდარი განხეთქილების შედეგად წარმოიშვა. ფართო მნიშვნელობით რომ ვთქვათ, ეს განხეთქილება შეიძლება აღწერილ იქნას, როგორც გზების გაყოფა მათ შორის, ვინც

დაჟინებით მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური რევოლუცია აუცილებელი წინაპირობაა სოციალისტური მიზნების მისაღწევად და მათ შორის, ვინც ამტკიცებდა, რომ თანდა-თანობითი ან ევოლუციური გზით სოციალიზმამდე მისვლა შესაძლებელი და უფრო სასურველია.

□ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეების ჩამო-ყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა **ედუარდ ბერნშტეინმა** (1885-1932), რომელიც რეფორმისტულ სო-ციალიზმსა და რევიზიონისტულ მარქსიზმს ემხრობოდა. ბერნშტეინი თავდაპირველად მარქსისტი იყო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა **კარლ მარქსთან** და **ფრიდრიხ ენგელსთან**, მაგრამ მოგვიანებით მან მარქსისტულ შეხედულებებში სუსტი წერილების დანახვა და მათი კრიტიკა დაიწყო.

ბერნშტეინი აკრიტიკებდა მარქსიზმის კონცეფციას „კლასების შეურიგებელი ბრძოლის“ შესახებ და მარქსიზმის მტრულ დამოკიდებულებას ლიბერალიზმის მიმართ. ბერნშტეინი ეწინააღმდეგებოდა მარქსის პოზიციას ლიბერალიზმის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ლიბერალ დემოკრატიებსა და სოციალ დემოკრატებს აქვთ ის საერთო საფუძვლები, რომლებსაც „სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნა უნდა უზრუნველყოს.

□ კლასობრივი ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით ბერნშტეინი თვლიდა, რომ ეკონომიკური განსხვავება ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასებს შორის თანდათანობით გაქრებოდა ლეგალური საკანონმდებლო რეფორმებისა და რედისტრიბუციის ეკონომიკური პროგრამების მეშვეობით. ბერნშტეინმა უარყო მარქსისტული პრინციპი

პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ამტკიცებდა, რომ თანდათანობითი დემოკრატიული რეფორმები გააუმჯობესებდა მუშათა კლასის მდგომარეობას. გარდა ამისა, ის თვლიდა, რომ კლასთა შორის თანამშრომლობა უკეთესი გზა იყო სოციალიზმის მისაღწევად, ვიდრე შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა. ბერნშტეინი აღიარებდა, რომ სოციალ-დემოკრატები ამჯობინებენ კაპიტალისტური ეკონომიკის სოციალისტურ ეკონომიკაში ტრანსფორმირების გრძელვადიან გეგმას და არა კაპიტალიზმის უცაბედად რევოლუციურად ჩანაცვლებას.

□ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც იმ ეპოქისთვის უმსხვილესი სოციალისტური ორგანიზაციები შექმნეს, არ უარყვიათ მარქსიზმი, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანმა წევრმა დაიწყო მარქსის არგუმენტების რეფორმირების მცდელობა, რათა კაპიტალიზმის კრიტიკა უფრო ნაკლებად რადიკალური და მტრული ყოფილიყო.

□ ისინი ამტკიცებდნენ, რომ სოციალიზმი საზოგადოების ევოლუციის მეშვეობით უნდა მიღწეულიყო და არა რევოლუციის. ეს შეხედულებები მიმართული იყო რევოლუციონერი სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის რეფორმირების ნებისმიერი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული, თავად რეფორმატორები კი თანდათანობით გაიყიდებიან და საბოლოოდ თავად გადაიქცევიან კაპიტალისტებად.

□ მიუხედავად განსხვავებებისა, სოციალიზმის რეფორმისტულ და რევოლუციურ ფრთებს შორის მეორე ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთიანობას ინარ-

ჩუნებდა. ომის ლეგიტიმურობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები კი უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა ამ ისედაც უკვე არამყარი კავშირისათვის. რეფორმისტი სოციალისტები ომში საკუთარ ნაციონალურ მთავრობებს უჭერდნენ მხარს, რაც რევოლუციონერი სოციალისტებისათვის აღქმული იყო როგორც მუშათა კლასის პირდაპირი ღალატი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ რევოლუციონერი სოციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი პოზიცია უარყოფდა პრინციპს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელი უნდა გაერთიანებულიყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ომს კი აფასებდნენ როგორც დაბალი კლასებისათვის იძულებას, რათა ებრძოლათ და იმპერიალისტურ და კაპიტალისტურ ომში დაღუპულიყვნენ.

□ ამ განხეთქილებამ მწვავე დებატები გამოიწვია სოციალისტურ პარტიებში, მაგალითად *ედუარდ ბერნშტეინსა* და *როზა ლუქსემბურგს*, როგორც რეფორმისტული და რევოლუციური მიმართულების ლიდერებს შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. საბოლოოდ რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მსოფლიოს სოციალისტური პარტიების უმრავლესობა დაიშალა. რეფორმისტმა სოციალისტებმა შეინარჩუნეს სოციალ-დემოკრატების სახელი, იმავე პერიოდში ბევრმა რევოლუციონერმა სოციალისტმა საკუთარ თავს კომუნისტი უწოდა და სწრაფადვე დაიწყო თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის ფორმირება. ამ კომუნისტურმა პარტიებმა მალევე შექმნეს ექსკლუზიური მესამე ინტერნაციონალი, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა, როგორც კომინტერნი.

□ 1920 წლის შემდეგ დოქტრინალური სხვაობები სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტების ყველა ფრაქციას (ორთოდოქსი მარქსისტები, ბოლშევიკები, მენშევიკები) შორის უფრო აშკარა გახდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია

□ 1917 წელს რუსეთის იმპერიაში მომხდარი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1919 წლის 14 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში პარტიამ აიღო ხმათა 81,5 პროცენტი. ეს იყო ევროპაში პირველი, ხოლო მსოფლიოში მეორე მოვლენა (ავსტრალიაში ლეიბორისტული პარტია), როდესაც ხელისუფლების სათავეში არჩევნების გზით მოვიდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მატარებელი პარტია. ცნობილია, რომ ევროპაში სოციალ-დემოკრატიული პარტიები მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყებენ არჩევნების გზით სახელისუფლებო სადავეების ხელში აღებას.

□ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ევროპული სოციალ-დემოკრატიის ღირებულებების დეკლარირებასა და მათი ცხოვრებაში გატარების თვალსაზრისით, ზოგ შემთხვევაში, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების განვითარების წინამორბედადაც გვევლინება. მაგალითად, ეს ნათლად ჩანს მათი ინიციატივით საქართველოს ხელისუფლების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს



ნოე ჟორდანია

(1868–1953)

სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი. იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის 24 ივლისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, გადასახლებული მთავრობის თავმჯდომარე — 1954 წლამდე.

ცნობილია, რომ მეორე ინტერნაციონალის სოციალისტური პარტიებიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია პირველი მოვიდა ხელისუფლების სათავეში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაში.

შესაბამისად, ნოე ჟორდანია იყო სოციალ-დემოკრატიიდან პირველი მთავრობის თავმჯდომარე მთელ ევროპაში.

კონსტიტუციაშიც. დოკუმენტში აქცენტი კეთდება დემოკრატიულ უფლებებსა და კერძო ინიციატივის ხელშეუხებლო-

ბაზე, დეკლარირებულია ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უფლებები და სხვ.

□ კონსტიტუცია გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებაზე ზრუნვით. კონსტიტუცია აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით. კონსტიტუცია, ასევე, აღიარებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.


□ აუცილებელია, ამ თვალსაზრისით, იმ პერიოდის ქართული სოციალ-დემოკრატიის მეცნიერული კვლევის გაფართოვება. სამწუხაროდ, „მენშევიკური საქართველოს“ წარმოსახვის საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული კლიშეებიდან ბევრი ვერ განთავისუფლდა, რაც ხელს უშლიდა ობიექტური მეცნიერული კვლევის განხორციელებას, ასევე, საჭიროა განთავისუფლდეთ საქართველოში დამკვიდრებული მავნე პრაქტიკისაგან, როდესაც ობიექტური კონსტრუქციული კრიტიკის ნაცვლად, ყოველი წინა ხელისუფლების ან არსებულის (*ნ. ჟორდანიას, ზ. გამსახურდიას, ე. შვეარდნაძის, მ.საკაშვილის* ხელისუფლება) მიმართ, მხოლოდ ბიოლოგიური სიძულვილით გაჟღენთილ ლანძღვა-გინება ისმის.

□ რუსეთმა ცალმხრივად, თვითნებურად დაარღვია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას შორის



კარლ კაუცი და ქართველი ხოციალ-დეშოკრატები. თბილისი, 1920. პირველ რიგში: ხეით დეკლარიანი, ნოვარაშვილი, ნოე ჟორდანია, კარლ კაუცი და მისი მეუღლე ლუიზა კაუცი, ხ. ჯიბლაძე. პ. არსენიძე, მეორე რიგში: კაუცის მდივანი ილბერტი, ე. თევზაია, პ. ბეგაჯალაძე. პ. საბახტარაშვილი, ი. თევზაძე, ურუშაძე. პ. ცინცაძე.

1920 წლის 7 მაისს მოწერილი ხელშეკრულება და 1921 წლის 11 თებერვალიდან საბჭოთა არმია (მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, *სემიონ ბუდიონის* და *დმიტრი ჟლობას* კავალერიები) რამდენიმე მხრიდან შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა (დიდი



ენდრიუ (ანდერსონ) დოუსონი

(Andrew Dawson; 1863 –1910)

ავსტრალიელი პოლიტიკოსი. ავსტრალიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე შტატის კუინზლენდის (Queensland) პრეზიერ-მინისტრი ერთი კვირის განმავლობაში (1899 წლის 1–7 დეკემბერი). ისტორიაში შევიდა, როგორც ავსტრალიაში და, ასევე მსოფლიოში ლეიბორისტული პარტიის პირველი მთავრობის (რეგიონული დონის) მეთაური. ეს იყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) რეგიონული დონის მთავრობა.

ბრიტანეთი შეუთანხმდა რუსეთს და საკუთარი ჯარი გაიყვანა საქართველოდან) ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა თბილისი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის 17 მარტს დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. საბრძოლო მოქმედებები მარტის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.

□ 1921 წელს სოციალ-დემოკრატიებისა და სოციალისტ-ესერების ვენის საერთაშორისო დამფუძნებელ სხდომაზე მიიღეს *ნოე ჟორდანას* დეპეშა, რომელშიც იუწყებოდა, რომ საქართველოში შემოიჭრა ბოლშევიკური რუსეთის არმია. სხდომაზე შეწყდა დისკუსიები. დელეგატები განაცვიფრა ამ ამბავმა, მათ შორის, ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენე-



ჯონ ქრისტიან (კრის) უოტსონი

(John Christian Watson; 1867 – 1941)

ავსტრალიელი პოლიტიკური მოღვაწე, ავსტრალიის მესამე პრემიერ-მინისტრი (1904 წლის 27 აპრილი — 18 აგვისტო). ის იყო ლეიბორისტული პარტიიდან პირველი პრემიერ-მინისტრი, არა მარტო ავსტრალიაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ლი *მეჩისლავ ბრონსკი*, მან ეჭვი შეიტანა დეპეშის ტექსტში და წავიდა ინფორმაციის გადასამოწმებლად, მაგრამ აღარც დაბრუნებულა. დელეგატების ნაწილი (მენშევიკები) მოითხოვდა სასწრაფოდ დაეგმოთ რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ უმრავლესობა გერმანელი დელეგატის *აფრედ ჰენკეს* მეთაურობით ფრთხილობდა და მოუწოდებდა დელეგატებს დალოდებოდნენ ინფორმაციის დადასტურებას.

□ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921-1926 წლებში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია დამპყრობლებისა და მათი ქართველი ბოლშევიკი მოკავშირეების წინააღმდეგ ეწეოდა აქტიურ იატაკქვეშა მოღვაწეობას, მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების მომზადებაში.

□ 1921 წლიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო მოქმედება დევნილობაში, კერძოდ, საფრანგეთში, გერმანიაში (1933 წლამდე) და აშშ-ში. პარიზში შეიქმნა პარტიის ახალი ხელმძღვანელი ორგანო „საზღვარგარეთული ბიურო“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია 1923-1940 წ.წ. იყო სოციალისტური ინტერნაციონალის წევრი.

□ პარტიის წამყვანი იდეოლოგები იყვნენ: *ნიკოლოზ ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, სეით დევდარიანი, ბენია ჩხიკვიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი* და სხვანი. სხვადასხვა დროს პარტიის თვალსაჩინო წევრები იყვნენ: *ვიქტორ ნოზაძე,*

მიხეილ ხუნდაძე, ევგენი ღვალაძე, ისიდორე მანჭკავა, აკაკი ანდლულაძე და სხვა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი.

სოციალ-დემოკრატია II მსოფლიო ომის შემდეგ

□ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ სოციალ-დემოკრატია 1951 წლისთვის ევროპაში ჩამოყალიბდა, როგორც სოციალისტური მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერს გრადუალიზმს; ანუ მათ სჯეროდათ, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის თანდათანობითი დემოკრატიული რეფორმირების მეშვეობით შესაძლებელი იქნება მისი ტრანსფორმირება სოციალისტურ ეკონომიკად და უარს ამბობდნენ სოციალიზმის რევოლუციის მეშვეობით, ძალადობრივი გზით დამყარებაზე. ასეთი პოზიციის გამო სხვადასხვა რადიკალურმა მემარცხენე ჯგუფებმა, მათ შორის კომუნისტებმა დაიწყეს სოციალ-დემოკრატების დადანაშაულება იმაში, რომ მათ მიიღეს და გაითავისეს კაპიტალისტური საზოგადოების ფასეულობები და შესაბამისად ისინი აღარ იყვნენ ნამდვილი სოციალისტები. სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს მარქსის პრინციპი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ამტკიცებდნენ, რომ თანდათანობითი დემოკრატიული რეფორმების გზით შესაძლებელია მუშათა უფლებებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება.

□ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1951 წელს ახალი სოციალისტური ინტერნაციონალი შეიქმნა, საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიები. სოციალისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელ ფრანკფურტის დეკლარაციაში

გაკრიტიკებული იქნა როგორც კაპიტალიზმი, ისე ბოლ-
შევიკური კომუნიზმი.

□ სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის გან-
ხეთქილების შემდეგ მეორე აზრთა სხვადასხვაობა სოციალ-
დემოკრატების შიგნით წარმოიშვა; მათ შორის, ვისაც კვლა-
ვაც სჯეროდა, რომ აუცილებელია კაპიტალიზმის გაუქმება
(რევოლუციის გარეშე) და მისი შეცვლა სოციალისტური სის-
ტემით, დემოკრატიული საპარლამენტო გზის საშუალებით
და მათ შორის, ვინც თვლიდა, რომ კაპიტალისტური სისტე-
მა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, მაგრამ საჭიროა დემოკ-
რატიული რეფორმები, ისეთი როგორცაა მსხვილი საწარ-
მოების ნაციონალიზაცია, სოციალური პროგრამების რეალი-
ზაცია და აგრეთვე სიმდიდრის ნაწილობრივი გადანაწილება
პროგრესული გადასახადების სისტემის მეშვეობით.

□ საბოლოოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიების
უმრავლესობა უკანასკნელი პოზიციის უპირატესობის
აღიარებამდე მივიდა და პოსტ II მსოფლიო ომის პერიოდში,
უარი თქვა რაიმე სახის ვალდებულებაზე კაპიტალისტური
სისტემის დასრულებისთვის ბრძოლის შესახებ. მაგალითად,
1959 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარ-
ტიამ ქალაქ გოდესბერგში მიიღო პროგრამა, რომელიც
უარყოფდა კლასობრივ ბრძოლასა და მარქსიზმს. იტალიაში
დემოკრატიულ სოციალისტური პარტია 1947 წელს დაარსდა
და 1948 წელს მხარი დაუჭირა ცენტრისტული ალიანსის
იდეას. 1980-იანი წლების შემდეგ ბევრმა სოციალ-დემოკრა-
ტიულმა პარტიამ გაიზიარა „მესამე გზა“ და მისი პრინციპე-
ბი როგორც ფორმალურად, ისე პრაქტიკაში. თანამედროვე

სოციალ-დემოკრატები, როგორც წესი, ემხრობიან შერეულ ეკონომიკას, რომელიც დიდწილად კაპიტალისტურია, მაგრამ აგრეთვე დაცულია დაქირავებული მუშახელის უფლებები, არსებობს ფართო სოციალური პროგრამები და საყოველთაო ხელმისაწვდომობა კეთილდღეობის ინსტიტუტებზე.

სოციალ-დემოკრატია დღეს

□ იმ პოლიტიკის დიდი ნაწილი, რასაც სოციალ-დემოკრატები მეოცე საუკუნის დასაწყისში უჭერდნენ მხარს, მსოფლიოს ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ნაწილში, პრაქტიკაში იქნა განხორციელებული სოციალ-დემოკრატიული მთავრობების მიერ. ინდუსტრიული სფერო ნაციონალიზებული იქნა, ჩამოყალიბდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო ანუ გაუმჯობესდა მუშათა უფლებები და მდგომარეობა, ხოლო სახელმწიფოს როლი უფასო ან სუბსიდირებული სამედიცინო მომსახურებისა და ჯანდაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანდ გაიზარდა.

□ მიუხედავად ამისა, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, სოციალ-დემოკრატია მასაველურ სამყაროში გარკვეულწილად პოზიციები დათმო და უკან დაიხია. განსაკუთრებით ინგლისურენოვან ქვეყნებში, სადაც სოციალ-დემოკრატიული ფასეულობები არ არის იმდენად გამყარებული ადგილობრივი კანონმდებლობითა და კულტურით, როგორც სხვაგან. უკანასკნელ წლებში რამდენიმე ისტორიული სოციალ-დემოკრატიული პარტია და მთავრობა სოციალ-დემოკრატიის ტრადიციული ელემენტებიდან ე.წ. მესამე

გზას დაადგნენ და მხარი დაუჭირეს პრივატიზების პროცესსა და ბაზრის რეგულირების ფორმების შემცირებას.

□ ბევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მესამე გზის იდეოლოგიის მიღებამ განხეთქილება გამოიწვია ფართო სოციალ-დემოკრატიულ საზოგადოებაში. ტრადიციული სოციალ-დემოკრატები ამტკიცებენ, რომ მესამე გზის იდეოლოგია მეტისმეტად ცენტრისტულია და უფრო მეტიც, ასეთი ტემპებით მოძრაობა შეიძლება მემარჯვენე ცენტრისტულიც კი გახდეს. პარტიის შიგნით ოპოზიციის გარდა მესამე გზის მომხრეები პრობლემებს წააწყდნენ თავიანთ ძირითად ამომრჩევლებთანაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათმა ლიდერებმა სოციალ-დემოკრატიის ძირითად პრინციპებს უღალატეს.

□ მესამე გზის მომხრეები კი ამტკიცებენ, რომ ეს უბრალოდ წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული იდეების თანამედროვე სამყაროს რეალობას აუცილებელ და პრაგმატულ ადაპტაციას: ტრადიციული სოციალ-დემოკრატიის აღმავლობის პერიოდი ომის შემდგომ *ბრეტონ-ვუდსის კონსესუსის* ჩამოყალიბებას დაემთხვა, რომელიც 1970-იან წლებში დასრულდა. გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნის პოლიტიკური პარტიებისთვის მკაფიო მემარცხენე პალატფორმით არჩევნებში გამარჯვება სულ უფრო ძნელი გახდა, რადგან ამომრჩევლების უდიდესი ნაწილი საშუალო კლასს შეადგენდა და უფრო სხვა სახის წინასაარჩევნო პროგრამებს უჭერდა მხარს.

□ ბრიტანეთში სწორედ ასეთმა ამომრჩეველმა ლეიბორისტული პარტია ზედიზედ ოთხჯერ 1979-დან 1997 წლამ-

დე არ აირჩია ხელისუფლებად, ამის გამო მესამე გზის პოლიტიკოსმა **ტონი ბლერმა** და მისმა კოლეგებმა მიიღეს სტრატეგიული გადაწყვეტილება, საჯაროდ უარყვეს მათი პარტიის ძველი აშკარად უფრო სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და საფუძველი ჩაუყარეს უფრო ცენტრისტული ორიენტაციის ახალ ლეიბორიზმს, რომლის მეშვეობითაც არჩევნებში გამარჯვება მოახერხეს, თუმცა ლეიბორისტულმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში 1997 წელს მოვიდა, ვერ შეძლო რეალური ცვლილებების მიღწევა და განაგრძო ტენდენცია, რომელიც **მარგარეტ თეტჩერმა** დაიწყო 1980-იან წლებში და პრივატიზების პოლიტიკას გულისხმობდა. ხოლო განხვავება მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებში კვლავაც არ შემცირებულა.

□ მესამე გზის წარუმატებლობამ და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა სოციალ-დემოკრატიის განახლება და ახალი პოლისების შემუშავება დააყენა დღის წესრიგში, რომლის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შემუშავება ფართო განსჯის საგანი გახდა მემარცხენე და მემარცხენე-ცენტრისტულ პოლიტიკურ ძალებსა და ანალიტიკურ ცენტრებს შორის. ეს დისკუსია ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ დღეისთვის არსებული ტენდენცია იმისაკენ მიუთითებს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიები ცდილობენ უფრო ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებსა და პოზიციებს დაუბრუნდეს.

სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგია

□ თანამედროვე სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს:

- შერეულ ეკონომიკას, რომელიც შედგება კერძო და სახელმწიფო მფლობელობის ფორმებისაგან, სუბსიდირებულ განათლების, საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სოციალურ სერვისებთან დაკავშირებულ პროგრამებს თითოეული მოქალაქისათვის.
- სოციალური უზრუნველყოფის განვითარებულ სისტემას, რომელიც მიმართულია სიღარიბის წინააღმდეგ და მოქალაქეებს აზღვევს შემოსავლის დაკარგვის, შესაძლო ავადმყოფობის, უმუშევრობისა და საპენსიო ასაკის დროს. სახელმწიფო ორგანოები არეგულირებენ კერძო საწარმოებს, მუშებისა და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, შრომითი უფლებების, (დაქირავებული მუშახელის პროფკავშირებთან დაკავშირება) მომხმარებელთა დაცვისა და სამართლიანი საბაზრო კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფის მეშვეობით.

გარემოს დაცვა და გარემოსდაცვითი
კანონმდებლობის შემუშავება:

- მაგალითად ალტერნატიული ენერჯის წყაროების დაფინანსება და გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართული კანონების მხარდაჭერა.
- პროგრესული გადასახადების სისტემა, სახელმწიფოს ხარჯების ფინანსირებისათვის.
- სეკულარული და სოციალურად პროგრესივისტული პოლიტიკა.
- იმიგრაცია და მულტიკულტურალიზმი.
- თავისუფალი ვაჭრობა, სამართლიანი ვაჭრობის პრინციპის გათვალისწინებით.

- საგარეო პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიის განვითარებას, ადამიანის უფლებებსა და ეფექტურ მულტილათერალიზმს.
- სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური, სამოქალაქო უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მხარდაჭერა.

12. ფაშიზმი

ძირითადი პრინციპები

ნაციონალიზმი	პროპაგანდა
ავტორიტარიზმი	ანტინტელექტუალიზმი
მესამე გზა	ევგენიკა ³¹
ერთპარტიული სისტემა	ჰეროიზმი
დიქტატურა	მილიტარიზმი
სოციალური დარვინიზმი	ეკონომიკური ჩარევა
სოციალური	ანტიკაპიტალიზმი
ინტერვენციონიზმი	
ინდოკრინაცია ³²	ანტიკომუნიზმი

იდეოლოგია

კლასობრივი თანამშრომლობა; კორპორატიზმი; ეკონომიკური სოციალიზაცია; ჰეროიკული კაპიტალიზმი; ნაციონალ-სოციალიზმი; ნაციონალ-სინდიკალიზმი; პოპულიზმი; სახელმწიფო კაპიტალიზმი; სახელმწიფო სოციალიზმი; ეტატიზმი; სუპერკაპიტალიზმი; მესამე გზა; ტოტალიტარიზმი; ყვითელი სოციალიზმი.

მიმდინარეობები, მოძრაობები

გადაჯვარედინებული ისრები; ავსტროფაშიზმი; ბრაზილიური ინტეგრალიზმი; ესპანური ფალანგა; რკინის გვარდია; იტალიური ფაშიზმი; რუსული ფაშიზმი; იაპონური ფაშიზმი; ნაციზმი; რეკსიზმი; უსტაში.

³¹ ევგენიკა (ბერძ. ευγενεα — «კარგი ჯიში», «ჯიშიანი»)

³² ინდოკრინაცია (ინგ. indoctrination ლათინურიდან in — შიგ doctrina — მოძღვრება, თეორია, დოქტრინა.

ორგანიზაციები

ბრძოლის იტალიური კავშირი; ნაციონალური ფაშისტური პარტია; რესპუბლიკური ფაშისტური პარტია; შავი ბრიგადები; შავპერანგიანები (სკვადრიზმი); ლურჯპერანგიანები; ცისფერი პერანგების საზოგადოება; წითელი პერანგები; ფაშისტური ინტერნაციონალი; დიდი ფაშისტური საბჭო; ფასციისა და კორპორაციის პალატა; შრომის, ტექნიკისა და ხელოვნების საყოველთაო კონფედერაცია; რუსეთის ფაშისტური პარტია; მწვანეპერანგიანები; იტალიის ნაციონალისტური ასოციაცია.

ფაშიზმის ძირითადი მახასიათებლები

სახელმწიფოს თაყვანისცემა; ულტრამემარჯვენე პოლიტიკა – ანტიკომუნიზმი; ტრადიციონალიზმი; რადიკალური, შოვინისტური ნაციონალიზმი; ვოლუნტარიზმი; მილიტარიზმი; ერის სიდიადე; ორგანული ერთობა; პრაგმატული ანტისემიტიზმი; კოლონიური ექსპანსია; ბელადის თაყვანისცემა; პოპულიზმი ფართო მასებში.

✠ ტერმინი ფაშიზმი³³ მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან „ფაშო“ და ნიშნავს „წნელის შეკვრას“ რომლიდანაც გამომწვევრილია ნაჯახი. ამ ტერმინმა იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. თუ ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი მეცხრამეტე საუკუნის იდეოლოგიებია,

³³ ფაშიზმი (იტ. Fascismo – ფაშო – fascismo – fascio კავშირი, კონა, შეკვრა, გაერთიანება) პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც იტალიაში წარმოიშვა მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ფაშიზმი მეოცე საუკუნის პირმშოა, მხოლოდ ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისა.

✦ ფაშიზმის ფუძემდებლად ითვლება *ბენიტო მუსოლინი* (Benito Amilcare Andrea Mussolini, 1883–1945). იტალიიდან ფაშიზმი გავრცელდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებული გავრცელება და პოპულარობა კი გერმანიაში პოვა. მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამა-



ბენიტო მუსოლინი
(1883 – 1945)

1922 –1943 წლებში
იტალიის მინისტრთა საბჭოს
მე-40 თავმჯდომარე,

1943 –1945 წლებში
იტალიის სოციალური
რესპუბლიკის
სახელმწიფოსა და
შთაფრობის მეთაური

რცხების შემდეგ ფაშიზმის იდეოლოგია აკრძალული იქნა. ინგლისელი მეცნიერ-მკვლევარი *როჯერ გრიფინი* (Roger D. Griffin) თავის ნაშრომში (R. Griffin. *Fascism*. Oxford, 1995) ფაშიზმს უწოდებს: „პალინგენეტიკურ ულტრანაციონალიზმს“.

✦ ფაშიზმი საფუძველს ძველი რომიდან იღებს, რადგან, როგორც აღინიშნა, ლათინურად ფასცე ნიშნავს წვეპლე-

ბის კონას, რომელსაც რომაელი თანამდებობათა პირების სა-
პატიო მცველები, ლექტორები ატარებდნენ.

✦ ფასცია იქცა ძალაუფლების და სიძლიერის სიმბო-
ლოდ და გამოიყენებოდა ამის აღსანიშნავად, ჯერ კიდევ
საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიდან. ახლაც ეს
სიმბოლო წარმოადგენს საფრანგეთის სახელმწიფო ბეჭედს
და გამოსახულია ფრანგულ პასპორტზე.

✦ ფასციაა გამოსახული ამერიკის კონგრესის ორივე
პალატის სიმბოლოებში და ლინკოლნის ქანდაკებაზე,
შვეიცარიაში წმინდა გალენის დროშაზე და ა.შ.

✦ ჯერ კიდევ, 1870 წელს ფაშიზმი პოლიტიკური
კავშირის სახელწოდებას წარმოადგენდა კუნძულ სიცილიის
რევოლუციონერ დემოკრატებისა და სოციალისტებისათვის.
მათგან ყველაზე გამორჩეულები იყვნენ სიცილიელი
ფაშისტები (Fasci siciliani, 1895-96) 1914 წელს.

✦ როგორც აღინიშნა, იტალიაში ფასცია თავის სიმბო-
ლოდ *ბენიტო მუსოლინის* პარტიამ აიღო და მას შემდეგ
ეწოდათ მათ ფაშისტები.

✦ იტალიაში წარმოიქმნა ორგანიზაცია Fasci d'Azione
rivoluzionaria internazionalista ანუ „ავტონომიურ რევოლუ-
ციონერთა მოძრაობათა კავშირი“. ამ ორგანიზაციას ზოგჯერ
მილანის ფაშისტებსაც უწოდებდნენ.


✦ 1915 წლის 24 იანვარს მილანში შეიქმნა სრულიად
იტალიის გაერთიანებული ფაშისტების ორგანიზაცია.

✦ 1921 წლის 7 ნოემბერს შეიქმნა „ნაციონალური
ფაშისტური პარტია“(ნფპ) - Partito Nazionale Fascista (PNF).

✠ ფაშიზმი არ უნდა გავაიგივოთ უბრალო რეპრესიებთან, ის არის პროტესტი თანამედროვეობის, განმანათლებლობის იდეების, ღირებულებების და მათ ნიადაგზე წარმოქმნილი პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ.

✠ მიუხედავად იმისა, რომ ფაშიზმის ძირითადი დოქტრინებისა და იდეების საფუძველი XX საუკუნეში ეძებნება, ამ იდეების გამოცოცხლებას ბიძგი მისცა პირველ მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა. ამასთან, ევროპის დემოკრატიული მთავრობები სუსტი და არასტაბილური აღმოჩნდნენ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების პირისპირ, შესაბამისად დემოკრატიის გარკვეულმა კრახმა ევროპის უმეტეს ნაწილში, გამოიწვია მათი ჩანაცვლება ავტორიტარული ან ფაშისტური რეჟიმებით.

✠ ამავე დროს, პირველმა მსოფლიო ომმა დაუტოვა იმედგაცრუებული ნაციონალიზმისა და შურისძიების მწარე



Bible History Online

მემკვიდრეობა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას, იტალიას, აგრეთვე იაპონიას. ასეთ დროს მეტად მიმზიდველიც კი აღმოჩნდა პიროვნულად ძლიერი ლიდერის გამოჩენა იტალიასა და გერმანიაში.

✠ ფაშისტებისათვის იდეებისა და თეორიების განვითარება კი არ არის მთავარი, არამედ ისინი იყენებდნენ ფაშიზმის დოქტრინებს პოლიტიკური აქტივობისათვის. ფაშისტები ყურადღებას ამახვილებენ ქმედებაზე და არა იდეებზე,



ადოლფ ჰიტლერი
Adolf Hitler (1889–1945)

გერმანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის რაიხსკანცლერი (1933–1945), გერმანიის ფიურერი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. (1934 –1945) ჰიტლერმა გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტური დიქტატურა დაამყარა, აკრძალა ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნა დაიწყო. ის იყო მეორე მსოფლიო ომის და ჰოლოკოსტის მთავარი ინიციატორი.

სულზე და არა ინტელექტზე.

✠ როგორც უკვე აღინიშნა, ფაშიზმი იკვებებოდა მე-19 საუკუნის იდეებით და თეორიებით, მათ შორის ერთ-ერთი ასეთი თეორია იყო ანტირაციონალიზმი, ამ თეორიამ

ფაშიზმს შესძინა განმანათლებლობის საწინააღმდეგო აზროვნების ყველაზე რადიკალური და უკიდურესი ფორმები, მიანიჭა მას ანტიინტელექტუალური ხასიათი, აბსტრაქტული აზროვნების მიმართ ზიზღი.

✚ მოკლედ, ფაშიზმი აქცენტირებული იყო სულზე, ემოციებსა და ინსტიქტებზე. ჰიტლერი და მუსოლინი იყვნენ ფაქტობრივად ბრწყინვალე პროპაგანდისტები, მათ იდეები და თეორიები მხოლოდ იმის გამო აინტერესებდათ, რომ შესწევდათ ძალა მათი საშუალებით მასებზე ზეგავლენა მოეხდინათ, გამოეწვიათ ემოციური რეაქცია და მასები აღეძრათ სამოქმედოდ.

✚ ფაშიზმზე გავლენა იქონია ასევე სოციალ-დარვინიზმმა, დარვინის ევოლუციის თეორიამ, რომელიც **ჰერბერტ სპენსერმა** (Herbert Spencer, 1820-1903) საზოგადოებას მთარგო. ამ თეორიის მიხედვით:

- ბრძოლა ცხოვრების ბუნებრივი და გარდაუვალი პირობაა;
- მხოლოდ კონკურენცია და კონფლიქტი იძლევა პროგრესის გარანტს;
- კონკურენცია და კონფლიქტი უზრუნველყოფს ძლიერებისა და მოხერხებულების კეთილდღეობას, ხოლო სუსტები უნდა დამარცხდნენ.

მოკლედ , ფაშიზმში მთავარია:

1. ლ ი დ ე რ ო ბ ა და ე ლ ი ტ ი ზ მ ი

- ადამიანები არ არიან თანასწორები, ყველას სხვადასხვა შესაძლებლობა და საშუალება აქვს, თუმცა მიზანი ერთი

თია, მიაღწიონ უფრო მაღალ საფეხურს, ვიდრე სხვა ადამიანები არიან.

- ეს არ არის ლიბერალიზმის ინდივიდუალური კონკურენცია, არამედ უფრო საერთო და ფართო მასშტაბის მქონე და საყოველთაო, სადაც ყოველთვის იარსებებს ფართო მასა, დაწინაურებული ფენა, ელიტა და ერთიანი ლიდერი, რომელიც სხვა ქვედა ფენებს მართავს.
- ლიდერი ზეკაცთან არის გაიგივებული და თავის თავში მოიცავს ქარიზმატულსა და ისეთ ღირებულ თვისებებს, როგორც გამბედაობა, სითამამე და ხშირად ყოვლისმცოდნეობაც კი.

2. ბ რ ძ ო ლ ა

- ეს არის მუდმივად მოქმედებისა და ბრძოლის იდეა, რომელიც ისევე ასოცირდება კაცთან, როგორც დედობა ქალთან.
- თუ ერმა და ინდივიდმა შეწყვიტა ბრძოლა, ის ადრე თუ გვიან გადაგვარდება და შეწყვეტს არსებობას, რადგან ადამიანებისათვის საჭიროა მუდმივი მზადყოფნა და ვარჯიში, ცოდნა და სიძლიერე, რადგან მტერი, რომელიც ყველგანაა, სწრაფად იყოს აღმოჩენილი და დამარცხებული.
- ყველა ერი ვალდებულია, იბრძოლოს და გადარჩეს, ხოლო სუსტები, რომლებიც უარს ამბობენ ბრძოლაზე, თვითონვე იშლიან არსებობის საშუალებას.

- ფაშისტი ადამიანი უნდა იყოს მებრძოლი, თამამი, გამბედავი, დაუმორჩილებელი და შოვინისტი, რადგან ფაშისტური ხედვით სხვა მხრივ წარმატება შეუძლებელია.
- თავის მხრივ ლიდერი უნდა იყოს ყველაზე დიდი მებრძოლი და ყველას ასეთად განაწყობდეს.

3. უ ლ ტ რ ა ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი

- რადიკალური ნაციონალიზმის ეს იდეა ნიშნავს იმას, რომ ერთ ერში, ერთ სახელმწიფოში მოქმედი ძალები უნდა გაერთიანდნენ ლიდერისა და სახელმწიფოს ირგვლივ და იზრუნონ საერთო მიზნის მიღწევისათვის, რასაც აუცილებლად მოჰყვება საერთო კეთილდღეობა.
- და თუ ეს შედგა, მაშინ ნიშნავს, რომ ერი და სახელმწიფო შედგა და ეს უკანასკნელი ყველაზე ძლიერი და აღმატებულია სხვა სახელმწიფოსა და ერებს შორის, რომლებმაც უარი თქვეს ბრძოლასა და მოქმედებაზე.
- ფაშიზმისათვის მებრძოლი ერი საუკეთესო ერია მთელს სამყაროში, რადგან მას შესწევს ყველა ასპარეზზე წარმატების მიღწევა და არ არის მიმართული მხოლოდ ერთი ასპექტისაკენ და ცდილობს გახდეს ყოვლისმომცველი.
- შესაბამისად ჩნდება ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ყველაზე ნეგატიური და დამანგრეველი ნიშანი – ექსპანსია და განადგურება სხვა ერებისა, რომლებიც არ არიან ღირსნი არსებობისა, რადგან მათ უარყვეს ბრძოლისა და სიძლიერის პრინციპები და ვერც სრულყოფილებას მიაღწევენ ვერასდროს, პირიქით, ისინი პარაზიტები არიან ძლიერი სახელმწიფოების ფონზე.

4. სოციალიზმი

- მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური იდეოლოგია ულტრამემარჯვენე იდეოლოგიად ითვლება, რადგან მასში ყველა თავის მხრივ აქტორია, მაინც, მასში დიდადაა სოციალისტური ელემენტი, რაც გამოიხატება საერთო კეთილდღეობის იდეასა და ეკონომიკის ისეთნაირად ფორმირებაში, რომ სახელმწიფო ხდება მბრძანებელი წარმოებისა და ყველა რესურსის გადანაწილებისა.
- შესაბამისად საერთო კეთილდღეობა აუცილებელი ერთგვარად მიღწეული ხდება, რადგან სუსტები ქვეყანაში აღარ არსებობენ (განადგურებულები არიან ან მოუწიათ ჩაბმულიყვნენ “საბრძოლო მოქმედებებში”), ხოლო ვინც დარჩნენ, მათთვის სახელმწიფო გამოდის დამხმარედ.

5. იდეოლოგია

- საზოგადოების იდეოლოგიზირება და ტოტალური კონტროლი მიწოდებისა ანუ რა, რატომ და როგორ არის სწორი.
- ფაშისტურებისათვის იდეოლოგია სახელმწიფო დონეზეა აყვანილი და საზოგადოების ფორმირების უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნევა.
- ფაშისტური ერი შეყვარებული უნდა იყოს თავის წარსულზე და იმ სახელმწიფოზე, რომელიც დღეს შენდება, რადგან ის ანალოგია იმ ძველი დიდებისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა კონკრეტული ერისა და სახელმწიფოს ისტორიაში.

- შესაბამისად ფაშიზმისათვის განათლების მიწოდება მთლიანად პირად შეხედულებასა და ისტორიის თავისებურად გაზვიადებაზე არის აგებული.

6. რ წ მ ე ნ ა

- ფაშიზმისათვის აუცილებელია საზოგადოებაში დაითესოს აუცილებელი და გარდაუალი გამარჯვების რწმენა, რომელიც ადამიანს გააწირვინებს კიდევ თავს ამ გარდაუალი გამარჯვებისათვის და მოაპოვებინებს სამუდამო დიდებას.
- რწმენა ფაშიზმში აუცილებელი ჭეშმარიტების სახითაც გვევლინება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ფაშიზმი და ფაშისტური საზოგადოებაა ჭეშმარიტი და სწორად მცხოვრები.

✠ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიაჩნდათ, რომ ფაშიზმი საბოლოოდ დამარცხდა. აღნიშნული ხედვა გამყარდა მას შემდეგ, რაც ესპანეთში გენერალ *ფრანსისკო ფრანკოს* (Francisco Paulino Hermenegildo Teódulo Franco Bahamonde; 1892–1975) დიქტატურა გაუქმდა.

✠ თუმცა პოლიტოლოგთა ნაწილი ამას უარყოფს და ფიქრობს, რომ ფაშიზმი გამოწვეული იყო უფრო იმით, როდესაც სახელმწიფო განიცდის ხშირ მარცხს, არის ეკონომიკურად სუსტი და გარე ძალებისაგან განიცდის შევიწროებას, რის შემდეგაც სახელმწიფო ეძებს განტევების ვაცს, ვისაც ყველაფერს გადააბრალებს და დაისახავს მიზნად გაანადგუროს ის და ამით აღმოფხვრას საკუთარ ქვეყანაში არსებული კრიზისი, გაუსწორდეს განსხვავებულ აზრს და

საზოგადოება გააერთიანოს ერთიანი მიზნის, იდეისა და ლიდერის ირგვლივ.

✦ შესაბამისად ფაშიზმი დამახასიათებელია ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც აქვთ მრავალი შიგა და გარე პრობლემა, ამასთანავე გარკვეული დასაყრდენი წარსული დიდებისა და მიზანი, აუცილებელი გამარჯვებისა და ამ დიდების დაბრუნებისა.



✦ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მულტიკულტურული საზოგადოებების ფორმირებისას ევროპასა და ამერიკაში, ფაშიზმის გამარჯვება ნაკლებსავარაუდო ხდება, რადგან ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ულტრანაციონალიზმის განხორციელება პრაქტიკულად წარმოუდგენელი და ძნელად განსახორციელებელია, რადგან იგი ემყარება ძალისმიერ მეთოდებსა და იმ დანაშაულებებს კაცობრიობის წინაშე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელდა და შემდგომ გასამართლდა კიდევ.

✦ უნდა აღინიშნოს ძირითადი ასპექტიც: ფაშიზმი დაგმობილია თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ და მისი, როგორც რაიმე პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგიის არსებობა აკრძალული და დაუშვებელია. შესაბამისად ოდესმე ფაშისტური იდეოლოგიის თავისი პირვანდელი ფორმით აღზევება შეუძლებელი და წარმოუდგენელია,

რადგან იგი საფრთხეს შეუქმნის არაერთი ერისა და სახელმწიფოს არსებობას და გამოიწვევს ლოკალურ და შესაძლო გლობალურ დაპირისპირებასაც.

✦ ასევე აღსანიშნავია ბოლო და უმთავრესი კომპონენტიც, რის გამოც ფაშიზმის აღზევება, განსაკუთრებით შოვინისტური შეხედულების გამო გამორიცხულია – ესაა გლობალიზაცია და კომუნიკაციის ყოვლისმომცველი და უმაღლესი მაჩვენებელი, რაც სახელმწიფოს ჩაკეტილობას და ინფორმაციის კონტროლს შეუძლებელს და წარმოუდგენელს ხდის, შესაბამისად საზოგადოებაც ბევრად უფრო ტოლერანტული და ყველა საკითხისადმი ინფორმირებული ხდება, ასე რომ, მისი რაიმე სახით მართვა და ყალბი შეხედულებების ჩანერგვა პრაქტიკულად გამორიცხულია.

დასკვნის სახით:

1. ფაშიზმი არის ავტორიტარული ნაციონალიზმის რადიკალური ფორმა. ფაშისტური აზროვნება გამოკვეთს ყოველ ნაციაში განსაკუთრებულ და უნიკალურ მახასიათებლებს, აყენებს მათ სხვებზე უპირატესად და ტოტალიტარული მმართველობით ცდილობს საზოგადოებაში დანერგოს დისციპლინა, სხვადასხვა იდეები, დამოკიდებულებები, ხედვები. ფაშიზმი თავისი არსით რევოლუციური და აგრესიული იდეოლოგიაა. ის მოიაზრებს პირდაპირ მოქმედებებს, როგორცაა პოლიტიკური ძალადობა, ომი, რევოლუცია.

2. ფაშიზმი შედარებით უარყოფს კლასობრივ სხვაობას საკუთარ ნაციაში. ემხრობა პროლეტარიატს და უარყოფს ბურჟუაზიას.
3. ფაშიზმისთვის ეკონომიკური მმართველობის კუთხით მისაღებია შერეული რეგულირებული ეკონომიკა, სადაც ბაზარს დიდ წილად აკონტროლებს სახელმწიფო. ნაწილობრივ აღიარებს და ემხრობა საკუთრების უფლებას და კერძო კომპანიების და საწარმოების არსებობას, თუმცა უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფო ორგანიზაციებს და კომპანიებს.
4. ფაშიზმი დაარსდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იტალიელი სინდიკალისტების მიერ.
5. ფაშიზმი მრავალ იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაშია: კომუნიზმთან, კონსერვატიზმთან, ლიბერალიზმთან, სოციალ-დემოკრატიასთან და სხვ.
6. არსებობს ფაშიზმის სხვადასხვა განმარტებები. ერთ საერთო კონკრეტულ განმარტებასთან მიმართებით დღეისთვის კონსესუსი არ არის მიღწეული.
7. ფაშიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება **ბენიტო მუსოლინი**.
8. ფაშიზმისთვის მიუღებელია დემოკრატია, ლიბერალიზმი, მარქსიზმი, კაპიტალიზმი და სხვა იდეოლოგიები თუ ეკონომიკური სისტემები, ის ერთგვარ პოლიციურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც აკონტროლებს საზოგადოებას და აღმოფხვრის მათში განსხვავებულს და დაპირისპირებულ ძალებს. მეცნიერების დიდ ნაწილს, მიაჩნია, რომ ფაშიზმის იდეოლოგია არარეალისტურია

და ეყრდნობა მითებს, სიმბოლოებს, რიტუალებს და სხვა მსგავს ელემენტებს.

9. ფაშიზმის მიზანია შექმნას ნაციონალისტური ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც არ ეყრდნობა ტრადიციონალიზმს, მის პრინციპებს და მოდელებს. ფაშისტური წყობა მოიაზრებს ომისა და ძალადობისთვის მზაობას. ფაშისტური იდეოლოგიის მიზანია განავრცოს საკუთარი სახელმწიფო იმპერიად და რადიკალურ დამოკიდებულებაში იყოს სხვა ქვეყნებთან და ძალებთან.
10. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაშისტურ რეჟიმს წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაცისტური გერმანია, რომლის ლიდერი იყო *ადოლფ ჰიტლერი*. 1930 წლიდან გაძლიერდა ფაშიზმი გერმანიაში, რასაც მოჰყვა რადიკალური ცვლილებები გერმანიაში და ებრაელების და სხვა უმცირესობების დევნა.

13. ანარქიზმი

****** იდეოლოგიას, რომელსაც ანარქიზმი ეწოდება, არასდროს გაუმარჯვია, მაგრამ ყოველთვის არსებობდა თავისი გარკვეული ფორმებითა და ჩარჩოებით. იგი იმით განსხვავდება სხვა ყველა იდეოლოგიისაგან, რომ არ გააჩნია მყარად დადგენილი საზღვრები და უმეტესად ქაოსსა და თვითრეგულაციაზეა ორიენტირებული.

****** ანარქიზმი, როგორც აღინიშნა, არცერთ დროს, არცერთ სახელმწიფოში არ დამყარებულა და, ასეც, რომ მომხდარიყო, ამ უკანასკნელის სახელმწიფოებრიობა აღარ იარსებებდა, რადგან ანარქიზმი უარყოფს სახელმწიფოს ცნებას.

ანარქიზმის იდეოლოგიის პრინციპები:

****** ანარქიზმი როგორც ანტისახელმწიფოებრიობა – ანარქიზმისათვის დამახასიათებელია ყოველგვარი ბიუროკრატიულია და მმართველი ხელისუფლების არარსებობა. ანარქიზმის მიხედვით სახელმწიფო არის ერთიანი მმართველი და მჩაგვრელი მანქანა, რომელიც ინდივიდის კუთვნილ აბსოლუტურ თავისუფლებას ზღუდავს და თავს ახვევს თავის შეხედულებებსა და პრინციპებს, აიძულებს იყოს სოციალური არსება და წავიდეს საკუთარი სურვილების წინააღმდეგ. ანუ ანარქიზმს ახასიათებს ერთგვარი სრული თავისუფლების იდეაც.



****** ანტირელიგიურობა: ანარქიზმი რელიგიას შეზღუდ-

ვისა და ბორკილების ფორმად მიიჩნევს, რომელიც ინდივიდს მთლიანად აზომბირებს და მანიპულირებად არსებად აქცევს, უწესებს ყალბ შეხედულებებსა და ქმნის ტრადიციებს, რომელიც იძულებითი ფორმით რჩება უცვლელი და ინდივიდს აკარგვინებენ არჩევნის საშუალებას.

*** ანარქიული ეკონომიკა:** ანარქიზმი და ეკონომიკის განსაზღვრული ფორმა ძალიან შორს დგას ერთმანეთისაგან. იქ არც საბაზრო ეკონომიკაა მისაღები და არც მბრძანებლური. ანარქიზმი მიიჩნევს, რომ ეკონომიკის, როგორც რაიმე მოგებაზე ორიენტირებული ფენომენის არსებობა დაუშვებელია და იგი უნდა იყოს თვითრეგულირებადი, იმდენად, რამდენადაც ეს დასჭირდება ინდივიდს.

*** თვითრეგულაცია** – ანარქიზმის მიხედვით ადამიანი თავისთავად არა ცხოველური, არამედ სოციალური და კეთილი არსებაა, რომელიც არა მხოლოდ ეგოისტური მოთხოვნილებებით იმართება. შესაბამისად მასში არსებობს დადებითი საწყისი, რომელსაც სახელმწიფო და რელიგია უცვლიან მიმართულებას და თესავენ კონკურენციას და მგლურ კანონებს, რის გამოც ადამიანში იღვიძებს ანტი-სოციალური ძალები და იმართება ყველას წინააღმდეგ.

ანარქიზმის თანახმად, თუ ინდივიდი არასახელმწიფოებრივ გარემოში მოხვდა, ის თვითონ შექმნის იმას, რაც მისთვის და მისი მოყვასისათვის იქნება კარგი, რადგან იცის, რომ თუ დაზიანდება სხვა, შეიძლება დაზიანდეს ისიც და ამით დაიწყოს განხეთქილება და საბოლოოდ ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ.

შესაბამისად თუ სახელმწიფომ და რელიგიამ არ ჩადეს თავიანთი დოგმები და კანონები, ადამიანი უკეთ შეძლებს თვითრეგულაციასა და რეალიზებას იმ პოზიტიური ძალებისა, რაც მასშია თავმოყრილი.

* ამის გამო ხშირად ანარქიზმის ერთ-ერთ მკვებად საშუალებად აღმოსავლურ მოძღვრებებსაც მოიაზრებენ, რომელიც ადამიანის პოზიტივზე უსვამს ხაზს. თუმცაღა ანარქიზმის შეხედულებით, საჭიროებისამებრ სახელმწიფოებივი მჩაგვრელი მანქანა ძალით უნდა დაემხოს.

* ანარქიზმი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არასდროს არსად არ ყოფილა მმართველი იდეოლოგია. ერთადერთი იყო ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდი (განსაკუთრებით 1936-1937 წლები), როდესაც ისინი ყველაზე ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ საბოლოოდ 1939 წელს ყველაზე უფრო ანტიანარქისტულმა, პროფაშისტურმა ძალამ გაიმარჯვა და ანარქიზმის აღმასვლას სახელმწიფოებრივ დონეზე დაესვა კიდეც წერტილი.

* პერსპექტივების თვალსაზრისით, ანარქიზმი ხშირად ანტიგლობალისტებადაც მოაზრებიან ხოლმე, ხან ანტიფაშისტებად, ანტიფუნდამენტალისტებად და სხვ. სხვა მხრივ, ანარქიზმის, როგორც იდეოლოგიის ლეგალური გზით ხელისუფლებაში მოსვლა ოდნავ წარმოუდგენელიც კია, რადგან არჩევნების საშუალებით ანარქისტული პარტიის გამარჯვება და ბიუროკრატიული ელემენტების გავლა ანტიანარქისტულიც კია.

* ასე რომ, მისი, როგორც გარკვეული იდეოლოგიური ჯგუფის არსებობა ლოგიკურია და მართლაც მთელ მსოფ-

ლიოშია გავრცელებული, მაგრამ სხვა მხრივ, ანარქიზმის პოლიტიკური გამარჯვება და ხელისუფლებაში მოსვლა მწეღად წარმოსადგენია.

ქართველი ანარქისტები

* ჰეივუდის მიხედვით, ანარქიზმი „უმეტესწილად, ორი მოქიშპე იდეოლოგიის – ლიბერალიზმისა და სოციალიზმის იდეური თანხვედრის წერტილია, სადაც ორივე იდეოლოგია ანტისახელმწიფოებრივ დასკვნებამდე მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ანარქიზმი უარყოფს სახელმწიფოს ცნებას, ამ დროს ქართველი ანარქისტები ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში იყვნენ ჩაბმულნი და ქართული სახელმწიფოს აღორძინებისთვის იღწვოდნენ. რა იწვევდა ამ პარადოქსს?

* ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ანარქიზმის ცნობილი ავტორიტეტის, ევროპოლიტიკოსის, *ვარლამ ჩერქეზიშვილის* (1846-1925) მოღვაწეობა. ვ. ჩერქეზიშვილისა და მისი თანამოაზრეების (*კომანდო გოგელია, მიხაკო წერეთელი...*) დაუცხრომელი საქმიანობა ხელშემწყობ ამინდს ქმნიდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქართული საზოგადოების ცხოვრებაში.

* მოსკოვში განათლების მისაღებად ჩასული და კადეტთა კორპუსში ჩარიცხული ქართველი თავადიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი ოციოდე წლის იყო, როცა რევოლუციურმა საქმიანობამ გაიტაცა: თავდაპირველად „იშუტინელების“ ტერორისტულ ორგანიზაციას გადაეყარა, რომელსაც ვინმე *დიმიტრი კარაკოზოვი* ხელმძღვანელობდა; 1866



ვარლამ ჩერქეზიშვილი
(1846-1925)

წელს კარაკოზოვი იმპერატორ ალექსანდრე II-ზე განხორციელებული უშედეგო ტერორისტული აქტის შემდეგ ჩამოახრჩეს, გაასამართლეს ვარლამ ჩერქეზიშვილიც.

* სასჯელის მოხდის მერე (რვათვიანი პატიმრობა – პოლიციის საქმის კურსში არჩაყენების ბრალდებით), პეტერბურგის უნივერსიტეტს მიაშურა, თუმცა 1868

წელს ისევ მოსკოვს დაუბრუნდა და ორგანიზაციის „Народная расправа“-ს (სახალხო ანგარიშსწორება) წევრად ჩაირიცხა. იმ პერიოდში ის უკვე რუსი რევოლუციონერის, ანარქიზმისა და ნაროდნიკობის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის **მიხეილ ბაკუნინის** (1814-1876) ანარქისტული იდეებით იყო დაინტერესებული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი რომელიმე დოქტრინის ბრმა მიმდევარი არასოდეს ყოფილა. მალე იგი კვლავ დააპატიმრეს და გააციმბირეს, მაგრამ იქიდან გამოიქცა. ერთხანს ქართველ მეგობრებთან ერთად პერმში სანთლის სარეწი ამუშავა და ბიზნესმენობდა, მერე საზღვარგარეთ გაიქცა და ლონდონში გამომავალ ჟურნალ „В период“-ში (პერიოდში) რუბრიკას უძღვებოდა.

* იმ პერიოდში, უსამართლო გადასახადების შემოღებით უკმაყოფილო სვანეთში რუსეთის ხელისუფლებამ სადამსჯელო ექსპედიცია მიავლინა და ააოხრა სოფელი ხალდე; დატრიალებული ტრაგედიის თაობაზე ვ. ჩერქეზიშვილმა „В период“-ში (პერიოდში) გამოაქვეყნა სტატია „სისხლიანი ანგარიშსწორება სოფელ ხალდეში“. რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულმა ამ სტატიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში.

* 70-იანი წლების ბოლოს ვ. ჩერქეზიშვილი ჟენევაში დამკვიდრდა და პირველი ინტერნაციონალის ე.წ. „იურის სექციაში“ თავმოყრილ ანარქისტებს დაუახლოვდა. გამოსცა ჟურნალი „Община“ (თემი), მონაწილეობდა ანარქისტული ინტერნაციონალის და სოციალისტების კონგრესებში, დააარსა – სხვებთან ერთად – „რუსეთის პოლიტიკურ დევნილთა საზოგადოება“, დაწერა მისი წესდება, იყო ამ საზოგადოების მდივანი. მერე პარიზში გადავიდა და იქაური ანარქისტულ-სოციალისტური საზოგადოების სექციის წევრი გახდა, დააარსა ჟურნალი „le revolte“ (აჯანყება).

* 1882 წლიდან საფრანგეთისა და შვეიცარიის ხელისუფლებამ ანარქისტების დევნა დაიწყო და „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებული ჩერქეზიშვილიც იძულებული გახდა მიმალულიყო. ერთხანს სტამბოლშიც ცხოვრობდა, მერე საქართველოში დაბრუნებულა ინკოგნიტოდ. იქ ანარქისტული ჯგუფები დაუარსებია; მერე ჟანდარმერიას ემალეობდა და ამიტომ თბილისი დატოვა და სოფელ მუხრანში თავადის ასულ ა. მუხრანელის ბავშვების მასწავლებლად მუშაობდა.

* იმ დროისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის მთავარ მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა შეადგენდა. ამ დიდი თაოსნობის ლეგიტიმურ საყრდენად მას გიორგიევსკის ტრაქტატის გამოყენება უნდოდა.

* 1890-იანი – წლებიდან ვარლამ ჩერქეზიშვილი, ანარქიზმის ცნობილ რუს იდეოლოგ *პეტრე კროპოტკინთან* (1842-1921) და ფრანგ პოლიტიკური მოღვაწესა და ანარქიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოს *ელიზე რეკლიუთან* (1830–1905) ერთად, ევროპული და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის აღიარებული ავტორიტეტი ხდება; იგი ამ დროს უძლიერესი პოლემისტი და დაუდეგარი პრაქტიკოსია: ორგანიზებას უწევს საერთაშორისო კონგრესებს, კონფერენციებს, შეკრებებს; ხელმძღვანელობს ლიტერატურის გამოცემას და რუსეთში მის შეგზავნას; აარსებს დამხმარე სალაროებს, მფარველობს გამოქვეულ ემიგრანტებს; შოულობს იარაღს; უთანხმდება ილიას და, ფსევდონიმებს ამოფარებული, „ივერიის“ ფურცლებზე განმანათლებლური წერილების სერიას ბეჭდავს; პუბლიკაციები ბრიტანეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ეხება: ეკონომიკას, საგარეო პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ფინანსებს, ტრანსპორტს.

* საინტერესოა, რომ იმ პერიოდში, ვარლამ ჩერქეზიშვილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლობას უწევდა ცნობილ და-მმას, ბრიტანელ სწავლულსა და მთარგმნელს *მარჯორი უორდროპს* (Marjory Wardrop; 1869–1909) და ბრიტანელ დიპლომატს, მოგზაურსა და მთარგმნელს. გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს წარმომადგენელს

სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში *ოლივერ უორდროპს* (Sir Oliver Wardrop; 1864–1948).³⁴

✱ სამშობლოს ტრაგიკული ხვედრის ევროპული საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით ჩერქეზიშვილმა აქაური პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი სტატიების ლონდონურ მედიაში ბეჭდვასაც მიჰყო ხელი. მისი წიგნი: „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“ (ფრანგულ ენაზე) იმდენად შთამბეჭდავი და გავლენიანი გამოდგა, რომ მოგვიანებით საბჭოთა რუსეთშიც კი დაიბეჭდა შეცვლილი სათაურით – „მარქსიზმის დოქტრინები“. ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული მისი ”ინტერნაციონალის წინამორბედები” კი ლამის ყველა დიდ ენაზე ითარგმნა და არაერთგზის გამოიცა. ითარგმნებოდა მისი სტატიებიც.

✱ ჩერქეზიშვილამდე არც ერთი ქართველი ავტორის, მწერლის, მოაზროვნის ნაშრომები არ უთარგმნიათ უცხო ენაზე, არ გამოუციათ იმდენ ქვეყანაში და იმდენჯერ, როგორც ამ ქართველი ანარქისტის ნაშრომები: ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, რუსულად, იტალიურად, ესპანურად, ჩინურად, იაპონურად და სხვ.

✱ თავისი წიგნებით ჩერქეზიშვილი მარქსიზმს დაუპირისპირდა. დამაჯერებლად დაასაბუთა პირველი ინტერნაციონალის დაარსების საქმეში არამარქსისტი სოციალისტების დამსახურება და მარქსისტებთან შედარებით მათი უპირატესი მნიშვნელობა; სრულიად გააბათილა შაბლონად

³⁴ და-მმა ოლივერ და მარჯორი უორდროპების სახელი ქართული საზოგადოებისთვის ფართოდაა ცნობილი. მათ დიდი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვით ევროპის ქვეყნებში საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციაში.

ქცეული მოსაზრება, მარქსიზმის, როგორც სოციალიზმის თეორიის ქვაკუთხედის, შესახებ: მისი აზრით, მარქსიზმის კლასიკოსებმა და მემკვიდრეებმა ცნობილ ფილოსოფოსთა და ეკონომისტთა აღმოჩენილი არაერთი კანონი და კანონზომიერება მიიწერეს დაუმსახურებლად. ჩერქეზიშვილის ბრალდებები იმდენად სერიოზული იყო, რომ მის წანაღმდეგ და მარქსიზმის დასაცავად გამოდიოდნენ საერთაშორისო



გიორგი (კომანდო) გოგელია
(1878-1924)

სო სოციალ-დემოკრატიის ყველაზე გამოჩენილი ავტორიტეტები: გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი **კარლ კაუტსკი** (Karl Kautsky; 1854–1938), სოციალისტური მოძრაობის გამოჩენილი ლიდერი **ვილჰელმ ლიბკნეხტი** (Karl Liebknecht; 1826-1926), მარქსიზმის თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, ფილოსოფოსი, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა

სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე **გიორგი პლუხანოვი** (1856–1918), **იოსებ სტალინი** და სხვანი. **ვლადიმერ ლენინი** მარქსიზმის ანარქისტული კრიტიკის ნიმუშად ასახელებდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომებს.

* აი, რას წერს ანარქიზმის თანამედროვე რუსი მკვლევარი **პიოტრ რიაზოვი**: „მარქსიზმის საფუძველების და ლოგიკის ასეთმა გააზრებულმა, სისტემატურმა და ყოვლის-



დგანან მარცხნიდან
მარჯვნივ:

**სანდრო გაბუნია,
გიორგი გოგელია,
ვარლამ
ჩერქეზიშვილი.**

სხედან:

**არჩილ ჯორჯაძე,
მიხაკო წერეთელი,
შუაში გიორგი
დეკანოზიშვილი.**

მომცველმა კრიტიკამ არ შეიძლება ინტერესი და აღფრთოვანება არ გამოიწვიოს და სადღეისო აქტუალობა არ შეირჩინოს... მარქსის და ენგელსის სახელმწიფო სოციალიზმის (ისევე როგორც ლიბერალიზმის, პატრიოტიზმის და სახელმწიფოს) კრიტიკა დღემდე რჩება მთავარ იდეურ მიღწევად ლიბერტალური აზრისა, რომლის უგამოჩინებულესი წარმომადგენელიც ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზოვი იყო“.

* XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, რუსულ ემიგრაციაში წარმოქმნილი პირველი ანარქისტული ჯგუფების დაარსებასა და საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები.

* ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი დაამარსებელი და რუსულ ანარქისტულ-კომუნისტური ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ქართველი **გიორგი გოგელია** (1878–1924). **გიორგი გოგელია** გადაიხვეწა საზღვარგარეთ, რაც გული აუცრუვდა რელიგიურ კარიერაზე და მიატოვა

ქუთაისის სასულიერო სემინარია. იგი ქიმიით დაინტერესდა და განაგრძო სწავლა ლიონის აგრონომიულ სასწავლებელში (საფრანგეთში), ხოლო შემდეგ ჟენევის უნივერსიტეტში. გ. გოგელია 1900 წელს შეუერთდა ანარქისტულ წრებს და გახდა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე რუს და ქართველ ანარქისტებს შორის. იყო ბრწყინვალე ორატორი, ამასთან, ინტელექტუალი და სასიამოვნო მოსაუბრე, გაწონასწორებული, ჩხუბის გარეშე შეეძლო საკუთარი მსოფლმხედველობაზე ელაპარაკა, ამჟღავნებდა განათლებულობას, ღრმა თვითრწმენას, მშვიდი და ჩუმად მოსმენი განსხვავებული აზრისა. გოგელიამ თავის ცოლთან, **ლიდია იკონიკოვასთან** ერთად 1903 წელს ჟენევაში შექმნა ანარქისტული წრე, ჟენევის ანარქისტულ-კომუნისტური ჯგუფი „პური და თავისუფლება“. ემიგრაციაში შექმნილმა ამ წრემ მისცა დასაბამი «хлебовольческому»-ის მიმდინარეობას, ორთოდოქსულ-კროპოტკინიზმს, რუსულ ანარქო-კომუნისტურ მოძრაობაში.

* ქართველი რევოლუციონერები წარმატებით მოღვაწეობდნენ სამშობლოს გარეთ, მაგრამ თავად საქართველოში ახალგაზრდებში პოპულარობით სოციალ-დემოკრატიული იდეები სარგებლობდა. სწორედ სოციალ-დემოკრატიულ ბაზაზე მოხდა **პირველი ქართული ანარქისტული მოძრაობის** შექმნა. მას წინ უსწრებდა, პირველ რიგში, ქართველი ახალგაზრდა ინტელექტუალების სოციალ-რევოლუციური იდეების ცოდნა, რომლის მიმართაც ჰქონდათ სიმპათია, ვიდრე სოციალ-დემოკრატიის მიმართ, ხოლო მეორე

მიზეზი, პარიზში დაარსებულ ავტონომისტთა წრის, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ ირგვლივ გაერთიანდა.

* 1904 წლის აპრილში ქენევაში გაიმართა გაზ. „საქართველოს“ გამომცემელთა მიერ ოპოზიციონერების კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ მაშინდელი ქართველი ოპოზიციონერები – ავტონომისტები, ნაციონალისტები, სოციალ-დემოკრატები და მათ შორის 4 ანარქისტიც იყო.

* გიორგი გოგელია აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ კონფერენციიდან იწყება ქართული ანარქისტული მოძრაობის ისტორია. ანარქიზმა პოვა გავრცელება გაზეთ „საქართველოს“ საინიციატივო ჯგუფში და სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში. ეს პარტია არ იყო ერთფეროვანი იდეოლოგიური თვალსაზრისით, პარტიამ გამოაცხადა რომ ის იყო „კლასობრივი პარტია მშრომელი ხალხისთვის“, მაგრამ აერთიანებდა უმეტესად სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ახალგაზრდა ინტელექტუალებს – ნაციონალისტებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებითა და ანარქისტებით დამთავრებული.

* 1906 წლის შუა ხანებამდე, პარტიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ანარქისტები, უპირველეს ყოვლისა, ჩერქეზიშვილი, გოგელია, დეკანოზიშვილი და გაბუნია. გაბუნია და დეკანოზიშვილი წარმოადგენდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას პარიზის კონფერენციაზე 1904 წელს. ანარქისტების გავლენა პარტიაზე იყო ისეთი დიდი, რომ 1906 წლის მეორე პარტიულ ყრილობაზე, ქენევაში შეიქმნა კომისია პარტიის პროგრამის შესამუშავებლად, რომელშიც ორი ანარქისტი და სამი მაქსიმალისტი შევიდა.

პროგრამის პროექტი შექმნა გოგელიამ, რომელიც აერთიანებდა პარტიის იმ ნაწილს, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ, ანტიპარლამენტარულ და დეცენტრალიზირებულ იდეებს გულშემატკივრობდა. ამის მიუხედავად ანარქისტებმა ვერ მოახდინეს საკუთარი პოზიციების გატანა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში და მოხდა განხეთქილება ანარქისტებსა და ფედერალისტებს შორის.

* პირველი ანარქისტები საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდნენ ქუთაისში. 1905 წელს ფირალოვის სიგარეტის ქარხანაში და ლალიძის მინერალური წყლების ქარხანაში შეიქმნა პირველი ანარქისტული წრეები, რომლებიც გადაიზარდა ქუთაისის ანარქო-კომუნისტურ „კომუნა“ ჯგუფად. მათი მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ შექმნეს საკუთარი სტამბა ადგილობრივი ბურჟუას დახმარებით. ადგილობრივი სტამბის მეშვეობით გამოსცეს 7 პროკლამაცია და მოწოდებები ქუთაისის ხელოსნებისა და გლეხებისათვის. ბუკლეტები ასწავლიდა მათ, თუ როგორ უნდა მოეხდინათ უბნების დაპყრობა რევოლუციის შემთხვევაში. გამომცემლური საქმიანობის გარდა, ქუთაისელი ანარქისტები დროდადრო ტერორისტულ აქტებშიც იღებდნენ მონაწილეობას.

* უფრო გვიან, ვიდრე ქუთაისში 1905 წლის დეკემბრის აჯანყების დროს, ანარქისტული ჯგუფები თბილისშიც გაჩნდნენ. თბილისის გახდა ქართველი ანარქისტების ინტელექტუალური ცენტრი, თუმცა რაოდენობრივად ანარქისტები უფრო მეტნი ქუთაისში იყვნენ. საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა ანარქისტ კომუნისტთა „ინტერნაციონალი“.



**ნესტორ
კალანდარიშვილი**
(1876-1922)

-* 1906 წელს თბილისელმა ანარქისტებმა დაიწყეს საკუთარი ყოველკვირეული გაზეთის „ნობათის“ გამოცემა, რომელიც 14 ნომრის გამოცემის შემდეგ დაიხურა. ასეთივე ბედი ეწია შემდეგ გაზეთ „ხმასაც“. 1906 წლის 6 იანვრიდან გამოვიდა ახალი ანარქისტული ყოველდღიური გაზეთი „მუშა“.

* ცნობილი ქართველი ანარქისტებიდან არსანიშნავია **ნესტორ კალანდარიშვილი**³⁵ –

აღმოსავლეთ ციმბირის გამოჩენილი პარტიზანი, პირველ რუსულ რევოლუციის დროს. 1917 წელს ქართველმა ანარქისტმა, ირკუტსკის გუბერნია რევოლუციურ ბრძოლაში ჩართო. მისი მეთაურობით შეიქმნა ადგილობრივი წითელარმიელთა კორპუსები – თავდაპირველად 60-კაციანი. მისი თანამებრძოლები ასევე ქართველები იყვნენ:

³⁵ **ნესტორ კალანდარიშვილი** დაიბადა კვირიკეთში (გურიაში), გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. მის გარდა ოჯახში იყო კიდევ ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. რვა წლის ასაკში ნესტორი შეიყვანეს ადგილობრივ სასოფლო სკოლაში. მასწავლებლის მეშვეობით, რომელმაც შეამჩნია ნესტორის ნიჭიერება და განათლებისკენ სწრაფვა, ის შეიყვანეს ქუთაისის გიმნაზიაში. ქუთაისის გიმნაზიის შემდეგ მან სწავლა თბილისის სემინარიაში განაგრძო, რომლის შემდეგაც 1895 წელს განაგრძო 2 წლიანი სამხედრო სამსახური მეფის არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ ნესტორმა გააგრძელა სწავლა. 1900 წელს მოხვდა ესერების წრეებში და მათი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

მიხეილ ასათიანი, იოსებ ყულურაძე, ვანო ხარჩილავა, მიხეილ წერეთელი, გერასიმ ზოიძე. კალანდარიშვილის რაზმმა, რომელიც აწარმოებდა პარტიზანულ ომს, ითამაშა დიდი როლი აღმოსავლეთ ციმბირიში თეთრგვარდიელთა დამარცხებაში. იგი დაინიშნა „დალნევასტოკის რესპუბლიკის“ კავალარიის ხელმძღვანელად. ის დაიღუპა იაკუტიაში 1922 წელს ბრძოლაში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ.

**** ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი მომენტი ქართული რევოლუციის ისტორიაში შეგვიძლია ჩავთვალოთ კომუნა კახეთის სოფ. **გულგულაში**. ანარქისტულმა იდეებმა პოვა ძლიერი დასაყრდენი ამ მთის პატარა დასახლებაში. ადგილობრივმა მოსახლეობამ გააგდო ჩინოვნიკები და გამოაცხადეს ყველანაირი ძალაუფლების დამხობის შესახებ. მიწა და საკუთრება იყო საყოველთაო – ყველანაირი ღობე გლეხებმა გაანადგურეს, შეკრიბეს საერთო ქონება და სულ მცირე ხანში შეისყიდეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და დაარსეს საზოგადოებრივი სახლი და სკოლა. თანაბრად იყოფდნენ პროდუქტებს, რომელიც მიდიოდა საერთო კრებაზე, რომლის თავზეც ეწერა „ყველას – მოთხოვნილების მიხედვით“. ადამიანებმა მიიღეს შესაძლებლობა ემუშავათ არა მთელი დღე, არამედ რამდენიმე საათს, ხოლო თავისუფალი დრო თავის ნებაზე გაეტარებინათ, დაესვენათ ან განათლება მიეღოთ.

ანარქისტული კომუნა გულგულაში არსებობდა ცხრა თვე. რუსეთის ხელისუფლებამ ბოლოს შეძლო სოფლის აღება. კომუნის მონაწილეები დასაჯეს.

14. ევროპის მწვანეთა მოძრაობა

ევროპის მწვანეთა სამოქმედო პრინციპები

შეხედულება ევროპის მომავალზე

✿ მწვანეებისთვის ევროპა ყოველთვის მეტს ნიშნავდა, როგორც პოლიტიკურ, ისე გეოგრაფიულ ასპექტში, ვიდრე ევროგაერთიანება. მას შემდეგ, რაც 1983 წელს „მწვანე პარტიების ევროპის საკოორდინაციო ორგანიზაციას“ საფუძველი ჩაეყარა, მისი წევრების რიცხვში ყოველთვის იყვნენ მწვანეთა პარტიები, როგორც ევროგაერთიანების, ისე მის გარეთ დარჩენილი ქვეყნებიდან.



✿ სოციალური უსამართლობის ზრდა (განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა ადამიანებისთვის სამუშაო ადგილებს და მათ სამომავლო პერსპექტივებს შეეხება), ტერორიზმის გამო ადამიანის

და მოქალაქეების უფლებების ნაკლები დაცულობა, ბირთვული პრობლემები, ისევე როგორც ეკოლოგიური კრიტერიუმების გაუარესება და, რაღა თქმა უნდა, ევროგაერთიანების ინსტიტუციურ დონეზე შექმნილი ჩიხური სიტუაცია, სხვა საკითხებთან ერთად, მთელი ევროპის – ევროგაერთიანების და მის საზღვრებს მიღმა – მწვანეების ძირითად საფიქრალს წარმოადგენს.

✿ “ევროპის მწვანეთა გაერთიანებას” ჰქონდა და ახლაც აქვს ერთი ძირითადი მიზანი: საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ომებისა და კონფლიქტების შემდეგ, მშვიდობისა

და კონტინენტის ადამიანებს შორის თანამშრომლობის მიღწევა და, საუკუნეების მანძილზე განხორციელებული კოლონიური პოლიტიკის შემდეგ, გლობალურ პოლიტიკაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა. განსაკუთრებით მეორე მიმართულებით რჩება ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო.

ევროგაერთიანების მდგომარეობა

- ევროგაერთიანება ისტორიული წარმატების მაგალითს წარმოადგენს. არასოდეს ევროპის ისტორიაში ამდენ ერს არ უცხოვრია მშვიდობიანად ამდენად დიდი პერიოდის განმავლობაში.
- უფრო ფართო კუთხით, ევროგაერთიანებამ პოზიტიური როლი ითამაშა ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ევოლუციაში.
- ევროგაერთიანებამ საგრძნობი წვლილი შეიტანა ევროპული ერების შეკავშირებაში.
- იგი პოზიტიურ როლს თამაშობდა მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის ხელშეწყობაში.
- ევროგაერთიანება საერთაშორისო ლიდერი გახდა ძლიერი გარემოსდაცვითი პოლიტიკის კონცეფციების შემუშავებაში, ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების შენებისკენ სწრაფვაში, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი.
- ევროგაერთიანების გაფართოვების პროექტებმა ევროპის რეგიონის დემოკრატიული სტაბილიზაცია გამოიწვიეს.

- ადამიანებისა და უმცირესობების უფლებების დაცვაში, ანტიდისკრიმინაციული და გენდერული პოლიტიკების შემუშავებაში ევროგაერთიანებამ პროგრესის გზა აირჩია.
- ევროგაერთიანებაში გაწევრიანებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა შეამცირა, თუმცა არ მოგვცა მთლიანად ევროპის მასშტაბით უთანასწორობის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობა.
- მიუხედავად ამისა, ამჟამად ევროპა, როგორც ადამიანებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის პროექტი, პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. ეს ნიდერლანდებში და საფრანგეთში ჩატარებულმა რეფერენდუმებმა ცხადყო. ამჟამად ევროგაერთიანების შესახებ დებატებში ორი თვალსაზრისი დომინირებს, თუმცა ისინი არ არიან აუცილებლად ერთმანეთის საწინააღმდეგო:
- ერთი მხრივ, ევროგაერთიანების, მასში დემოკრატიული გამჭვირვალობის ნაკლებობის, ბიუროკრატიული სტრუქტურის და, ეგრეთ წოდებული, ნეოლიბერალური პოლიტიკის დომინირების მიმართ ძლიერი სკეპტიციზმი არსებობს. ამას თან ერთვის ძალიან ბევრი ადამიანის წუხილი იმის შესახებ, რომ მათ შეიძლება საკუთარი ცხოვრების კონტროლის შესაძლებლობა დაკარგონ.
- მეორე მხრივ, ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ევროგაერთიანება შეინარჩუნებს „ევროპულ სოციალურ მოდელს“, რომელიც მაღალ სოციალურ, გარემოსდაცვით, სამომხმარებლო და სხვა სტანდარტებზე იქნება დაფუძნებული,

და მათ ეკონომიკური გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან დაიცავს.

- პირველი შეხედულების თანახმად, ევროგაერთიანება ძალიან შორს არის წასული; მეორის თანახმად – ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა, თუმცა ორივეს მომხრეები თანხმდებიან, რომ ევროგაერთიანება სრულად ვერ ამართლებს მის მიმართ გამოთქმულ იმედებს.
- ევროგაერთიანება სხვადასხვა დონეზე დემოკრატიის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. რამდენიმე ქვეყანაში ეროვნული პოლიტიკოსები ევროგაერთიანებას საკუთარი მიზნების მიღწევისას მეწველი განტევების ვაცის როლს ანიჭებენ.
- ევროგაერთიანებაში გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი ასპექტები ეროვნული ან ევროპის დონის დემოკრატიული კონტროლის მიღმა რჩებიან და ეს ძალა ძირითადად წევრი სახელმწიფოების მთავრობებისა და ადმინისტრაციების ხელშია კონცენტრირებული.
- სხვადასხვა დონეებს შორის კომპეტენციების გადანაწილების არსებული სქემის შედეგად, ევროგაერთიანება ზოგიერთი მიმართულებებით ზედმეტის გაკეთებას ცდილობს, ხოლო სხვა მიმართულებებით პრაქტიკულად არაფერს ახორციელებს.
- რეფერენდუმების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს იმ პოლიტიკების ნაწილად, რომელთა განხორციელებასაც ევროგაერთიანება ცდილობს. ევროპის მრავალი მოქალაქის თვალში ევროგაერთიანებას ეროვნული მთავრობების

ზედმეტად დიდი რაოდენობა ჰყავს, და ისინი თანამშრომლობის მაგივრად კონკურენციის გზას დაადგენენ, რამაც ევროინტეგრაციის პროცესების პოზიტიური ელემენტებიდან გადახვევა გამოიწვია. ძალიან ბევრ ევროპულ მოქალაქეებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ მათ ევროგაერთიანებაში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, ხოლო ეკონომიკურად ძლიერი ლობისტები ამას მშვენივრად ახერხებენ.

- ევროპული პროექტის კრიზისის ფესვები, ალბათ, გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პრობლემებში უნდა ვეძიოთ. გლობალიზაციის პროცესის ამჟამინდელი ორგანიზაცია მოქალაქეებში ღრმა შეშფოთებას იწვევს. წარმოიშვება სოციალური “განუზღვრელობა” და მოქალაქეებს არსებული ინსტიტუტების მიმართ რწმენა უქრებათ. გლობალიზაციის ძირითადად ეკონომიკურ პროცესს ძლიერი პოლიტიკური პასუხი უნდა გაეცეს.
- როგორც ჩანს, ევროპულ პოლიტიკოსებს არ ძალუძთ, დაარწმუნონ თავიანთი მოქალაქეები იმაში, რომ ამ მხრივ ევროგაერთიანებას დამატებითი სარგებლის მოტანა შეუძლია. ბევრის თვალში ევროგაერთიანება სწორედ რომ გლობალიზაციის ნეგატიური პროცესის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, და არა მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას.
- თუმცა, უფრო ფუნდამენტალურ დონეზე, უკვე შეუძლებელია არამდგრადი ცხოვრების სტილის იგნორირება,

მისი „ექსპორტირება“ მსოფლიოს სხვა ნაწილებში ან მისი გადაცემა მომავალი თაობებისათვის.

- უკანასკნელ დრომდე (დასავლეთ) ევროპის მდიდარი ქვეყნები ახერხებდნენ საკუთარი თავის გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტებისგან დაცვას. ეს ასე აღარ არის. მხოლოდ ეკოლოგიური სამართლიანობის გზით სიარული, რაც ნიშნავს რომ ამ ევროპულ ქვეყნებს თავიანთი ეკოლოგიური ზეგავლენის შემცირება მოუწევთ, იძლევა იმის გარანტიას, რომ მსოფლიოს სხვა ნაწილებში შესაძლებელი იქნება მდგრადი განვითარების მიღწევა და უსაფრთხო და სამართლიანი მომავლის უზრუნველყოფა.

ევროპის მომავლის მწვანე პოლიტიკური ხედვა

- პოლიტიკურად და ეკონომიკურად კარგად ინტეგრირებული ევროგაერთიანება აუცილებელია პოლიტიკის ძირითადი ასპექტების და მთავარი „მწვანე“ მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- მწვანეების თვალსაზრისით ევროგაერთიანება სამშვიდობო პროექტია და მისი ქმედებები მსოფლიოში მშვიდობის და ადამიანების უფლებების უზრუნველყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული.
- ევროგაერთიანება ვალდებულია ევროპული სოციალური მოდელი დაიცვას.
- ევროგაერთიანება ვალდებულია მომხმარებელთა უფლებების და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოს.

- ევროგაერთიანების ეკონომიკური მისწრაფებები მწვანე ეკონომიკის შეხედულებებს უნდა ეფუძნებოდეს და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ეკოლოგიური და სოციალური პრინციპების საფუძველზე უნდა იქნას შემუშავებული.
- ევროგაერთიანებამ უნდა გადახედოს თავის ეკონომიკურ მიზნებს ისე, რომ გარემოს დაცვას და ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფას უფრო მაღალი პრიორიტეტები ენიჭებოდეს, ვიდრე კერძო ინტერესებს.
- ევროგაერთიანება მსოფლიოს მასშტაბით უნდა იღწვოდეს სამართლიანი გლობალიზაციის მისაღწევად.
- ევროგაერთიანება მხარს უნდა უჭერდეს დემოკრატიას, მრავალფეროვნებას, თანასწორობას და კანონის უზენაესობას ყველა დონეზე.

მშვიდობის პროექტი

- მშვიდობა ევროგაერთიანებაში „ნორმად“ იქცა, რაც უდავოდ მის ისტორიულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. უკანასკნელ დროს მიმდინარე გაფართოება და ევროპის ერთიანობის აღდგენა აძლიერებს ევროგაერთიანების როლს მშვიდობის უზრუნველყოფაში.
- ევროგაერთიანება აგრეთვე ვალდებულია შეიმუშავოს ახალი სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი უშიშროების ზომების გატარებას ევროგაერთიანების არაწევრ მეზობელ ქვეყნებთან.
- საერთაშორისო საზოგადოებრიობა აგრეთვე მოელის, რომ ევროპა მშვიდობის დამყარებაში და ადამიანის

უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში გლობალურ როლს ითამაშებს.

მდგრადი მომავალი

- თუმცა არსებულ მდგომარეობას იდეალურს ვერ ვუწოდებთ, ევროგაერთიანების ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაწესება ჩაითვალოს.
- ევროგაერთიანება ის ადგილი უნდა იყოს, სადაც მდგრადი და სამართლიანი მომავლის სქემა იქმნება. ევროგაერთიანებას ყოველთვის შეუძლია გარემოსდაცვით, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო და სამეცნიერო საკითხებში მწვანე არჩევნის გაკეთება.
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა აგრეთვე ეკონომიკური ინოვაციების პოლიტიკას წარმოადგენს და სამუშაო ადგილებს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის.
- ეკოლოგიურ მდგრადობაში ფულის დაბანდება სამართლიანობაში და უშიშროებაში დაბანდებას ნიშნავს. ამდენად, აუცილებელია დაისახოს ამბიციური პოლიტიკური მიზნები და შემუშავდეს ინსტრუმენტები, რომლებიც შეანელებენ კლიმატის ცვლილებებს, შექმნიან მდგრად სატრანსპორტო სტრუქტურას, შეინარჩუნებენ და გააძლიერებენ ბიომრავალფეროვნებას, განავითარებენ მდგრად სასოფლო მეურნეობას, მხედველობაში მიიღებენ მწვანე გლობალურ პერსპექტივას და მხარს დაუჭი-

რენ უფრო მდგრადი განვითარების გზების ძიებისაკენ მიმართულ კვლევებს.

მწვანეთა ევროპული სოციალური მოდელის გამლიერება

- ევროპელების უმრავლესობა მხარს უჭერს ევროპულ სოციალურ ტრადიციას, რომელიც სოციალური სამართლიანობის, საჯარო მომსახურების, გენდერული სამართლიანობის, მშრომელებისა და მომხმარებლების უფლებებს და გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის პრინციპებს ეყრდნობა.
- დღევანდელი მზარდი კონკურენციის მსოფლიოს პირობებში, ამ ტრადიციის შენარჩუნებისთვის მხოლოდ ეროვნულ დონეზე ზომების მიღება საკმარისი აღარ არის. მისი დაცვისა და ერთიან ევროპულ სოციალურ მოდელად გარდაქმნისათვის სხვადასხვა ეროვნული გამოცდილების გაზიარებაა აუცილებელი.
- ევროგაერთიანების სიძლიერე აუცილებელი იქნება მზარდი ინოვაციების, ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის მოთხოვნილების ევროპის სოციალურ მოდელის ღირებულებებთან დასაბალანსებლად.
- გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება მთელ საზოგადოებასა და მსოფლიოს მასშტაბით სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

მომხმარებელთა უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა

- კრიზისის დროს მომხმარებლები მოელან, რომ ევროგაერთიანება მათ უფლებებს და სიცოცხლეს

დაიცავს. ღია ბაზარზე მომხმარებლების უფლებების დაცვა (მაგალითად, როდესაც მათ უსაფრთხო, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი პროდუქტების მიღება სურთ), აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია.

- ევროგაერთიანება მომხმარებლების უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეუცვლელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან ამ როლის ეფექტიანად შესრულება ცალკეულ წევრ ქვეყნებს აღარ ძალუძთ. საკვების წარმოების მთელი ჯაჭვი პრევენციული მიდგომის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს და აუცილებელია გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან მიმართებით პასუხისმგებლობის მკაფიო წესების შემუშავება.
- აქ ჩამოთვლილი ყველა საკითხის გარშემო სრულყოფილი „ევროპული“ პოლიტიკის შემუშავებას ძლიერ მოტივირებული აღმასრულებელი ხელისუფლება დასჭირდება, რომელიც, საჭიროებისამებრ, საერთაშორისო კორპორაციებისა და ეროვნული მთავრობების მხრიდან ზეწოლას გაუძლებს და ითანამშრომლებს განვითარებად ქვეყნებთან, რათა მიაღწიოს საერთაშორისო ორგანიზაციების არსებულ წესებში საჭირო ცვლილებების განხორციელებას.

მწვანე ეკონომიკური ხედვა ევროპისათვის

- კონკურენტუნარიანობა საზოგადოებრივი ინტერესების პრინციპებთან (კერძოდ, გარემოს დაცვის და სოციალური ერთიანობის პრონციპებთან) შესაბამისად უნდა განი-

საზღვროს. მწვანეებისთვის საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ბრძოლაში და განსაკუთრებით გარემოს დაცვაში მიღწეული პროგრესი კონკურენციაზე და კონკურენტუნარიანობაზე წინ დგას.

- მწვანეების ეკონომიკური პოლიტიკის დედაბოძს მინერალურ საწვავზე (განსაკუთრებით ნავთობზე) დამოკიდებულების შემცირების და ბირთვული ენერჯისგან თავისუფალი ენერგეტიკული სისტემის უზრუნველყოფის სტრატეგია წარმოადგენს. მწვანეები მისდევენ ინოვაციების გზას, რომელიც ენერგოეფექტურობის, ენერჯის ეკონომიის და განახლებადი წყაროების განვითარების კომბინაციას ეფუძნება. მწვანეებს გარდაუვალ აუცილებლობად ესახებათ სამოქალაქო და სამხედრო ბირთვული ტექნოლოგიების აღმოფხვრა.
- ერთიანი ბაზრის არსებობის პირობებში, და როდესაც ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას ერთიანი ვალუტა აქვთ, ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა აუცილებელი ხდება და მის გარეშე შეუძლებელია ეკოლოგიური მდგრადობის ან სოციალური ერთიანობის მიღწევა. ზიანის მომტანი საგადასახადო კონკურენციის შეჩერება ამ ამოცანის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

მეტი სამართლიანი გლობალიზაციის

- უზრუნველყოფის პროცესის გლობალური მონაწილე აუცილებელია, რომ სოლიდარობაზე დამყარებული და ეკოლოგიურად მდგრადი გლობალიზაციის უზრუნველ-

ყოფის პროცესში ევროგაერთიანებამ ძლიერი გლობალური მოთამაშის როლი ითამაშოს.

- მწვანეები მხარს უჭერენ სამართლიან ვაჭრობას.
- მწვანეებს სურთ, რომ ევროგაერთიანება განვითარებად ქვეყნებთან მდგრადი განვითარების წინ წამოწევის საკითხებში თანამშრომლობდეს და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრიობის აქტიურ ჩართვას უზრუნველყოფდეს.
- კაპიტალის მოძრაობის გლობალიზაცია აგრეთვე დემოკრატიული პოლიტიკის გლობალურ დონეზე აყვანას მოითხოვს. ეს „გაეროს“ როლის გაძლიერებას, საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას და საერთაშორისო სამართლის მხარდაჭერას გულისხმობს.

დემოკრატია, მრავალფეროვნება, მიგრაცია და კანონის უზენაესობა

- ეჭვგარეშეა, რომ ევროგაერთიანება ჯერ კიდევ საჭიროებს დემოკრატიული პროცედურების დახვეწას, თუმცა ევროგაერთიანება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს თავის წევრ ქვეყნებში დემოკრატიული პროცედურებისა და ინსტიტუტების დამკვიდრების, ისევე როგორც ქალების როლის გაძლიერების უზრუნველყოფაში საქმეში. ეს პოზიტიური ეფექტი ეხება როგორც ძველ, ისე ახალ წევრ სახელმწიფოებს.
- ევროპის სასამართლო, „ფუნდამენტალური უფლებების ქარტია“, „ევროომბუდსმენი“ და რეკლამაციების წარმო-

დგენის წესი მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვის ძლიერ საშუალებას უქმნიან.

- ევროგაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ ისტორიული, კულტურული, ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობები.
- ევროგაერთიანება აგრეთვე კოორდინაცია უწევს თავის წევრებს ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით ეს ეხება რასიზმთან, ჰომოფობიასთან, ქსენოფობიასთან, ასაკობრივ დისკრიმინაციასთან, ანტი-ისლამიზმთან და ანტისემიტიზმთან ბრძოლას, ისევე როგორც ლტოლვილებისათვის ჰუმანიტარული სტანდარტების უზრუნველყოფას, იმიგრანტების ინტეგრაციის რეგულირებას და საერთაშორისო ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას.

დემოკრატიული არქიტექტურა ქმედითუნარიანი ევროგაერთიანებისთვის

- ევროპა ვალდებულია ზეეროვნულ კონტექსტში გადახედოს დემოკრატიის განსაზღვრებას.
- კავშირი უნდა გადაიქცეს სუვერენიტეტის იდეების გამზიარებელ საკუთარი ხედვის მატარებელ ერთეულად, რომელიც აერთიანებს ინტეგრირებული სისტემის საერთაშორისო ორგანიზებულობის ელემენტებს.
- იგი პირდაპირ ახორციელებს იმ უფლებამოსილებას, რომელიც მასზე იქნა დელეგირებული, თუმცა მისი

მოქალაქეების მიერ ჯერ კიდევ არ აღიქმება როგორც სრულად ლეგიტიმური დემოკრატია.

- “ევროპის კონსტიტუციურ შეთანხმებას” მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია გაერთიანებაში არსებული დემოკრატიის დეფიციტის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სწრაფვა ევროგაერთიანების სტაბილური კონსტიტუციონალური ჩარჩოების შექმნისაკენ.
- ყველა წევრი ქვეყნის კონსტიტუციას საერთო მიზანი აქვს: უფლებამოსილების ნებისმიერი განხორციელების დაკავშირება ფუნდამენტურ და ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიულ ლეგიტიმურობასთან, ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილებასთან, საზოგადოებრივი ორიენტაციის მქონე კანონმდებლობასთან, ნებისმიერი ქმედებების ლეგიტიმური საპარლამენტო და სამთავრობო კონტროლის შესაძლებლობებთან და კანონის უზენაესობის პრინციპებთან.
- დემოკრატიული მოწყობის ყველა ეს ფუძემდებლური პირობი აგრეთვე ევროგაერთიანების დონეზეც უნდა იჩენდეს თავს. მათი განხორციელება მთავრობათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე მოწყობილი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის მეშვეობით შეუძლებელია.
- მწვანეები ყურადღებას აქცევენ ძლიერ საპარლამენტო უფლებებს, სუბსიდიურობას, საკანონმდებლო

გარანტიებს, მოქალაქეების ინიციატივას და ევროპულ რეფერენდუმს და ეს კონცეფციები იმ კონსტიტუციური მოწყობის ძირითად ელემენტებად მიაჩნიათ.

ევროპარლამენტი

- ევროგაერთიანების ნებისმიერი საკანონმდებლო აქტების მიღება, როგორც ამას თავიდანვე განსაზღვრავდა კონვენცია, უნდა ხდებოდეს საჯარო წესით ევროპარლამენტის და საკანონმდებლო საბჭოს მიერ.
- რაც შეეხება საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკას, ევროპარლამენტს უნდა ჰქონდეს დამავალდებულებელი მითითებების მიცემის და ბიუჯეტის განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლება.
- აუცილებელია ევროპარლამენტის როლის გაძლიერება საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ მოლაპარაკების და მათი დადების პროცესებში.
- როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს, ევროპარლამენტს, კომისიასთან ერთად, ევროპის კანონმდებლობის შესახებ ინიციატივების წამოყენების უფლება უნდა ჰქონდეს. იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს ცალკეული სახელმწიფოების მიერ კავშირის გადაწყვეტილებების ვეტოს გამოყენებით დაბლოკვის პრაქტიკის თავიდან აცილება, საკანონმდებლო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილებები საერთო კანონმდებლობის შესახებ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

ევროპის მწვანეთა პარტია
European Green Party



მარ გარსია სანზი

- გენერალური მდივანი: მარ გარსია სანზი (ესპანეთი) Mar Garcia Sanz.
 - შექმნის თარიღი: 2004 წლის 21 თებერვალი.
 - შტაბ-ბინა: ბრიუსელი. ბელგია.
 - იდეოლოგია: მწვანე პოლიტიკა.
 - ფრაქცია ევროპარლამენტში: ევროპელი მწვანეები – ევროპის თავისუფალი ალიანსი.
 - საერთაშორისო კუთვნილება: გლობალური სიმწვანე.
 - ფერები: მწვანე და ყვითელი.
 - ადგილები:
 - ევროპის პარლამენტში – 50 დეპუტატი (751-დან).
 - ევროკავშირის საბჭოში (მთავრობის მეთაურთა) – 3/28.
 - ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეა – 3/321
- ვებ-გვერდი: www.europeangreens.eu

***** ევროპარლამენტში ფრაქცია *ევროპელი მწვანეები* – ევროპის თავისუფალი ალიანსი წარმოადგენს პარტიათა ჯგუფს, რომლებიც ემხრობიან კონცეფციებს – რეგიონალიზმსა და ერს სახელმწიფოს გარეშე. შესაბამისად, წარმოადგენენ პოლიტიკური უმცირესობის ინტერესებს. ემხრობა ინტეგრაციის სფეროების გამრავლებისა და ფედერაციული ევროპის იდეას. მიზნად ისახავს ეკონომიკური რეფორმების გატარებას, მომუშავეთა უფლებების უფრო მეტად დაცვას, ფინანსური სექტორის რეფორმაციას, გარემოს დაცვით საკითხებზე კონცენტრირებას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, სამართლიანი საგადასახადო სისტემისთვის ბრძოლას, ადამიანის უფლებათა დაცვას, ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებასა და გაფართოების ხელშეწყობას.

15. ევროპის პოლიტიკური პარტიები (ევროპარტიები)

ევროპარტიების თავისებურებანი

◆ ევროპის პოლიტიკური მიმდინარეობების სპექტრს თვალსაჩინოს ხდის ევროპის პოლიტიკური პარტიები. ევროპის პოლიტიკური პარტიებია (ევროპარტიებია) ევროკავშირის მიერ ევროპის დონეზე ოფიციალურად აღიარებული პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც განსხვავებით ნაციონალური პარტიებისაგან, მოღვაწეობენ არა ერთ ქვეყანაში, არამედ რამდენიმეში და მონაწილეობენ ევროპის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროკავშირის დაწესებულებებში.

◆ ევროპარტიების საქმიანობას არეგულირებს და აფინანსებს ევროკავშირი. ევროპარტიებს აქვთ ევროპარლამენტის არჩევნების დროს აგიტაციისა და ევროპარლამენტის ფრაქციების შექმნის ექსკლუზიური უფლება.

◆ საპარტნიორო ქსელში (Network affiliate) ჩართული სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურებთან საკორდინაციო თათბირების საშუალებით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ევროსაბჭოში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. ასევე, ევროპარტიები მჭიდროდ თანამშრომლობენ საპარტნიორო ქსელში ჩართული ევროკომისიის წევრებთან.

◆ ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისად, ევროპარლამენტის არჩევნებში გამარჯვებულ ევროპარტიას უფლება აქვს ევროსაბჭოს წარუდგინოს საკუთარი კანდიდატურა ევროკომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ევროპარტიების განვითარების ქრონოლოგია

◆ 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებას დაემატა დებულება „პოლიტიკური პარტიები ევროპულ დონეზე ხელს უწყობენ ევროპული პოლიტიკური შეგნებისა და კავშირის მოქალაქეთა ნების გამოხატვის ფორმირებას“. ამ დოკუმენტში პირველად გამოიყენეს ცნება „პოლიტიკური პარტია ევროპულ დონეზე“.

◆ 1997 წელს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომელშიც განისაზღვრა ევრობიუჯეტიდან ევროპარტიების დაფინანსების წესი.

◆ 2001 წელს ნიცის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ევროპარტიის დაფინანსებას ერთობლივად არეგულირებენ ევროპარლამენტი და ევროსაბჭო.

◆ 2003 წელს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ დაამტკიცეს რეგლამენტი, რომელიც კრძალავს ნაციონალური პარტიების პირდაპირ და არაპირდაპირ დაფინანსებას ევროპის ბიუჯეტიდან.

◆ 2007 წლის 18 დეკემბერს ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს ახალი რეგლამენტი, რომლითაც ევროპარტიებს მიეცათ უფლება, დააფინანსონ ევრობიუჯეტიდან „აზრების ფაბრიკები“ („think tanks“ – Eurofoundations) – ანალიტიკური ცენტრები (არასახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები), აგრეთვე ახალი წესებით ევროპარტიებს მიენიჭათ ევროპარლამენტის არჩევნების დროს აგიტაციის განსაკუთრებული უფლება.

ევროპარტიის სტატუსის მისაღებად ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა ჰქონდეს ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს იურიდიული პირის სტატუსი, სადაც განლაგებულია პარტიის მართვის ინსტიტუტი.
- იცავდეს ევროკავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს, სახელდობრ, თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს, აგრეთვე, კანონის უზენაესობას.
- მონაწილეობდეს ევროპარლამენტის არჩევნებში ან გაცხადებული ჰქონდეს ამის შესახებ.
- ჰყავდეს წარმომადგენლობა მინიმუმ ერთ მეოთხედი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ან ნაციონალურ ან რეგიონულ პარლამენტებში ევროპელი დეპუტატების სახით, ან კიდევ მინიმუმ ხმების 3%-ისა ევროპარლამენტის ბოლო არჩევნების მონაწილე ერთ მეოთხედი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა.
- ყოველწლიურად აქვეყნებდეს ანგარიშს საკუთარი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, აქტივებსა და პასივებში.
- წარმოადგინოს საკუთარი დონორების სიები, რომელთა შემოწირულობები არ აღემატება 500 ევროს.
- დაფინანსების მიღების შესახებ განაცხადი შეიტანოს არაუგვიანეს 30 სექტემბრისა.
- საკუთარი ბიუჯეტის ფორმირება სულ მცირე 15%-ით სხვა წყაროებიდან.
- არ მიიღოს შემოწირულობები:
 - ანონიმურები;

- 12% –ს ადმატებული;
- ევროპარლამენტის ფრაქციების ბიუჯეტიდან;
- ეროვნული პოლიტიკური პარტიებისგან, თუ ის აჭარბებს მათი წლიური ბიუჯეტის 40%-ს;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონტროლ ქვეშ მყოფი კომპანიებისაგან
- და სხვ.

ევროკავშირში დარეგისტრირებული ევროპარტიები:

- ევროპის სახალხო პარტია - European People's Party.
- ევროპელი სოციალისტების პარტია - Party of European Socialists.
- პარტია ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისათვის - The Alliance of Liberals and Democrats for Europe Party, ALDE Party.
- ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი - Alliance of European Conservatives and Reformists
- ევროპის მწვანეთა პარტია - European Green Party
- ევროპელი მემარცხენეების პარტია Party of the European Left
- მოძრაობა თავისუფალი და დემოკრატიული ევროპისათვის - Movement for a Europe of Liberties and Democracy
- ევროპის დემოკრატიული პარტია - European Democratic Party
- ევროპის თავისუფალი ალიანსი - European Free Alliance
- ევროპის ალიანსი თავისუფებისათვის - European Alliance for Freedom
- ევროპის ნაციონალურ მოძრაობათა ალიანსი - Alliance of European National Movements

- ევროპის ქრისტიანული პოლიტიკური მოძრაობა - European Christian Political Movement
- ევროკავშირის დემოკრატები – ალიანსი ევროპული დემოკრატიისათვის - EUDemocrats (EUD) – Alliance for a Europe of Democracies

ძირითადი ევროპარტიები³⁶

ევროპის სახალხო პარტია -European People's Party



ჯოზეფ დოლი
(Joseph Daul)
2013 წლიდან
ევროპის
სახალხო
პარტიის
პრეზიდენტი



ემბლემა

- **პრეზიდენტი:** ჯოზეფ დოლი (Joseph Daul).³⁷
- **შექმნის თარიღი:** 1976 წლის 8 ივლისი.
- **შტაბ-ბინა:** ბრიუსელი. ბელგია.
- **ახალგაზრდული ფრთა:** ევროპის სახალხო პარტიის ახალგაზრდობა.
- **იდეოლოგია:** ქრისტიანული დემოკრატია, ევროპული ფედერალიზმი, კონსერვატიზმი, ლიბერალური კონსერვატიზმი.
- **პოლიტიკური პოზიცია:** მემარჯვენე-ცენტრისტული.

³⁶ 2015 წლის მარტის მონაცემები.

³⁷ 2013 წლის 12 ნოემბრიდან. ფრანგი პოლიტიკოსი, ევროპარლამენტის წევრი, სახალხო მოძრაობის კავშირის წევრი.

- **საერთაშორისო კუთვნილება:** დემოკრატი-ცენტრისტების საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირი.
- **ფრაქცია ევროპარლამენტში:** ევროპის სახალხო პარტია.
- **ფერები:** ლურჯი და ოქროსფერი.
- **ადგილები:**
 - ევროპის პარლამენტში – 219 დეპუტატი (751–დან).
 - ევროკომისია – 14/28.
 - ევროკავშირის საბჭოში (მთავრობის მეთაურთა) – 12/28.
 - რეგიონების კომიტეტში – 125/345.
 - ევროპის კომისიაში – 14/28.
 - ეროვნულ ქვედა საკანონმდ. დონეებზე – 5,240/7,796
- **ვებ-გვერდი:** <http://www.epp.eu/index.asp>

* ევროპის სახალხო პარტია – პოლიტიკური ცენტრის გაერთიანება. იგი აერთიანებს მსგავსი იდეოლოგიების ნაციონალურ პარტიებს, ევროსაბჭოს წევრ და ასოცირებული წევრობის მქონე ქვეყნებიდან. ასევე ამყარებს ახლო კონტაქტს სავარაუდო კანდიდატ ქვეყნებთან. იგი წარმოადგენს ევროპის პოლიტიკურ პარტიათა უდიდეს გაერთიანებას, რომელიც შეიქმნა 1976 წელს ქრისტიან დემოკრატიული პარტიების მიერ. ამჟამად იგი შედგება ევროპის მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის, როგორც ქრისტიან-დემოკრატიულ, ისე კონსერვატიულ, ევროპულ ფედერალისტულ და ლიბერალ კონსერვატიული პარტიებისაგან. ესპ ყველაზე მსხვილი ევროპული გაერთიანებაა და ფლობს უმრავლესობას ევროპარლამენტში. მასში ამჟამად გაერთიანებულია ევროპის 39 ქვეყნის 73 პარტია.



**ევროპის სახალხო პარტია. შეხვედრა უმაღლეს დონეზე.
ბელგია, 2011 წელი**

ევროპელი სოციალისტების პარტია - Party of European Socialists

ემბლემა



სერგეი სტანიშევი

- **პრეზიდენტი:** სერგეი სტანიშევი (Sergei Stanishev), 2011 წლის 24 ნოემბრიდან, ბულგარეთი.
- **შექმნის თარიღი:** 1973 წელს კონფედერაცია, 1992 წლიდან პარტია.
- **შტაბ-ბინა:** ბრიუსელი. ბელგია.

- **ახალგაზრდული ფრთა:** ახალგაზრდა ევროპელი სოციალისტები.
- **იდეოლოგია:** სოციალ-დემოკრატია.
- **პოლიტიკური პოზიცია:** მემარცხენე-ცენტრისტული.
- **საერთაშორისო კუთვნილება:** სოციალისტური ინტერნაციონალი, პროგრესული ალიანსი.
- **ფრაქცია ევროპარლამენტში** – სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი.
- **ფერი:** წითელი.
- **ადგილები:**
 - ევროპის პარლამენტში – 191 დეპუტატი (751-დან).
 - ევროკავშირის საბჭოში (მთავრობის მეთაურთა) – 11/28.
 - რეგიონების კომიტეტში – 122/353.
 - ევროპის კომისიაში – 8/28.
 - ევროკავშირის ევროპული საბჭო (სახ. მეთაურთ) – 19/28.
 - ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსაზღვრებაში – 69/318.
- **ვებ-გვერდი:** www.pes.eu
 - * ევროპელი სოციალისტების პარტია შედგება ევროკავშირის ყველა 28 წევრი ქვეყნისა და ნორვეგიის 32 სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და მუშათა პარტიებისგან. ყველა დანარჩენ პარტიაზე მეტად ემხრობა ევროპის ინტეგრაციის გაღრმავებას და ფედერალიზმს. მისი პრიორიტეტია უფრო მეტი და უკეთესი სამსახურების შექმნა, სახელმწიფოს ხისტი ეკონომიკური პოლიტიკის დასრულება და ეკონომიკის ახალი ტემპებით ამუშავება, ფინანსური სექტორის მომსახურების გაფართოება საზოგადო კეთილდღეობისათვის, სოციალური პროგრამების გატარება,

ქალთა და უმცირესობათა უფლებების დაცვა, ევროპის უფრო მეტი დემოკრატიულობა, ენერგეტიკული უშიშროებისა და სუფთა გარემოს გარანტირება, ევროკავშირის გაფართოებისა და ძლიერი ევროპის კონცეფცია.

**პარტია ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი
ევროპისათვის – The Alliance of Liberals and Democrats
for Europe Party, ALDE Party**



ემბლემა



გრეჰემ უოტსონი

- **ლიდერი:** სერ გრეჰემ უოტსონი – Sir Graham Watson³⁸
- **შექმნის თარიღი:** 1976–2004 წლები – ლიბერალური და დემოკრატიული პარტიის ფედერაცია ევროპაში, 2004–2012 წლებში – ლიბერალური დემოკრატებისა და რეფორმატორების ევროპის პარტია.
- **შტაბ-ბინა:** ბრიუსელი, ბელგია.
- **იდეოლოგია:** ლიბერალიზმი (ევროპული).
- **პოლიტიკური პოზიცია:** ცენტრისტული

³⁸ სერ გრეჰემ უოტსონი. პარტია ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისათვის ლიდერი. ყოფილი ფეხბურთელი. დიდი ბრიტანეთი.

- **შიდა ფრაქციები:** კლასიკური ლიბერალიზმი, კონსერვატიული ლიბერალიზმი, სოციალური ლიბერალიზმი, ევროპული ფედერალიზმი.
- **ინტერნაციონალი:** ლიბერალური ინტერნაციონალი.
- **ფრაქცია ევროპარლამენტში:** ევროპის ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი.
- **ფერი:** ოქროსფერი და ლურჯი.
- **ახალგაზრდული ორგანიზაცია:** ევროპის ლიბერალური ახალგაზრდობა
- **წევრების რაოდენობა:** 52
- **ადგილები:**
 - ევროპარლამენტში – 68/751.
 - ევროკავშირის საბჭო (მონაწილეობა მთავრობაში) – 5/28.
 - ევროკომისიაში: 5/28
- **ფერი:** ოქროსფერი და ლურჯი
ვებ-გვერდი: www.aldeparty.eu

* ევროპის ლიბერალ-დემოკრატების ალიანსი არის მემკვიდრე ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული და რეფორმის პარტიის, რომელიც 1976 წლიდან არსებობდა და 2004 წლისთვის მოხდა მისი ევოლუციონირება პარტიად ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისათვის. იგი წარმოადგენს ცენტრისტულ, გენდერულად დაბალანსებულ პარტიას. მისი იდეოლოგი გულისხმობს კლასიკური ლიბერალიზმს და შესაბამისად, სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე დაყვანას. პარტიის პრიორიტეტებია, ეკონომიკის აღორძინება ევროკავშირ-აშშ-ს შორის სავაჭრო შეთანხმებების მხარდაჭერით; განათლების სისტემის რეფორმა; ახალი ინიციატივების დაფინანსება; ევროკავშირის ბიუჯეტის

კონტროლი; იმიგრაციისთვის თავისუფალი ზონის ხეშეწყობა; მოვალე ქვეყნების მიმართ სანქციების გატარება, ბრძოლა ძლიერი ევროპისთვის საერთაშორისო სისტემაში, სოციალური თავისუფლებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი – Alliance of European Conservatives and Reformists



იან ზაჰრადილი

- **პრეზიდენტი:** იან ზაჰრადილი (ჩეხეთი) Jan Zahradil (CZ).
- **გენერალური მდივანი:** დენიელ ჰენმანი (გაერთიანებული სამეფო) Daniel Hannan (UK).
- **შეიქმნა:** 2009 წლის 1 ოქტომბერი.
- **წინამორბედი:** მოძრაობა ევროპის რეფორმისტებისთვის.
- **შტაბ-ბინა:** ბრიუსელი, ბელგია.
- **იდეოლოგია:** კონსერვატიზმი, ფისკალური კონსერვატიზმი, ევროსეპარატიზმი, ატლანტიზმი, ანტიფედერალიზმი.
- **პოლიტიკური პოზიცია:** მემარჯვენე ცენტრისტები.
- **საერთაშორისო კუთვნილება:** დემოკრატთა საერთაშორისო კავშირი.

- ფრაქცია ევროპარლამენტში: ევროპის კონსერვატორები და რეფორმისტები.
- ფერი: ლურჯი და თეთრი.
- ადგილები:
 - ევროპარლამენტში – 52/751.
 - ევროკავშირის საბჭო (მონაწილეობა მთავრობაში) – 3/28.
 - ევროკავშირის საბჭო ევროპული საბჭო (სახ. მეთაურთ) – 1/28.
 - ევროკომისიაში: 1/28
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსაზღვრებაში – 22/321.
- ვებ-გვერდი: www.aecr.eu

* ევროპარლამენტის ფრაქცია ევროპის კონსერვატორები და რეფორმატორები ანტი ფედერალისტური და ევროსკეპტიკური განწყობის მქონე პარტიათა გაერთიანებაა. არ ემხრობიან ევრო ინტეგრაციას და სექსუალური უმცირესობათა უფლებების დაცვას. მათთვის მთავარია ადამიანის პიროვნული თავისუფლება, საპარლამენტო დემოკრატია, ეროვნული მმართველობის უპირატესობა, ძლიერი ოჯახები, დაბალი გადასახადები, თავისუფალი სავაჭრო ზონა და კანონის უზენაესობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანარქიზმი

<http://geword.wordpress.com/2011/02/06/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98->

<http://geword.wordpress.com/2011/02/06/%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/> ბოლო შესვლა 11.04.2015.

2. ანარქისტი და პატრიოტი ვარლამ ჩერქეზიშვილი

<http://makvriely.wordpress.com/2011/12/29/1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90->

<http://makvriely.wordpress.com/2011/12/29/1-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90>

3. ელზერდ ბატიაშვილი. იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი: იდეური ბრძოლა დღესაც გრძელდება... თბილისი. 2011. ISBN 978 9941-0-3682-8

4. ედმუნდ ბერკი. ბერკის წერილი ნაციონალური ანსამბლის წევრს; პასუხი საფრანგეთის მოვლენებისადმი მიძღვნილი მისი წიგნის მიმართ გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნაზე. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება. ქრესტომათია. ნაკვეთი I. გვ. 138-145.

<http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18397e18390e1839ce18390e1839be18394e18393e183a0e1839de18395e18394-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e1839b.pdf> ბოლო შესვლა 10.02.2015

5. .ირაკლი გაბისონია. პოლიტიკურ იდეათა და კლასიფიკაცია. თემიდა : სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. სტუ. თბ., 2008. ISSN: 1512-1305. #1(3). გვ. 69-77.

6. **ომარ გოგიაშვილი.** პოლიტიკური იდეოლოგიები. *პოლიტოლოგია*. რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. /პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქციით.- თბ.: თსუ გამომცემლობა. 2004. თავი X, გვ. 328-351. ISBN 99928-33-53-X. გვ. 143-146.
7. **დიმიტრი დუშუაშვილი.** პოლიტიკური პარტიები ევროკავშირში. ორნატი:საზოგადოებრივ-სამეცნიერო ჟურნალი / საერო უნივერსიტეტი. თბ., 2009. ISSN: 1987-6467. №3. გვ. 33-38
8. ევროპის მწვანეთა პარტიის სამოქმედო პრინციპები <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:JdpxINVAPC8J:www.greensparty.ge/index.php%3Fcontent%3Dsubview%26id%3D7+&cd=9&hl=ru&ct=clnk&client=firefox>
ინგლისურიდან თარგმნა ზ. ავალიანმა. უკანასკნელად გადამოწმდა 15.04.2015.
9. **დიანა ენდელაძე, გურამ ფცქიალაძე.** ევროპარლამენტის არჩევნები 2014 – მიწისძვრა ევროპაში. <http://irtoday.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94/> ბოლო ნახვა 19.03.2015
10. **გიორგი კობერიძე.** ლიბერალიზმი. <http://www.patriots.ge/?p=2125> ბოლო შესვლა 22.04.2012
11. **გიორგი კობერიძე.** სოციალიზმი და დემოკრატია. <http://www.ireporter.ge/perspeqtivebi-sotsial-de/> ბოლო შესვლა 22.04.2012
12. **გიორგი კობერიძე.** ანარქიზმი. <http://www.ireporter.ge/perspeqtivebi-anarqizmi/> ბოლო შესვლა 22.04.2012

13. **კარლ მანჰაიმი.** იდეოლოგია და უტოპია. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება. ქრესტომათია. ნაკვეთი I. გვ. 90-109.

<http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18397e18390e1839ce18390e1839be18394e18393e183a0e1839de18395e18394-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e1839b.pdf> ბოლო შესვლა 10.02.2015

14. **ჯონ სტიუარტ მილი.** თავისუფლების შესახებ. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება. ქრესტომათია. ნაკვეთი I. გვ. 138-145.

<http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18397e18390e1839ce18390e1839be18394e18393e183a0e1839de18395e18394-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e1839b.pdf> ბოლო შესვლა 10.02.2015

15. **გიორგი მკურნალიძე, მამუკა ხაშბაძე.** პოლიტოლოგია. გამომც. „საზოგადოება ცოდნა“, თბ., 1999. გვ. 189.

16. **გიორგი მჭედლიშვილი.** არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია! „იდეოლოგია“ თუ „დეიდეოლოგია“?

http://www.for.ge/view.php?for_id=24633&cat=12 ბოლო შესვლა 10.02.2015

17. **რობერტ ნისბეტი.** კონსერვატიზმი: ოცნება და რეალობა. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება. ქრესტომათია. ნაკვეთი I. გვ. 90-109.

<http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18397e18390e1839ce18390e1839be18394e18393e183a0e1839de18395e18394-e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e1839b.pdf> ბოლო შესვლა 10.02.2015.

18. პოლიტოლოგია. ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი **ო.გოგიაშვილი**, თსუ გამომცემლობა, თბ., 2004. გვ.527.

19. **ილია პოლონსკი.** ქართველი ანარქისტები XX საუკუნის დასაწყისში. 2008.

<http://a-library.info/?p=591>

<http://ilyapol.livejournal.com/1399.html>

20. **ჯონ რუდასი და ანდრია ნალისი.** კარგი საზოგადოების მშენებლობა. პამფლეტი. თარგმანი ლ. აბაშიძის <http://european.ge/62/> ბოლო შესვლა 22.04.2012.
21. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები. რედ.: **გია ნოდია, ალვარო პინტო სქოლტბახი;** [წინასიტყვ.: ვლადიმირ შკოლნიკოვი, იოს ვან კემენადე]; მშვიდობის, დემოკრ. და განვით. კავკ. ინ-ტი, ნიდერლანდების მრავალპარტ. დემოკრ. ინ-ტი, ეუთო-ს დემოკრ. ინ-ტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, თბ., CIPDD, 2006.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=print&d=5&t=9494>
22. **ალექსანდრე ტარასოვი.** ფაშიზმები ბევრია. თარგმნა ნ. ქობულაძემ
<http://european.ge/?page=translations&id=96> ბოლო შესვლა 22.04.2012.
23. ფაშიზმი
<http://geword.wordpress.com/2011/02/07/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/> ბოლო შესვლა 22.04.2012.
24. ფაშიზმი
<http://politpost.com/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/> ბოლო შესვლა 22.04.2012.
25. **დიმიტრი შველიძე.** აი, ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი. თბ., 2001.
26. **ხათუნა ჩაფიჩაძე.** ნეოლიბერალიზმის პერსპექტივები საქართველოში. დისერტაცია პოლიტიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ-ს ბიბლიოთეკა. 2012. გვ. 21-31.
http://gtu.ge/faculties/bef/sadisertacio_nashromebi_gansaxilvelad/istoria_da/disertacia_x.chapidze.pdf ბოლო შესვლა 25.03.2013.

27. **ხათუნა ჩაფიჩაძე.** ნეოლიბერალიზმი და საქართველო. მონოგრაფია, თბ., 2013, 132 გვ. ISBN 978-9941-0-5745-8.
28. **ნიკა ხოფერია.** ფაშიზმი.
http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:CVbFEiHMryQJ:samxedro-istoria.blogspot.com/2011_03_01_archive.html+&cd=2&hl=ru&ct=clnk&client=firefox ბოლო შესვლა 11.04.2015.
29. **ენდრიუ ჰეივუდი.** პოლიტიკური იდეოლოგიები. შესავალი კურსი. მე-3 გამოცემა. თბ., გამომც. „ლოგოს პრესი“, 2004. - 432გვ. - ISBN 99928-927-7-3.
30. **Uros Suvakovic.** Party State: Possibilities of Appearance and Development on Example of Contemporary Serbia, presented at 2nd International Conference on Sociology. Athens, Greece, 2008. 12-15.05.

საკუთარ სახელთა საძიებელი

1. ადორნო თეოდორ 124–126
2. ალექსანდრე II (რუსეთის იმპერატორი) 171
3. ალტიუსერი ლუი 125
4. ანდრონიკაშვილი კოტე 144
5. ანდლულაძე აკაკი 145
6. არენდტი ჰანა 20
7. არონსონი რონალდ 123
8. ასათიანი მიხეილ 181
9. ბაკუნინი მიხეილ 171
10. ბარანი პოლ 126
11. ბატიაშვილი ელბერდ 2, 211
12. ბერკი ედმუნდ 44, 92, 211
13. ბერნშტეინი ედუარდ 116, 135–137
14. ბლერი ტონი 149
15. ბლოხი ერნსტ 124, 127
16. ბონაპარტი ნაპოლეონ 18, 100
17. ბრონსკი მეჩისლავ 144
18. ბუდიონი სემიონ 142
19. ბუხრაშვილი ეკა 3
20. გაბისონია ირაკლი 2, 211
21. გაბუნია სანდრო 178
22. გამსახურდია ზვიად 140
23. გეგეჭკორი ევგენი 144
24. გიუნტერი რიჩარდ 42
25. გოგელია გიორგი 176–0179
26. გოგელია კომანდო 170

27. გოგიაშვილი ომარ 2, 102, 212, 213
28. გოდელიე მორის 125
29. გრიფინი როჯერ 154
30. დაიმონდი ლარი 42
31. დაუნსი ენტონი 8
32. დე გოლი შარლ 8, 100, 101
33. დევდარიანი სეით 144
34. დეკანოზიშვილი გიორგი 178
35. დესტიუტ დე ტრასი ანტუან 17, 18
36. დიუვერჟე მორის 6, 7
37. დისკინი იოსებ 99
38. დოლი ჯოზეფ 203
39. დოუსონი (ანდერსონი) ენდრიუ 142
40. დურკჰეიმი ემილ 113
41. დუშეაშვილი დიმიტრი 2, 212
42. ელი რიჩარდ 133
43. ენგელსი ფრიდრიხ 111, 124, 135, 176
44. ენდელაძე დიანა 2, 212
45. ვებერი მაქს 113
46. ზაჰრადილი იან 209
47. ზოიძე გერასიმე 181
48. თეტჩერი მარგარეტ 75, 89-91, 149
49. იკონიკოვა ლიდია 177
50. იასპერსი კარლ თეოდორ 25
51. კალანდარიშვილი ნესტორ 180, 181
52. კალვინი ჟან 29, 31, 32
53. კანტი იმანუილ 67, 116
54. კარაკოზოვი დიმიტრი 170, 171
55. კაუსი რობერტ 77

56. კაუცკი კარლ
57. კინსლი მაიკლ
58. კირხაიმერი ოტო
59. კობერიძე გიორგი
60. კოლი ჰელმუტ
61. კონდილიაკი ეტიენ ბონო დე
62. კორში კარლ
63. კრომველი ოლივერ
64. კროპოტკინი პეტრე
65. ლასალი ფერდინანდი
66. ლენინი ვლადიმერ
67. ლიბკნეხტი ვილჰელმ
68. ლილბორნი ჯონ
69. ლოკი ჯონ
70. ლორთქიფანიძე გრიგოლ
71. ლუკაჩი დიორ
72. ლუქსემბურგი როზა
73. მანტონი ტომას
74. მანწკავა ისიდორე
75. მანჰაიმი კარლ
76. მარკუზე ჰერბერტ
77. მარქსი კარლ
78. მერლო-პონტი მორის
79. მილი ჯონ სტიუარტ
80. მილსი ჩარლზ
81. მკურნალიძე გიორგი
82. მუსოლინი ბენიტო
83. მჭედლიშვილი გიორგი
84. ნალისი ანდრია

85. ნისბეტი რობერტ 213
86. ნოდია გია 21
87. ნოზაძე ვიქტორ 144
88. ნოლანი დევიდ 54, 55
89. ნოქსი ჯონ 32
90. ოუენი რობერტ 116
91. ოუკშოტი მაიკლ 21
92. პანეზიანკო ანჯელო 9
93. პაპაშვილი მურმან 3
94. პაჩი ენცო 125
95. პიკონე პოლ 125
96. პინოჩეტი აუგუსტო 59, 62
97. პოლონსკი ილია 213
98. პოპერი კარლ 20
99. პლენხანოვი გიორგი 175
100. პრაზადი მონიკა 86, 87
101. პულანზასი ნიკოს 125
102. ჟლობა დმიტრი 142
103. ჟორდანია ნოე 139, 140, 143, 144
104. რამიშვილი ისიდორე 144
105. რეიგანი რონალდ 75, 90, 91
106. რეკლიუ ელიზე 173
107. რიაზოვი პიოტრ 175
108. რიკარდო დევიდ 116
109. როთენბერგი რენდალ 77
110. როკანი სტეინ 49
111. რუდასი ჯონ 214
112. სააკაშვილი მიხეილ 140
113. სანზი მარ გარსია 197

114. სარტრი ჟან-პოლ 125
115. სენ-სიმონი ანრი 116
116. სმიტი ადამ 116
117. სპენსერი ჰერბერტ 158
118. სტალინი იოსებ 56, 59, 121, 122, 131, 175, 211
119. სტანიშევი სერგეი 205
120. სტოლიპინი პეტრე 99
121. სქოლტბახი ალვარო პინტო 214
122. სუიზი პოლ 126
123. ტალმონი იაკობ 20
124. ტარასოვი ალექსანდრე 214
125. ტროცკი ლევ 123
126. უილიამსონ ჯონ 77, 78
127. უორდროპი მარჯორი 173, 174
128. უორდროპი ოლივერ 174
129. უოტსონი სერ გრეჰემ 207
130. ფიხტე იოჰან 116
131. ფოიერბახი ლუდვიგ 116
132. ფრანკო ფრანსისკო 162, 163
133. ფრიდმანი მილტონ 82, 83
134. ფრომი ერიხ 124, 126
135. ფურიე შარლ 116
136. ფცქიალაძე გურამ 2, 212
137. ღვალაძე ევგენი 145
138. ყულურაძე იოსებ 181
139. შველიძე დიმიტრი 2, 214
140. შევარდანიძე ედუარდ 140
141. შელინგი ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ ფონ 116
142. შირაკი ჟაკ 100

143. შუბითიძე ვაჟა 3
144. შუვაკოვიჩი უროშ 5
145. ჩარლზ I 29, 34
146. ჩარლზ II 34
147. ჩაფიჩაძე ხათუნა 2, 214, 215
148. ჩერქეზიშვილი ვარლამ 170–176, 178, 211
149. ჩხეიძე ნიკოლოზ 144
150. ჩხენკელი აკაკი 144
151. ჩხიკვიშვილი ბენია 144
152. წერეთელი ირაკლი 144
153. წერეთელი მიხაკო 170
154. წერეთელი მიხეილ 181
155. ჭავჭავაძე ილია 2, 4, 102–110
156. ხამხაძე მამუკა 2, 213
157. ხარჩილავა ვანო 181
158. ხოფერია ნიკა 2
159. ხუნდაძე მიხეილ 145
160. ჯეიმზ I 31
161. ჯულაშვილი იოსებ 121
162. ჰაბერმასი იურგენ 124, 127
163. ჰაიეკი ფრიდრიხ 84
164. ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 114, 116, 124, 125
165. ჰეივუდი ენდრიუ 23, 170, 215
166. ჰენკე აფრედ 144
167. ჰენმანი დენიელ 209
168. ჰიტლერი ადოლფ 56, 157, 158, 166
169. ჰიუმი დევიდ 43
170. ჰორკვაიმერი მაქს 124–126

ჰენრი კუპრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ისტორიკოსი; გადამდგარი I კლასის სახელმწიფო მრჩეველი; ვიცე-პოლკოვნიკი; ომის ვეტერანი;

ავტორი 5 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოს, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, პრესაში გამოქვეყნებული 400-ზე მეტი სტატიის, ინტერვიუსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული 50-მდე მოხსენებისა. გამოცემული აქვს წიგნები: „ეროვნული უშიშროების სისტემური ინფორმაციული უზრუნველყოფა“; „რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი XIX საუკუნის პირველ ნახევარში“; "დიდი რუსიანობა საქართველოში" და სხვ.

დაჯილდოებულია:

- ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით;
 - სახელმწიფო მედლებით: „მხედრული მამაცობისათვის“ (საქართველო) და „სამაგალითო სამსახურისათვის“ (უკრაინა).
 - ბაირონის ოქროს მედლით (დიდი ბრიტანეთი) და სხვ.
- წლის ადამიანი – 2002 (გაზეთი „ახალი ეპოქა“);
დავით აღმაშენებლის ჩოხოსანთა კავშირის „ჩოხოსნები - 1973“-ის დამაარსებელი და თავმჯდომარე 1973 წლიდან;
2015 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბიატლში (სირბილი, ცურვა) და ტრიატლში (სროლა, ცურვა, სირბილი, გუნდური);
მასმედიის მიერ შერქმეული თიკუნები: „ადამიანი დელფინი“ (ტ/კ სი-ენ-ენ-ი, 17.02.01, 05.11.02 და სხვ.), „წყლის პრომეთე“, „სრუტეთა მბრძანებელი“, „დარდანელის გმირი“.

მსოფლიო მასმედიაში აღინიშნა, რომ მისი მეოხებით, საქართველო მსოფლიო ცურვის ისტორიაში შევიდა **უნიკალური სიახლით**:

1. მან დაუდო სათავე მსოფლიოში სრუტეთა გადაცურვის სრულიად ახალ წესს;

2. მან მსოფლიოში პირველმა ცურვის ქართული სამხედრო-საწვრთნელი ყაიდით, ოთხგან ხელფეხშეკრული „მხედრული კოლხურით“ გადაცურა ევროპისა და აზიის კონტინენტების შემაერთებელი დარდანელის სრუტე, 12 კილომეტრი 3 საათსა და 15 წუთში;

3. მან მსოფლიოს გააცნო ცურვის უნიკალური კოლხური სტილი (თავისუფალი კოლხური და მხედრული კოლხური).

რედაქტორი ბ. ცხადაძე

გადაეცა წარმოებას 05.09.2016. ხელმოწერილია დასაბეჭდად
28.09.2016. ქალაქის ზომა 6084 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14.

საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”,
თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent